

~~K 241~~
~~ta~~

K 241
1a

ଅମ୍ବାରୁଦ୍ଧାନ୍ତି

ସାହକରଣ ପାଠୀକାଲୀନ

1945

କମିନ୍ଦବ

ବାଣିଜାଳ୍ପନକାରୀ କମିନ୍ଦବ

ପାନ୍ଦାଖାଲୀରେ ଏହା କମିନ୍ଦବ କମିନ୍ଦବ
କମିନ୍ଦବ କମିନ୍ଦବ

2018-4079921860

ସ୍ଵର୍ଗନାଥ ପାନ୍ଦାଖାଲୀ

19 ଟଙ୍କାଲୁଗୁ 45

გ ა ს ე ვ ა ღ ი

ქართული კულტურის ისტორიაში უძველეს დროიდან ჩენესანსის ეპოქამდე რამდენიმე მთავარი და მნიშვნელოვანი მომენტია, რომლებიც განვითარების მაგისტრალურ ხაზს რამდენიმედ მაინც ნათელყოფენ.

მათ შესახებ ყოველთვის საკმაო ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ცნობაში მოყვანილი ფაქტები და ძეგლებიც იძლევა ერთგვარ ჟამუალებას დაღვენილ იქნას სახე ქართული კულტურის მთავარ ეტაპებისა. ბუნებრივია რომ ამ ძეგლების შესწავლის გზა შექცევითია მისი ისტორიული წარმოშობის პროცესთან შედარებით. მეცნიერებას თავდაპირველად საშუალება მიეცა უფრო ნხლობელი ძეგლების შესწავლისა, რაც მათთან ერთგვარ კავშირში მყოფ აღრინდელ ძეგლებს ასე თუ ისე მიუთითებდა და მათს შესწავლას მოითხოვდა და შესაძლებელისაც ჰყოფდა.

ამრიგად XII საუკუნის ქართულ რენესანსის ძეგლებშია დაყენებულ საკითხი, მათი ძირების შესწავლასთან დაკავშირებული. იდეოლოგიაში — იოანე პეტრიშვილისა და საზოგადოებრივ ქართული ნეოპლატონიზმის შესწავლამ მეცნიერება მიიყვანა ეფრემ მცირეს იმ საქმემდე, რომელიც არეოპაგისტულ წიგნების გაქართულებაში გამოიხატა. ლიტერატურულ-იდეოლოგიური ოვალსაზრისით დაისვა საკითხი ეჭვთხომე ივერია და მის მიერ ქართულიდან რომანის „სიბრძე ბალავარისა“ ბერძნულად თარგმნის შესახებ.

აქედან, როგორც ძირი ქართულ იდრინდელ აზროვნებისა, რომელმაც შესაძლო გახატა ქართული ნეო-

პლატონიზმი, წარმოიშვა პრობლემა არეოპაგისტულ
უფრობის ავტორისა.

უკანასკნელის შესაძლებლობა საქართველოში თავს—
დება IV ს. კოლხიდის (ფაზისის) აკადემიის შესაძლებ-
ლობის ფაზიგლებში: თემისტე — ამ აკადემიის არსებობის
ძეგლის ავტორი, თვითონვე ინსერიებს ~~არგონავტების~~
შესახებ პოეტურ ამბავს. უკანასკნელის რეალური მხა-
რე დღეს შეცხიერებისათვის ასე თუ ისე ზაოლად უნ-
და ჩაითვალოს. იგი ეხება კულტურულ ურთიერთობის
უცი ამბავს, როგორიცაა ოქტოთდამწერლობის ოსტა-
ტობის შესწავლა კოლხიდაში.

თუ არგონავტების შესახებ რქმულებას პირველ ათა-
სეულის VIII საუკუნის აქეთ ვერ ჰიგულებთ, მაშინ
აშიოთ არა მარტო ვადავდივართ ქართულ წარმართობის
ხანაში, არამედ მას ჩაით კიდევ რჩება მნიშვნელოვანი
საკვლევო გარემოებანი.

ყველას გვიჩვენებენ მატერიალური კულტურის
შეცვლები. მათში ცხანის რეინის დამსჭივების საფეხურე-
ბი, რომელთა შორის წრითობას რევოლუციური მნიშ-
ვნელობა ჰქონდა.

სტიქიონების გამჯუნება ბუნების ძალებზე გამარჯ-
ვებისათვის მთელი კაცობრიობის, თუ ცალკე ხალხების,
ისტორიაში — ასეთია მითოლოგიის წყარო შარქის აწ-
რით.

„ყოველივე მითოლოგია სძლებს იმორჩილებს და
აფორმირებს ბუნების ძალებს წირმოსახვაში და წარ-
შოსახვის საშუალებით“¹

მათებს საფეხურები აქვთ. მარქსის ნაოქვამი უთურო
ადრინდელ საფეხურს ეხება. როცა ბუნების ავათუიშ
სტიქიონის გამოყენება მხოლოდ ოცნებად მიზნად.
მომავლის საჭმედ ისახება. ამას მოჰყვება მუორე სა-
ფეხური, როდესაც საწარმოო განვითარება წინ. დგამს

¹ ამის შესახებ ცნობები ბერძენ მწერალთან, პარაქს პერგამო-
ნელთან Monumenta historiorum grecorum, III, 639.

² М. и Э., Соч., т. XII, стр. 203. „Введение в критику
политической экономии“.

ჩაბიჯს. „წარმოსახვაში ანუ მითოლოგიაში განკუდითა
— წინაითებორი იური ეპოქაა, — ამბობს კ. მარქსი. ჰე-
ლენის საძაოთლის ფილოსოფიის“ კრიტიკში¹.

ქართველ ტომეთა კულტურა II ათასეულშიაც არაა
შეინაისტორიულ ციტარებაში; რომელშიაც თითქმის არ
უნდა ჩანდეს ბუნების ძალთა საგრძნობი გამოყენება.
თუ ინის ღამუშავება და რკინის იარაღის დამზადება
საგრძნობი ეპოლუციას ჭანიცდის, ხდება „ჭედიდან“
„ჭრიაბაზე“ გაღასვლა, რაც რკინის დამუშავებაში
კუცხლის გამოყენებას ნიშნავს. ეს კი, როგორც გამო-
ირკვა. „ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში“ გადასვლას
ნიშნავს.

ასეურ საფურცელი მითოლოგიაშიც ცვლილების გამომ-
შევგვ უნდა ყოფილიყო. მითოლოგიურ წარმოტენებს
აღვით უნდა დაეთმო უფრო ფართო და დახვეწილ
შემოქმედებიათვის, რომელიც, მართალია, მითების
უძალეგზე დარჩებოდა, მაგრამ მხატვრულ-ეპიურ შე-
მოქმედებას საფუძველს ჩაუყრიდა.

როცა ურ. ენველის ლაპარაკობს ბერძნების გაღასვ-
ლაზე ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში, აღნიშნავს,
რომ მათ ბარბაროსობის ხანაში შექმნილ მითოლოგიის
ცვლილია და მის მომდევნოდ „გადმოიტანეს ბარბარო-
სობიდან ცივილიზაციაში“ პომიროსის ეპოსი — მითო-
ლოგის შემოქმედებით ასახვა.²

ამრივად შიო ლოგიის ხელოვნებამდე ამაღლება,
შარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ გადასვლას უკავ-
შირდება. ხელოვნების ასეთ ნიშუშად ენგელსი პოში-
როსის ეპოსს ასახელებს.

მითოლოგიურ სახეთა შორის, არას ერთი, რომელიც
კ. მარქსს ყველაზე კეთილშობილ წმინდანად და წამე-
ტულად მიაჩნდა — ეს იყო პრომეთეს სახე — მისი სახე
უკავშირდება ცეცხლისა და ლითონის დამუშავების
მომენტს.³

¹ М. и Э., Сочин., т. XIV, стр. 322.

² Энгельс — Происхожд. семьи, соб. соч., т. XVI, ч. I,
стр. 13.

³ М. и Э., Соч., т. стр. 12.

მარქსისა და ენგელს არ ჰქონდათ საშუალება ქართულ
მითოლოგიაზე ემსჯელნათ. მათი ნათქვაში მეცნიერების
ბის მიერ შეიმდგომ დროში ლითონის — კერძოდ რკინის
დამუშავებიდან გამორკვეულ ფაქტებზე რომ გადავი-
ტანოთ, მათ მიერ საბერძნეთზე ნათქვაში ქართველ
ტომთა კულტურას კიდევ უფრო მეტის სიცხადით
მიუღებოდა.

რკინის „ჭედვიდათ“ — „წრთობაზე“ გადასვლა ქარ-
თველ ტომთათვის II ათასეულში (ჩვ. ეპ.) წარმოების
ის ჩევოლუცია იყო, რომელიც „ბარბაროსობიდან ცი-
ვილიზაციისაკენ გადასვლას“ წიშნავლა. ამ ფაქტს მითო-
ლოგია ე. ი. მსოფლიოსა და მისი ძალების მითიურ-
რელიგიურ არსებებით დასახელება უნდა გადაეყვანა
შემოქმედებითი ასახვის ეპიურ საფეხურზე. ბუნების
წყობის განსახიერებას ღმერთების მითიური სახეები
წარმოადგენდა; ცეცხლის გამოყენებას ლითონის დამუ-
შავებისათვის — ღმერთების წინააღმდეგ აჯანყების სახე
უნდა მიეღო. ამან შეჰქმნა ღმერთის შებრძოლის — ამი-
რანის სახე ქართულ მითოლოგიურ ეპოსში.

კ. მარქსი ამბობს „ჭედველის სამრითლის ფილოსოფიის
კრიტიკაში“: „ბერძნთა ღმერთების, ერთხელ ტრაგიკუ-
ლიდ დაჭრილობის სასიკვდილოდ ესხილებ „მიჯაჭვულ
პრომეთეში“, მეორეხელ კიდევ მოუხდათ კომიკურად
პომედარიყვნენ ლუკიანეს „ბაასში“. კ. მარქსის, რომ
საშუალება ჰქონებოდა ქართულ „ამირანს“ გასცობო-
და, უგი დ უბეროთ უფოსის სასიკვდილოდ დაჭრას ამი-
რანის შეგრ ტრამატიკულ მომენტად ისთვლიდა და
ესხილესა და ლუკიანეს ნაწარმოების მოგვიანობა არ ვითა-
ძიუჩხერადა.

ჩვენ ვერ მივეცთ საშუალება მსოფლიო შეცნიე-
რებას გაეცნო ისეთი ძეგლი ქართული და იმავე დროს
საკაცობრით კულტურისა, როგორიცაა ქართული მი-
თოლოგიური ეპოსის ძეგლი — პოემა „ამირანს“. აქამდე
არ მოხერხდა ამ ძეგლის სათანადო შესწავლა, ხალხში
დარჩენილ ჩანაწერების შეღარებათი ანალიზი, სიუჟე-
ტის დადგენა ამ გარიანტების ნიაღავზე. არაა გაკეთე-
ბული დაძუმაყოფილებელი ცდა ძეგლის შედგენის

ეპოქისა და მისი შესაძლებელი უქსპანსიის გამორკვე-
ვისა. რაც გავეთებულა ამ მიმართულებით არ აღმოჩნ-
და საკმარისი საერთაშორისო მეცნიერების ყურადღე-
ბის ამ ძეგლზე, შეხახერებლად. — აკადემ. 6. მარის,
ჭ. კეცელიძისა და სხვ. შორომები. ერთგვარი დასაწყისია
საჭირო და გადაუდებელი მუშაობისათვის, მაგრამ
აღნიშნული მიზნისათვის ისინი საკმაო არ აღმოჩნდნენ,
პრატერს ვამბობთ თუმთ ძეგლის პირვანდელ სახის
აღდგენის ცდაზე.¹

ასეთი რესტავრაცია რამდენიმეჯერ უცდიათ ჩვენს
ძველებს, მაგრამ მათ შორის, როგორც დავინახავთ,
პირვანდელ ძეგლის რესტავრაციად, ვგონებ, ვერც ერ-

¹ ქართული „ამირანის“ შეგავლენით შედგენილია ოსური გარი-
ანტი „ამრან“. ვ. ა ბ ა ე ვ ი ს წ ე რ ს ოსური „ამრანის“ რუსულ თარ-
გმის ჭინასიტყვაობაში: „Осетинские сказания об Амиране
непосредственно примыкают к народно-грузинским,
в особенности сванским и пшавским версиям и разде-
ляют все их особенности.“ ეს ხახგასმა ხალხური ვარიანტი-
სა, როგორც ვნახავთ, სწორედ პირვანდელ ძეგლს ეხება, რომელიც
ამ ვარიანტშია დაცული. ვ. ა ბ ა ე ვ ი აღნიშნავს, რომ „ოსური შე-
მატანი“ ამირანზე თქმულებაში არის მხოლოდ ზოგიერთი „ეპიზოდი
და დეტალი“ (იხ. Осетинский эпос. Амир. Перевод, обрабо-
тка и комментар Дзахэ Гатуева.. Предисловие В. Абаева.
Изд. Academia, Москва—Ленинград, 1932, стр. 19).

მიუხედავად ამისა ოსური ვარიანტი „ამირანისა“ ცნობილია
მსოფლიო მეცნიერებისათვის. ასე, მაგალითად, გამოჩენილ მკვლე-
ვარს ბერძნული მითოლოგისა L. Preller-ს არავითარი წარმოდგენა
არა აქვს ქართულ „ამირანზე“, მაგრამ, როდესაც ოსური ვარიანტის
შესახებ იგი სწერს:

„კავკასიას, რომელიც მდიდარია ვულკანურ მოვლენებით, ჩანს,
ზეუმნია მოსახლეობაში თქმულებანი მიჯავულ გმირის შესახებ და
ისინი პრომეთესთან დაუკავშირდია. რომლის შესახებ ასეთი დღე-
მდე მოვკითხოვ ენ „Gricchi sche Mythologie“ წიგნი პირველი, გამ.
ბე-4, ბერლინი, 1894 წ. გვ. 101, შემ.

ასეთია შედეგი იძ ზომიერებისა, რომელსაც ხშირად
იჩენენ ქართული კულტურის მკვლევარნი; მის მეოხებით ფერხდება
ჩართული კულტურის ძეგლთა გამოვლენა.

თი ვერ ჩაითვლება. ეტყობა ყველაზე უხლო ძეგლთან
უნდა იდგეს ყველაზე ადრინდებდი. რესტავრაცია, რო-
მელიც მოსე ხონელის უნდა ეკუთვნოდეს. მოსე ხონე-
ლის მახველით გაკეთებულ რესტავრაციის პროცესული
ჯალაკეთება და XVII ს. გალეჭისილი ვარიანტი შეუა-
რებითი ლირებულებისა და პრივანდელ ძეგლისაგან
ფრიად დაშორებული უნდა იყოს. ქრისტიანული იმ-
ტერპოლაციებში და გადაკეთებებში, ჩანს, კიდევ უფ-
რო დაგვაშორეს პრივანდელ მითოლოგიურ ძეგლი-
ნავან.

რას წარმოადგენს დღევანდელი „ამირანი“? 450-მდე
ლეჭის. შესაძლება ზოგ ნამსკენევს ხალხურ იმედე ჭ-
ში შემონახულს, და მოთხრობათა ვარიანტებს. ლეჭისის
მდგომარეობა ნიმუშის მიხრა ფრაგმენტულ აღნაგობისა,
ზოგ შემთხვევაში დაცულია მთლიანი „სტროფი“,
რომლის პრინციპი სარითმო სიტყვის უმეტეს შემთ-
ხვევის გართმვა, ზოგში გარითმვა მცირებულო-
ბისა. ყველაზე დამახსიათებელია, რომ დარჩენილია
ზოგი სტროფი ორი პლკარით, რომლის რითმა მეორე
უფრის ბოლოა.

სიუჟეტის აღსაღენად სახელმძღვანელოდ უნდა იქ-
ნას მიღებული დაცული ლეჭისის მასალა.

აქედან ამოსვლით უნდა შექრულ იქნას სიუჟეტი
მოთხრობითი ვარიანტების ნიაღავზე.

ლეჭის შეუძლია შეიტანოს ცოტაოდენი ცვლილება
მოთხრობის ვარიანტებში.

პირიქითაც, თხრობითი ვაიანტს შეუძლია ზოგ შემ-
თხვევაში შესცვალოს ლეჭისის მონტაჟი.

კართული კულტურის კვლევის საკითხები არ დგას
განცალკევებულად სხვა ქვეყნების ასეთივე საკითხე-
ბისაგან: ისტორიულ განვითარების საერთო კანონზო-
მიერება სავალდებულოა ჩვენი ქვეყნისათვისაც და
არავითარი განსაკუთრებული და სპეციფიური გზების
ძებნა საჭირო არა. მითოლოგიური ხანა, ანტიკა ვიწ-
რო გაგებით, ფეოდალიზმი და რენესანსი — ასეთია
ეტაპები, განვლილი ისტორიის მიერ და ამ გზას არც
აღმოსავლეთი საერთოდ და არც საქართველო, კერ-

ოუ საქართველოს თავისი რენდესანსი ღა ანტიკ
ჰერონა, მას თავისი შითოლოგიური ხახაც უნდა ჰქო-
ნულია. რომელიც უნდა მას იგივე ნიშნები აგარისაურდა,
რომლებიც მარჯვმა და ენგელსმა აღნიშნეს, როგორც
შითოლოგიური ხანის ნიშნები საერთოდ. ასეთივე იქ-
ნებოდა მათგანვე აღნიშნული ასაწერ შითოლოგიური
ხანისა ეპიურ პოეზიაში. ასეთი ძეგლი თავდაპირველად
ცხადია, ზეპირი იქნებოდა, რაც პირობების მიხედვით,
შემდგომ ხანაში ან ჩაიწერებოდა იმავე სახით, რო-
გორც იგი შეიქმნა, ანდა გადამუშავდებოდა თანამფლ-
ობით. სოციალ-იდეოლოგიური გარემოს მიხედვით-

შეგვით. რომელიც აღნიშნული თვალსაჩრისით ქნდა
იქნას შესწავლილი, როგორც ქართული მითოლოგიის
პლეი-ფრი უ უფენა, უნდა იყოს, ყველა მონაცემის ში-
ხედვით, „თაშულება აიირანის შესახებ“. სახე, რომლი-
ჟაც იგი ჩვენამდე ძორშეულია, ცხადია, რაა და არც
შეიძლება იყოს პირვანდელი. უკუკელია ქეგლს მთელი
რიგი ცვლილებანი განუცდია. მეცნიერების მიერ ნაცო-
რი საშუალებები ამ შემთხვევაშიაც უნდა იქნას გამო-
ყენებული ქეგლის პირვანდელი სახისა და მისი მომ-
დიდობა უარიაციების მიახლოებით დასპოვენად. შედა-
ნებით მეთოდი უნაზურიერებასა და კულტურის ის-
ტორიის მონაცემების მიხედვით ბევრის გარკვევა შე-
უძლია, მაგრამ მთავართა მარნც თვით ქეგლის არქი-
ტექტონიკა და მასში დაცული აღგილების გამოვლენა
და შესწავლა.

„ამირანის“ არქიტექტოლოგია

„ამირანის“, ტექსტი მეცნიერული თვალსაზრისით ღია ვადაც არა შესწავლილი. ის, რაც დღეს ხელში გვაქვს, შეიცავს 450-მდე ლექსის და პროზაულ ჩანაწერებს. თვითეულ ამ ნაწილს თავისი ნაკლი აქვს, რომელიც დადგენილ უნდა იქნას მეცნიერულად, რაღაც ჩვენი მიზანია ძეგლის არა მატერიალურა, არამედ მისი დაცულ ნაკვეთების რესტავრაცია, ხოლო დამსტარეულ და ამოვარდნილ ჩაკვეთების განახლება, ამიტომ ინტერპოლიაციების თუ სხვადასხვა ცვლილებათა დადგენა უნდა ემსახურებოდეს მათგან განწმენდის საჭირო.

დაცულ ნაწილთა შორის ყველა ერთი და იმავე ღია ჩებულების არაა. ქრონოლოგიურ განსხვავების გარდა, რომელზედაც ცალქე იქნება ლაპარაკი, თვით აღნაგობა არაა ერთსახოვანი. ძეგლს დიდი ცვალებადობა განუცდია, ფენა ფენაზე დევს, უძველესი პლასტი მეტნაკლებად ჩანს დანართს შორის და ხშირად ძნელი აღისაცნობია. საზოგადოებრივ ფორმაციების ცვლა გონიერიფიცად, იდეოლოგიურად და მხატვრულად გადანასკველია ერთი მეორესთან „ამირანის“ თქმულებათა იმ სახეობაში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა.

ქართული კულტურის აღრინდელი პერიოდი მსოფლიო კულტურის ჩასახეა-განვითარების გზებს. უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში მეცნიერების დღევანდელ ვითარებაში ეს ეხება წინაპირისა და დასავლეთ ევროპის კულტურათა ისტორიას. მითიური ხანა, ანუ „ბარბაროსაბისან ცივილიზაციაში გაღმასვლისა“, ჩაევა სავალდებულო რყო საქართველოს უძველეს კულტურისათვის, როგორც ეს გაირკვა მეცნიერებისათვის სხვა შემთხვევების მიზართ, კერძოდ დასავლეთის ცივილიზაციისათვის. შედარებითმა შეთოდმა აქ შევრი უნდა გვასწავლოს.

ქართული მითოლოგიის ფრაგმენტალური შესწავლა კარგა ხნის საქმეა. გაყეთებული ცოტა არაა, მაგრამ საკვლევიც ბევრია. პალეონტოლოგიურ მასალათა შო-

ჩის პოეზიას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. ისეთი ძეგლი, როგორიცაა „ამირანის თქმულება“, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ მეტი არა, ვიღრე რომელიმე საკულტო გამოსახულება ქვაზე ან ლითონზე, ანუ ადრინდელი წარწერა. თქმულებათა უპირატესობა იმაშია, რომ ისინი უფრო ისტორიული არიან, ვიღრე დასახელებული სახის ძეგლები. თაობიდან თაობამდე, ანუ ფორმაციიდან ფორმაციამდე ცვლის დროს, თქმულებან წარსულსაც ინარჩუნებენ და განვითარების მოშენტებსაც აღმდევდავთ, „ამირანშიაც“ ასეა: პრევარდელ პლასტებს მერმინდელები მოჰყვება. უკანასკნელში ხალხური და მწიგნობრული ერთი მეორეშია ვალაწნული და ამრიგად ხალხური და მწიგნობრული შემოქმედებათა ბრძოლის საინტერესო მომენტებია შემონახული.¹

შეცნიერული ძიებისა და მხატვრული რესტავრაციის მიზნები და საშუალებები ემთხვევა ერთი მეორეს „ამირანის“ საკითხშიაც. აქ უძველესი საკომიკოზიციო და ოსტატობის ხერხებია დარჩენილი. შინაარსეულ-იდეოლოგიურად ისინი უკუფენენ იმ სოფლწარმოდგენას, რომელიც ქართველ ხალხს ჰქონებია იმ დროისათვის. ყველაზე მთავარი საქმე ამ პლასტების გამონახვა და გამოკვეთა შეცნიერულად. შემოქმედებითი აღდგენისათვის კი ამის იქეთ წასვლაა საჭირო. ძველი პლასტი, აღმოჩენის შემდეგ, უნდა ჩაისხას იმ აღვილს, რომელიც მას ისტორიულ-კულტურულად ეჭირა. ამისათვის საჭიროა შემდგომი დანართების გადამუშავება.

ხალხური შემოქმედების დაცვის უძველესი იარაღი — ლექსია, თაფდაპირველად მეტრულ-რიტმული, შემდეგ მეტრულ-რითმულიც. პროზა, მოთხრობითი საზვა, უფრო მაღალი საფეხურია; ამიტომაცაა, რომ აზროვნების და შემოქმედების საწყისები პოეზიაშია მოცუმული. „ამირანიც“ იმთავითვე ლექსია, ანუ ლექსიალთქმული ეძინოდები, ერთი მეორესთან შეერთებული

¹ ამის შესახებ ზედმიწევნით ჩვენს მონოგრაფიაში „რუსთავული და აღმოსავლეთის რენესანსი“.

იმ ხაზებით, რომლებიც აერთვის ქართულ მითოლო-
გის წამყაროს პერსონაჟებს. სიუკეტი უფრო რთუ-
ლია ეპიზოდებზე, რაღაც ცალკე სფერო მითოლოგი-
სა უფრო ვიწროა, ვიღრე მთელი სისტემა მითოლო-
გის წილში სოფლწარმოდგენისა.

გარდა ამ ზრდადი დებულებისა, რომელიც მეცნაუ-
რებაში მიღებულია, კერძოდ „ამირანის“ ძეგლიც
გვარწმუნებს იმაშივე. დღემდე მოღწეული პროზაულა
ჩანაწერები უეჭველად შედგია ლექსის დამსხვრევის
და ამ ნიაზაგზე დავიწყებისა. უდავოა, რომ მსოფლიო
ფოლკლორში მრავლად იცის ხალხური პოემები, რომ-
ეს. ც თაგა და შიგ ლექსის გვერდით პროზაცაა გა-
მა თული.¹ ამ საკომპოზიციო ხერხით აგებული ძეგ-
ლები მოგვიანო ხანას—ეკუთვნიან, რომელსაც პროზა
უკვე გნუვითარებულია, როგორც თხრობის ფორმა.

„ამირანის“ ფორმა რომ იმ თავითვე ლექსი ყოფი-
ლა, ხოლო მოთხრობითი ფორმები — დავიწყების შე-
დეგი—ნაამისო საბუთი მრავალია:

1) ლექსი „ამირანისა“ ჩვენამდე მოღწეულია დაცა-
რცხული სახით. თრაგეუნტი ხშირად ორი პრეკარით
ამოიწურება, რაც შაირის მთლიან იმპლექსს ის შეი-
ცვა. მაშასადამე, ნათელია, რომ ამ ნამსხვრევების ძი-
ნელვით თქმულებას ლექსი აკლია და არა სხვა რამე.

2) ლექსის ფრაგმენტალური ნაშთების არსებობა
პოზიციებს, რომ ისინი ალდგუნილი არ არიან; მაშასადამე
მათ აღვილი დაუჰერია ტრადიციით შენახულ პრო-
ზაულ თქმულებებს.

3) თქმულებათა გაერთიანებას, რომელსაც შემდგო-
მი ხანის შიხედვით ჩვენც „თქმულებას ამირანზე“ ანუ
მაოტივად „ამირანს“ ვუწოდებთ, ასე თუ ისე. მაინც
ერთგვარი სიუკეტი აქვს. შემონახული ტრადიციული
თხრობა—რაიმე დამთავრებულ ნაკვეთების ანუ ეპიზო-
დების დანართი კი არაა, არამედ ფრაგმენტების კა-

¹ ჩვენს საბჭოთა ფოლკლორისტიკაში ასეთია უახლოესი ამი-
ცემა—უბედეს პოემისა „ალბამიშ“, — „Нльпамыш“, Ташкент,
1944, предисл. В. Жифмульского.

ნამსზერეცების. შაშასადამე, პროზაული თხრობა და-
კარგული ლექსის შევსებაა.

4) ამასვე აღასტურებს, რომ ლექსის თითოების არ
აქვს ვარიანტები, იგი ერთია, ხოლო პროზაული თხრო-
ბა სხვადასხვა სახისაა. ლექსი აქა-იქ დასაქტუ-
რი, ან ინტერპოლატური ელემენტები ახასიათებს,
პროზა—სცდება ჩვეულებრივი ვარიანტის ფარგლებს
და არსებითს—სიუჟეტურ და კომიზიციური განსხვა-
ვების საზღვარს აღწევს.

5) პროზა მთლიანობის იდეას ემსახურება. მას მოჰ-
სრობის მთლიანობა ივალება; ეს გარემოუბაც გვიარ
ამბავია და ყოველ შემთხვევაში „ამირანის“ ასაკს ის
ეშოთვევა.

6) პროზაული ამბები „ამირანის“ შესახებ ვვინან გა-
ჩნდა და ისინი პოვმა „ამირანთან“, დასაშვებია, ესთი-
გვარ კავშირში იყვნენ, მაგრამ თავისი ნაირობით უ-
კის ქვეშ აყენებენ. თუდი პოემა „ამირანში“ პროზაულ
ჩანაწერებს.

✓ ამირთვალ, მრავალი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ
„ამირანის“ თავდაპირველი ფორმა ლექსია.

„ამირანის“ წარმოშობის პროცესი

ძნელია დღეს ზუსტად დადგენა იმ ისტორიულ გა-
რემონი, რომელშიაც „ამირანი“, როგორც მითოლო-
გიური ძეგლი, უნდა შექმნილიყო. ის საწარმოო გა-
რატირიალება, რომელზეც მეცნიერება მიგვთათვოს,
დასაშვებია, ხანგრძლივი პომზადების შედევი იქნებო-
და. მას თავის განვითარებაში ისეთ საფეხურამდე უნ-
და მოედნია, რომ ძლიეროვისური ტეხილიც გამოეწვია
და შემოქმედებაში ჭიდი ეპური ნაწარმოები შეექმნა.

ნაწართველოს უძველესი კულტურის კერის ძებნას
ჩვენი ქვეყნის გარეთ მაპნც და მაინც არ გავყავართ—
ეს გზა ალგეთის მიღამოებსა და თრიალურისაკენ მი-
ღარს. მას დასავლეთთან კავშირი იმღენად კი არ ჯევს,
რომ იქ კულტურის შევსებას ეძებდეს, არამედ დასავ-
ლეთს აქვთ მასთან კუვშირი. ეს ამბავი დიპლომატიკური

სა მითოლოგიაში ერთნაირადაა გამოხტოული. ხატუ-
შელ III-ს ხელშექრულება მისრის ფარაონთან ჩამ-
ზეს II-სთან ისეთვე მაჩვენებელია აღნიშნული გა-
ნემოებისა, როგორც არგოს ნავისა და იაზონის შესა-
ხებ დარჩენილი მითი.

რკინის ჭედვიდან რკინის „წრთობაზე“ გადასცლა
დიდი საწარმოო გადატრიალება იყო. მან დიდი ჭვა-
ლი დასტოვა ხალხთა ცხოვრებაში წინა აზიასა და აღ-
მოსავლეთ ევროპაში. ცეცხლში ნაწრთობ იარაღის
ხმარება აღნიშნულია პირველად სკორპიონი იალეთისა
და აღვეთის ძირაძოებში. ბოლაზკეის ცნობილი არქა-
ვის ძეგლები ამ ავზავს II ათასეულის ბოლოს მია-
კუთვნებენ. ამის მიხედვით ვინკლერი ამავე აღვილება
მიუთითებს: მისრში (ეგვიპტეში) ნაწრთობი იარაღი შა-
ვი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე აღვილებიდან მაჰ-
კონიდათ.

წინააზიაში — კერძოდ ტროაში, ნაწრთობი რკინა გან-
ნდა მხოლოდ XI საუკუნეში ჩვენ ერამდე. ეს დრო
მიუენის კულტურის შემდგომ ხანას ეკუთვნის. საფიქ-
რებელია, რომ საბერძნეთშიაც ამ დროიდან ნაწრთო-
ბი რკინის იარაღის ხმარება უკვე ცნობილი უნდა იყოს.
პაროსის ქვაზე III საუკუნეში აღნიშნული ცნობა
გვიანია, ბაგრამ ისიც II ათასეულის მეორე ნახევარს
მიუთითებს. პაროსის ქვაზე აღნიშნული ცნობა შეიძ-
ლება შართალი იყოს და ბერძნებს სცოდნებოდათ წი-
წრთობი რკინა უკვე XIV საუკუნიდან. როგორიცაც
გარკვევას საჭიროებს მაშინ მხოლოდ ის გარემოება,
რომ ეპოსში ეს საწარმოო გადატრიალება ვვიან გა-
მოხატულებას ჰპოვებს ე. ი. მხოლოდ IX - VIII საუ-
კუნეთა მდჯნაზე. ეს ფაქტი ყურადღების ღირსია. ამის
მიხედვით გამოიდის, რომ ბერძნებს XIV ს. შეიძლება
კიდევ ჰპონებოდათ. ცნობა რკინის „წრთობის“ შე-
სახებ, მაგრამ თვით საბერძნეთში იგი შევიდა, როგორც
საწარმოო ფაქტორი; სწორედ I ათასეულის დაახლოე-
ბით იმ ხანაში, როცა მისი იდეოლოგიური უკუფენაც
სჩანს.

ამის და მიხედვით, თქმულებანიც, უმუალოდ და
XIV

კავშირებული წრთობილ იარაღის ხმარებასთან სა-
ბერძნეთში შედარებით უფრო გვიან უნდა შესულიყო.
ცხადია, რომ ამ ღროვისთვის საბერძნეთს უქვე შემუშა-
ვებული მითოლოგია ჰქონდა და აღნიშნული თქმულვ-
ბანი დამოუკიდებელი სახათ ვერ შევიდოდა ელლი-
ნურ მითოლოგიურ თქმულებებში. მისი გზა უნდა ყო-
თილიყო ერთგვარი გადამუშავება უკვე აჩსებულ ძი-
თალოვითა სისტემისა და მისი ზოგი პერსონაჟისა. ამ
ზვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერები-
სათვის ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონა-
ჟის—პრომეთეს შესახებ შემუშავებულ წარმოდგენათა
ევოლუცია.

ქართული „ამირანი“ პირდაპირ დაკავშირებულია
„წრთობილი“ იარაღის შემოღებასთან, ამდენად ივი
უშესალო უკუფენაა ქართულ ეპოსში ამ ღილი საწარ-
მოო გადატრიალებისა, რომელმაც ქართული შარმაწ-
თული მსოფლიო შესძრა და მის ნიაღგზე გაიშალა.
„ამირანში“ არა მარტო მრავალი ფენა, დროთა ვითა-
რებაში შექმნილი და დანალუქი, არამედ იგი თავდა-
პირველად ცალკე ეპიზოდური. თქმულებების საწით
იქნებოდა, მაგრამ, ამ ნიაღგზე აღმოცენებულს, შედა-
რებითი დამოუკიდებლობასთან ერთად ნაწყვეტები
ურთიერთშორის კავშირი უნდა ჰქონოდა; ამის თავდე-
ბია—კავშირი ქართულში მითოლოგიურ სისტემის ჩა-
წილთა შორის.

მთლიანი სიუკეტი იმ თავითვე არც იქნებოდა, რად-
გან ასეთი ცნება გვიან შემუშავდა მითოლოგიის და-
სისტემების კვალად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არა
უითარი მთლიანობა არ იქნებოდა. მთლიანობის ცნე-
ბას, როგორც საწყისს, სავსებით აკმაყოფილებრვე
ქართული მითოლოგიის გამთლიანების ნიაღგზე წარ-
შოშობილი ეპიზოდური თქმულებანი. ამდენად საკით-
ხი „ამირანის“ პირვანდელი მთლიანობის შესახებ არ
შეიძლება დაისვას და გადიჭრას მთლიანი სიუკეტის

* ამის შესახებ ვრცლად ჩვენს მიწოდებულია: „რუსთაველი და
აღმოსავლეთის ენესანსი“.

შესახებ შეიძგომ ხანაში შემუშავებული ცნების ში-
ხედით ასეთი თვალსაზრისი ელემენტალური მეცნიე-
რული შეცდომა იქნებოდა.

საჭართველოშიაც მითოლოგიურ სიუჟეტის მოგვა-
ნო შემუშავებასთან ერთად მოხდა ცდა „ამირანის“
სათახალოდ გადამუშავებისა. ეს მუშაობა, როგორც
სჩანს, მოსე ხონელს შეუსრულებია, თავის პოემაში,
რომელიც მოხსენიებული აქვს რუსთველს ჩვეულები
ტყაოსნის“ ეპოლოგში. ეს გაერთიანება სიუჟეტის
უხდა მომხდარიყო პროზაულ-კომანის ამირან-დარეჯა-
ნიანის გაჩენამდე: ამას მოწმობს ის ჟაჟტი, რომ დასახე-
ლებულ რომენში პოემა „ამირანი“ გამოყენებულია
როგორც უკვე მთლიანი ამბავი, რომლის ნიაღაგზე
ახალი ციკლები იქმნება. უამისოდ იმ ტიპის ჩატარმავ-
ბი, როგორიცაა „ამირან-დარეჯანიანი“ რსევე შეუძ-
ლებელი იქნებოდა, როგორც „არტურის ციკლი“ და-
საკულტო საშუალო საუკუნეთა თვით არტურის შესახებ
პირვანდელ თქმულებათა გაერთიანების გარეშე. ამდე-
ნად შემოქმედებით ლიტერატურული განვითარების
თვალსაზრისით შემდეგი თანმიმდევრობა უნდა ვაკუ-
ლოთ: 1) პირვანდელი ეპიზოდური თქმულებანი, 2)
მათი გაერთიანება ერთ სიუჟეტურ მთლიანობად და
3) უკანასკნელის ნიაღაგზე შექმილი ციკლი. ციკლი,
რეალური ნიშნავს: რომელიც ლიტერატურულადც შეიჩ-
ლება ხან უფრო ფართო ძირის ხან ვიწრო.

კომპოზიციონურად ადვილად წარმოსალგენია, რომ
ერთი და იგივე გაერთიანება თქმულებათა, შემდეგში
მთელ დამოუკიდებელ თხზულებათა დასაყრდენი გახ-
დეს. ასე, მაგალითად, გამოყენებულია იგივე შეფე-
არტურის შესახებ თქმულებათა გაერთიანება სხვადასხვა
დამოუკიდებელ თხზულებათათვის დასავლეთის ლიტე-
რატურაში. ამის საუკუთესო ნიმუშია ედმუნდ სპენსე-
რის პოემა „ფერიული დედოფალი“. კიდევ უფრო
ადვილად მოსახურხებელი იქნებოდეს „ამირანის ციკ-
ლის“ ისეთი გაფართოება, რომ მასში სხვა დამოუკი-
დებელი თხზულებაც მოჰყოლოდა, იმ პირობით, რომ
მასშიაც ასეთი თუ ისეთი სახით „ამირანის“ საქმენი

იქნებოდა გამოყენებული. ასეთი შესაძლებლობის პი-
რობებში დასაშვებია, რომ არაა მოკლებული მნიშვ-
ნელობას აზრი, რომ „ამირანის“ ციკლში თუნდაც იმ
გვარად, როგორც იყი დაცულია „ამირან-დარეჯანია-
ნის“ სახით, ნაწილობრივ ან მთლიანად, შეცული იყოს
რომელიმე იმდროინდელი თხზულება.¹

ჩვენ არ შეგვიძლია აქ ამ საკეთხებს უფრო ვრცლად
შევეხოთ. ჩვენი მიზანია ყველა ზემორე ნათევამის
ნიაღაგზე აღდგენილ იქნას „ამირანის“ ის უძველესი
ეპიზოდები, რომლებიც დარჩენილა „ამირანის თქმუ-
ლებებიდან“. ამისათვის საჭირო შეიქმნა თვით იმ ნაგ-
ვეთების ამოცნობა და ერთგვარი წესრიგში მოყვინა,
მაგრამ ამ ფრაგმენტების მნიშვნელობის ნათელყოფი-
სათვის საჭირო იყო იმ შემოქმედებითი გარემოცვის
აღდგენაც, რომელიაც ისინი იმთავითვე, ან მახლო-
ბელ მომდევნო დროში იყვნენ მოქცეული. უკანასკნე-
ლენ ჩვენ დამოუკიდებელი მოღწეულია ორი სახით: დამსხვრე-
ულ სტროფების მცირეოდენ ნაწილების სახით, და
კონტაულ ამბების, სახით.

„ამირანის“ პრასტები

„ამირანი“ - ლექსის სტროფიული ფრაგმენტები და
პროზული ჩანაწერები ერთგვარად ავსებენ ერთი მე-
ორეს. ლექსური ნაშთი მნიშვნელოვანია ხდება, უკეთუ
გამორცვეულია „ამირანის“ ფრაგმალი პოეტიკა. აქ გა-
მორცვეული ნიშნები, ცხადია, თან ახლავს ფრაგმენტ-
სა და ამის ნიაღაგზე აღვილი წარმოსადგენია თუ რო-
გორი იქნებოდა მფლიანი სტროფის. ფრაგმალ პო-
ტეკური აღნავობა.

როგორც ითქვა პოემა „ამირანის“ მთლიანად დაცუ-
ლი სტროფები კატენური წყობისა ე. ი. მას არ აქვს

¹ ნათევამის მიხედვით საუგულებელო არ უნდა იყოს მკვლევარ
კარ იჭამვილი რა მიერ გამოთქმული აზრი, რომ „ამირან-დარე-
ჯანიანში“. სარგის თმოვა მეტყველეს თხსულების „დილარი ი-
ნის“ რაღაც კვალია საგულისხმებელიო.

გარიბოშვილ გარეკვეული ოდენობა — თუ უდი, სამეუღლე, იმთხევლი და სხვ., არამედ სიტყვა რიითმება იმდენ-
ჯერ, რამდენჯერაც ამის ნებას იძლევა ქართული ენა
და რამდენჯერაც ამის ითხოვს ფაზულარული პასურ-
იან წერტილი ხშირად დაცულია, როგორც ითქვა. პრო-
ზაულ მოთხრობაში. ცხადია, შეუძლებელია იმის გრძე-
ლება, რომ ამ გზით აღღიერნილ იქნან დამსხვრეული
სტრიქონები.

ეს არც შესაძლებელია და არც საჭირო. ჩვენი მიზანია მოთავარებულ იქნან გაღარების ხტროფები თავის აღვილზე. ამისათვის კი საყმარისია ს, რამაც იძლევა დამსხვრეული სტროფების ნაშთვები და პროზა-ჟლი თხრობის ჩანაწერები.

შემცდარი არ უნდა იყოს აზრი, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში თითქმის ისეთსავე ამოცანის წინ ვდგვეართ, რ თუ არტყაოდეს მურული ძეგლთა რესტავრაციი, მაგრამ შედარებით უფრო ხდესაყრელ პირობებში არჭინებისას უნდა დღაუგინოს ჩამოვარდნილი კაბიტელი ა რომელიმე ურნამენტი და მათი თავის ადგილებ მოთავსებისათვის იმიტაციის პრინციპით ამოაქცის ახალი მასალით ცარიელი აღვილები. პოეტურ ძეგლის რელიქტების რესტავრაცია პრინციპულად იგივეა. მაგრამ გარემო, თუმცა ფრანგმენტარესტული, მაგრამ მაინც რელიქტის ნაშთს შეიცავს დასაშვებია, რომ პოეტური ძეგლის აღმდგენელმაც მიმართოს არქიტექტორის ხერხს და სრულდად ახალი მასალა იხმაროს. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ერთი ნაკვეთის მეორეზე გადაბმაა საჭირო, რაც ნაკარისახევი უნდა იყოს რელიქტების შინაგანი კანონზომიდებრით.

ასე მოვიქმედოთ ჩვენც. წარმოდგენილის თხით პოდ-
მა „ამირანი“ შეიცვალ სამ ელემენტს: 1) რესტავრირე-
ბულ ნაკვეთებს, რომლებიც მხოლოდ კრიტიკულ ვა-
ლათვალიერებას საჭიროებდნენ. სხვადასხვა დანალექი-
სა და შერყვნისას კაწმენდის მიზნით, 2) ფრაგმენ-
ტების შეკვებას მათი პოეტიკისა და დაცული პრო-
ზაულ პასაუების ნიაღვზე და 3) ჩვენს მიერ ჩართულ

ჩანართებს, რომელთაც მოძიებულებით მნიშვნელობა
აქვს მოლიანობის შესაკრავად.

„ამირანის“ პოეტიკა

თავისთავად ცხადია, რომ მთვარი ისტოიულ-ლი-
ტერატურული და კულტურული მნიშვნელობა აქვს
დაუუღის რესტავრირებულ ნაკვეთებს და ყველაზე ნა-
ცები—ჩვენს ჩანართებს. მაგრა ჩვენი საკულტურო მი-
ზანი—ქართული კულტურის მითოლოგიურ განსხვიე-
რებაში წარმოდგენა—მოღწეული იქნება, თუ ჩვენ
დაცულ ნაკვეთებიც დაუგუნი, აღდგენა და თავის აღ-
გალზე დაახლოებით მოთავსება შინეც მოვახერხეთ.
ამის გამო რესტავრატორული მუშაობა, უკავშირდება
საგანმანაბლებლო მუშაობას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ პოემა „ამირანის“ მფა-
ჭი მთავარია, როგორც ითქვა, რესტავრირებულ ნაკ-
ვეთები. მათ ერთგვარი ცვლილება განუცდით, მაგრამ
არსებოთად ისინი მათიც დაცული არიან. ისინი ძირი-
თალიში ორ ჯგუფად გაიყოფებიან: ადრინდელი ფენა
და ლიტერატურული გადამუშავებული ფენა. ჩვენთ-
ვის ფეილში უანტერესო სწორედ ესენია, ჩვენ არც
შეუკერლო გვიფიქრო, და არც გვიფიქრია ჩვენს მიერ
მოწოდებული ტექსტი პოემა „ამირანის“ მოლიანი
რესტავრირებულ პოემად გადავიდებია. ეს, უპირვე-
სო ყოვლისა. მეცნიერულ შინინის შერყვნა იქნე-
ბოდა. დაცული ტექსტის პირვანდელობის შაჩვენებე-
რია მისი წარმატებული ხასიათი. მისი ფორმა და ლექ-
სტურ ხალხურია და აძლევთად ლიტერატურაშიდელი. იგი
ერთულ წარმატებულ კალენდარს უკავშირდება, საი-
დანაც თავი ერთიმეორის გვერდით მოთავსებული
თვე—მირაკა და იგრიგა—საკმარისი მაჩვენებელია,
რომ „ამირანის“ საფუძვლად სიუკეტურადაც და იდეო-
ლოგიურადაც ქართული წარმართობა უდევს და ამდე-
ბად იგი საქუთარი და აღგილობრივია და არა ნასესხე-
ბი და შემოტანილი. „შირა“ — ბუნების გაცემა-
ლების პერსონიფიკაცია ქართულ წარმართოულ

სამყაროში, რომელსაც თავსართი „^ა და ^ბ და
ფიქსი ^კ“ („მოძრავი ელემენტია), როგორც უფ-
რო ძირითადი, შეუნარჩუნებია. შეიძლება ამ წარ-
მართულ წარმოლენას კავშირი პქონდა წინააზის
წარმოლენასთან სინათლის ომერთზე—მიძრასთან ან
მის ფასისახიერებასთან· რომელიმც აღრინდეს საფე-
ხურზე. სინათლის კონცეპციის საერთო რყო მთელი უ-
ნააზისაფვის და განსხვავებრა მის დუალისტურ, მონა-
ტურ თუ სწვა ჰაიმე სახით წარმოლენაში რყო. ქარ-
თულ პანთეონში „თარის“ ანუ „ტაროსის“ მთავარ
ომერთს სახით არსებობა აგრძელვე გვაფიქრებინებს,
რომ ქართველ წინაპართა კოსმოგონის ნათესაობა
წინააზის ხალხებთან გამორიცხული არაა. ამავე შე-
ს ძლებლობას აძლიერებს ის გარემოება, რომ „მარა-
დიული სხივის“ სახე, ვიღრე იგი აღმოსავლეთდან
დასაჭლელითიაკენ დაიძვროდეს ინდურ და ქართულ
კოსმოგონის ახასიათებს და ორივე შემთხვევაში თით-
ქმის ერთ ზა ძმავე სახია. წარმოიღვინება: „ულამო
ღამე“, „ულამო მზ და უ მრიგად. შესაძლოა ეს მოწ-
მობდეს იმ შეხედულების სიზუსტი, რომლის მიხელ-
უო ინდონი თავდაპირეველად უფრო დაბავლეთით
ცოცხაბრინენ (მცირე აზის მახლობლად), სადაც მათი
წინაპარნი ქართველთა წინაპრებთან შეზობლობრნენ.
დაშორების შედეგ შეუძინ ჩადგნენ ერები სინათლისა-
და ბნელის ლუალისტური კონცეპციით.

ასეთივე ჭიშვინელობა აქვს წარმოლენას, წყლის
ომერთის „კრის“ შესახებ. მისთვის განულოვნილი
თვე—იგრძაი შირაკაის თვის მომდევნოა. ამდენად
ქართული წარმართული კალენდარი იმავე სოფლებაზე
ძალას ემყარება, რასაც ქართული მითოლოგია. „ამირან-
ში“ დეტალებიც კი განსაზღვრულია ქართული მითო-
ლოგით, კერძოდ ამირანის და, იგრის ურთიერთობა
შათი. ერთიმეორის გვერდით ყოფნით არის განსაზღვ-
რული. იგრი საწყისია ცხოვრების, მისგან ჩრდობის ყო-
ველი, რადგან წყალი სიცოცხლის საწყისია, მაგრამ უც-
ომერთი მრისხანეა. მისი თვე—წყალდიდობის და ქა-
რთვებრის თვეა. მისი ჭულის მოვებაა საჭირო. მაგ-

რამ ამირანს ეს არ სჭირდება. ის იგრის მეზობელია
ქართულ კალენდარის განრიგებაში.¹
„ამირანში“ მოხსენებულია ოლგეთი, რითაც ნაჩვე-
ნებია სწორედ ის ოდგილი, რომელიც უდგება ისტო-
რიულ ჩვენებებს, კერძოდ მაღნეულობათა რაიონს
შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ლვით შავი ზღვა
—ძველი სპერის ანუ სპირის ზღვაა, რომლის სახელ-
თან დაკავშირებული იყო მაღნეულის სახელშოდება—
სპირ-ლენჯი—სპილენძი. ამ სახით შევიდა ეს სიტყვა
სხვა ერების სიტყვა ხმარებაში.² აქ არის გამლილი
მნიშვნელოვანი ნაწილი პოემა „ამირანის“ მოქმედები-
სა. იგრის როლი რჩებ დიდია პოემაში იქიდანაც ჩანს,
რომ მთელ ამ რაიონს და მის მთავარ მდინარეს მისი
სახელი დარქმევია იგრი-სი (სამეგრელო) და ი(ნ)გირი
(ინგური). ამით საქმაოდ გამორკვეულია პოემა „ამი-
რანის“ სამოქმედო არე და მისი კავშირი ქართულ
წარმართობასა და მითოლოგიასთან.³

„ამირანის“ ცალკე ადგილები, ამრიგად, სხვადასხვა
ასაკისაა, შემდგომ დანართებს თუ შეცვლას თავისი
ისტორია და მნიშვნელობა აქვს და მომავალი მეცნიე-
რული ძეგნა ამ მხრივ ბევრს რასმე გაარკვეუს. ჩვენი
მიზნებისათვის მთავარია ფრაგმენტები,
რომლებშიაც მოცემულია ქართული მითოლოგიის
უცილობელი სახე. ამ მითოლოგიის სახე ძალიან აღრინ-

¹ „იგრის“—წყლის უდალის და სიცოცხლის საწყისის იდეა, ჯვრ საიგრისოში შემუშავებული, მითოლოგიის დასისტემების ხანა-
ში მთავარ ლერთების წყობაში გადადის. ეს არა მარტო „ამირა-
ნის“ დამუშავებას ემთხვევა; არამედ მისი საბერძნეთში შესვლის
გზას უნდა უჩვენებდეს.

² ი. ი. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პი-
რველი და მეორე, თბილისი, 1913., გვ. 79.

³ შესაძლოა, რომ „იგრი“ როგორც წყლის სახელი, ისევე შევი-
ტა ბერძნულ ერაში, სადაც იგრე (ი) წყალსაცა და მდინარესაც ნიშ-
ნავდა, როგორც ლითონის სახელები და ორივეს ძირი ქართულ
კულტურის აღრინდელ კვლენათ. კვალს აღნიშნავდეს. ეს საკი-
მხი ცალკე გამოკვლევას საჭიროებს.

დულია, თემულერებიც, ცხადია, ერთ დღეს არ შეაძლო, და მათი ასაკი კიდევ უფრო ძალიანდელი ჩანს. ამას მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის შემდგომი საფეხურების, კურძოდ ჩენესანის ფაზის, კვლევისათ-

ჟის.

თუ წყლის ღმერთი—იგრი პერსონიფიცირებულია ამირანის გვერდით და მის დამხმარელ, როგორც გაცოცხლების და განახლების შემძლე; ასევე პერსონიფიცირებულია სხვა სტიქიონთა და ბუნებრივ ძალათ ღმერთი და მოყვანილია ამირანთან ერთგვარ კავშირში. ესა—პოემის ქარგა, ქართულ მითოლოგიურ ძირზე გამოყვანილი და გაკეთებული. იგივე ეხება ქალღმირთ ყამარს ანუ ყამარ-ქალს. იგი ელგის ანუ ზეციურ ცეცხლის პერსონიფიკაცია, მასთანაა დაკავშირებული სიბო, როგორც სიცოცხლის შაჩქენებელი. ამირანი—ბუნებრის გაცოცხლების სიმბოლო ისევე რწავის ყამარისაკენ, როგორც იგრისაკენ. გაზაფხულის დაცვითი ელვა-ჭიხილით, წვიმით და წყალდიდობით ხორციელდება. ამიტომ კურთხს შირანი ყამარს; მას როგორც მიწა შესა საიროება კეცხლი. და წყალი. ასე მოუკითხა თავი რეზოლუმა მათ დოგიურშია კრსმოგონიამ ამ სამ ძირით და ლემენტს ანუ „კ-ვ-შირს“—ოოგორც იტყვის ქართულ ჩენესანის იდეოლოგიური მდგრადშე XII საუკუნეში. მეორეჩე „კავშირი“—შეიძლებოდა პაერაც ყოფილიყო. ყამარი პაეროვნ კოშკი ცხოვრიდა. მისებნ სავალი გზა—პატარი იყო თეთრონთა ე. ი. თ თრი ღრობლ ბის მიუნდოთ შემოვლებული. ეიძლებოდა ხეთი შევსაჩაში—სადაც უძველესი, „წირლვნის“ ე. ი. გეოლოგიურ რევოლუციათა ხანის ხე დარჩენილ შელქვა (ძელი ქვადექცეული) (Zelpha caucasica)—მეორეჩე სტიქიონი ანუ „ჯვშირი“. „ხე“ ყოფილიყო. ქართულ გეოგრაფიურ ნომენკლატურებში ხის წარმოდგენა მრავალდ შენა-

¹ პროფ. ლეონ. მელიქ გრ-ბეგო შეგასიტუო კულტურის ძეგბის ხაზით ქართულ წარმართულ კულტურის საწა სება კადექცეული აღრინდებოდ გარაულობს,

ხული — ხეთა, კა-ხეთი, ჯავა-ხეთი, კუ-ხეთი და სხვა
და სხვა. ამდენად ქართულ კოსმოგონიისათვის „ხე“,
როგორც მეოთხე სტრიონი, მოულოდნელი არ უნდა
ყოფილიყო. და აյս აშენარად გამოხატა ეს ქართული
რენესანსის გენიამ ჩუსთაველმა როცა ტართულს ათვ-
მევიზა ჩესტან-დარეჯანის სახის სისტულის შესახებ:

„მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხი-
სა“—ო. ცხადია კოსმოგონიურ წარმოდგენათა შისტე-
მის შემუშავებიდან შეთიქმულ თქმულებათა შემუშავე-
ბიძე ხანი გაივლიდა, მაგრამ ყოველი ეს ქართულ
ნიადაგზე მომხდარა. ცალკე თქმულებებს, რომლებიც,
უეჭველია, აღრე შემუშავებულენ, ურთიერთშორის კავში-
რი უკვე იმით ჰქონდათ მოპოვებული, რომ მათში
უკუფენილი ნაწილი ქართულ კოსმოგონიისა მთლიანი
სისტემის ნაწილი იყო. ამან, უეჭველია, თქმულებათა
შემდგომ გაერთიანებასაც შეუწყო ხელი.

შესაძლოა ამირანი გაერთიანებული იყო შოსე ხონე-
ლაშედე. მაგრამ მოსე ხონელის ხელში მას, ჩანს, ერთგვა-
რი ცვლილება განუცდია — სამირო მოტივები შენაცვ-
ლებულია რომანტიკული მოტივებით, ამას ითოვდა
მიხე ხონელის დრო რომელიც ჯერ კიდევ გაუღვინოს
იყო რაინდული რომანტიკით ვაუკაციბის შიზანი ამიე-
რიდან ქალის სილაშიაზე და მისი სიყვარულია. გადამწ-
ყეტ მომენტში. ამირანი მიმჯრთავს თავის ძმას —
ბადრის, მთვარის სხივს, რომელსაც თეთრად გაუნათე-
ბია ღრუბლები:

ბადრი, მათხოვც თეთრობი,
ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გაშოვიყვანო —
ქალია თეთრი მშე ვითა.

• ეს და ამისდაგვარი დაცული სტროფები შეკრის მა-
ჩენებელია ჰეროინის შეცვლა რომანტიკით უკვე

— ამის შესახებ ჩვენი მონოგრაფია „ოურფელი და სხვა“
თავი მისა ცონელი აშესაბებ.

აღინიშნა. ეს წათელყოფის რომ „ამირანის“ დამუშავებას ახალი ხელი ეტყობა.

კიდევ უფრო ძნიშვნელოვანია აღნიშნულის შაგვარი უტროცების მწიგნობრულობა. ამას მოწმობა გარიომების შანერა, რომელიც ორი სიტყვის ნაერთით კეთება, რაც ხელივნებული დამწერლობითი საშუალებებს საჭიროებს, ეს ფორმა ზეპირმა ზეპირმა პოეტიკამ არ იყის და იგი მხოლოდ დამწერლობითი ლექსით წყობის მაჩვენებელია. ასეთია ამ შემთხვევაში „ნერუვითას“ ბადლად „მზე-ვითა“: ასეთი დამწერლობითი ჯზით შექმნილი რითმები ბლობადა ამირანის რესტავრირებულ ფრაგმენტებში, მათ „აშანანის“ ლექსით ტურულ დამშუშავებელის ხელი აშკარად ამჩნევია. აქედან ისიც წათელია. რომ ეს დამუშავება ლექსის ე. ი. საბოლოოდ პოემის სახის დაურღვევლად მომხრარა. სწავანიარად რომ ითქვას—მოსე ხონელის „ქებინი“—პოემა ყოფილა და ასე უნდა იქნას ვაგებული რუსთაველის თქმა: „ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქა ხონელსა“—ო. ეს დამატება ამირანის სახელზე „დარეჯანის ძისა“ გახდა საბაბი შეცდომისა, თითქოს აქ მხედველობაში მისაღებია „ამირან დარეჯანიანი“ — პროზაული რომანი, რომლის ავტორი თითქოს იყო იგრვე მოსე ხონელი. დამატება „დარეჯანის-ძე“ ოდნავად არ იძლევა საამისო საბუთს, თვით ლექსში ი. ი. პოემაში მოხსენებულია ეს დამატება:

„ნუ მომკლავ დარეჯანის ძევ“ — მიძართავს დევი ამირანს. ეს ადგილები მოგვიანო უნდა იყოს, რადგან თავდაპირველი სახელი ამირანის ლედისა ყოფილა დალი ანუ დარეჯალანი, რისგან მხოლოდ შემდეგ გაფუკრებიათ დარეჯანი.

რეუსტაველის თავის პოემაში სწორედ ეს სახელი გამოიყენა — როგორც მოსე ხონელის პოემის ვმირის დასახელებისას, ისე თავისი საკუთარი პოემის მთავარ გმირი ქალისათვის. ჩანს ეს სახელი დალი-დალარჯანისაგან წარმოიშვა და ამდენად საბოლოო ანგარიშში ქართული წარმოშობისაა. სახელი ამირან დარეჯანის ძე, გაშასადამე, იყის ხალხურმა პოემაშ და ოდნავად

არა საჭირო ამ სახელის „როზაულ გაუანთქმითან „ამირან-დარეჯანიანთან“ დაკავშირება.

„ამირანის“-ს ისტორიულ-ღიტერატურული მნიშვნელობა

თრიოდე სიტყვა „ამირანის“ ისტორიულ-კულტურულ და ყოვლის უწინარეს ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ. „ამირანის“ შექმნისა და განვითარების მომენტები ემთხვევა ჩვეს აღრინდელ კულტურას და ჯერ კიდევ ელის კვლევას. ის პირმ უძებერთელა მარტინო და კულტურულ ტეხალის უკუფენაა—ეს უჭიშებრუნვება. მაგრამ ჩვენთვის დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იშას, რომ ძეგლი წალეური შემოქმედების განსახიერებაა, რომელიც დამწერლობის ფორმამდე მოსული საეკლესიო-მწიგნობრულ მწერლობის მოწინააღმდეგება გამოიდიოდა.

ესეთი რამ შესაძლებელი გახდა, ცხადია, რაც მოსე ხონელის მარ ხალხურ თქმულებათა საჩით შემონახულ ცალკე ეპიზოდების გაერთიანება მოხდა. ეს გაერთიანება ძირითადად მესამე საფეხურია „ამირანის“ თქმულებათა განვითარებისა. პირველი სტიქიონთა და მათი ღვთაებათა ამბავი იქნებოდა; მეორე—ამ ამბავთა ამირანთან, როგორც ცენტრალურ პერსონაჟთან, თქმულებათა დაკავშირება, მესამე — ლიტერატურული გაერთიანება თქმულებათა, რაც მოსე ხონელს მიეწერება. პირველის იდეოლოგიური ბაზისი, როგორც მარქსი აღნიშნავს, ბუნების ძალთა წარმოსახვაში და მორჩილების გამოსახულება იქნებოდა. მეორე ამ დამორჩილების კონკრეტული ამბავი — ამ შემთხვევაში ცეცხლის, როგორც სტიქიონის, აღამიანის საწარმოო ძალთა განმტკიცებისათვის გამოყენება. ეს ბრძოლა და დამორჩილება, ცხადია, გმირობისა და თავდადების მოტივებით სულიდგმულობდა.

მოსე ხონელმა, როგორც ჩანს, ცენტრი გმირობის მოტივაციიდან სიყვარულის რომანტიკაში, გაღმოიტან; ამას თხოვთვდა მისი ღრმო და ის სხვაგვარად ვერ

მაინცეოდა. მოსე ხონელის პლატა რომ უფრო აფრინ-
დელია კიდრე პრიზაფლი რომანი „ამირან-დარეჯა-
ნიძი“ სჩანს პოემის ანალიზიდან და პერსონაჟების
ურთიერთობრივ და სახელებიდან. მაგ., ამირანთან
ფრიდა დაახლოებული ერთ-ერთი გმირის დასახელება
„ამირანში“ ხდება „სავარსამულის“ ფორმით. ხოლო
„ამირან-დარეჯანიანში“ „სავარსამიძის“ სახით. მეც-
ნიერებისათვის ცნობილია, რომ პირველი ფორმა უფ-
რო არქეულია, ხოლო მეორე — მოგვიანო.

დაკულ „ამირანში“ ზის შოსე ხონელის სტროფები,
მათი რიცხვი ისევე ცოტაა, როგორც სახოვადოდ გა-
ღიანებილ სტროფთა რიცხვი ისინი აგრეთვე დამსხვ-
რეულია. მაგრამ მათი ასებობა უდავოდ ჩანს ტექს-
ტიდან. ჩვენ ყველგან, ჟაჟაც მოსე ხონელის სტროფე-
ბი შევნიშნეთ. განსაკუთრებულის სიფრთხილით ალ-
ვადგინეთ ისინი. ასევე დანგრეულია მთლიანი სიუჟე-
ტი, მოსეს მიერ ჩამოქნილი; მაგრამ მისი არსებობის
უტყუარი ნიშნები — ფაქტია. მისი მიხედვით, ყველა
მონაცემის გამოყენებით. ჩვენ კვლავ აღვადგინეთ
„ამ რანი“ სიუჟეტი. უმრიგდე რესტავრაციის უშუა-
ლო საგნს შეადგერენ. ამ ჩინიონი ფრაგმენტები
(დიდი და მცირე) და სიუჟეტი. ამითაა გამართლებუ-
ლი, ჩვენი რწმენით, ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ
დამუშავებულ „ამირანს“. რესტავრაციულ უნდა ეწო-
დოს სხვა, როგორც იჟერა, ამ რესტავრირებულ ელე-
მენტების გასამართვად საჭირო, მიახლოებითი უკ-
განახლებული მასალა და მეტი არაფერი.

„ამირანის“ შინშვენელობა ქართულ ლიტერატურის
ისტორიისათვის დიდია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან
რამდენიმე ლიტერატურული გადამუშავება გამოიწ-
ვია. მოსე ხონელის პოემის გარდა იგი გადამუშავებუ-
ლა „ამირან-დარეჯანიანის“ ნაწილის სახით. უფრო გვიან
(XVII). იგუე ტეგლი გადამუშავებულ იქნა თანიაშვი-
ლიდის მიერ ლექსადვე. მთავარი კომიტე „ამირანის“
მნიშვნელობა როგორც ჩვენი უძველესი კულტურის
და მისი განვითარების გამორკვევისათვის, აგრეთვე იშ-

გავლენისათვის, რომელიც მას მოუზღვენია ქართული რენესანსის ძეგლებზე.

საერთ პოეზიას საჭართველოში ხალხური ძირი ჰქონდა, აქ მოხდა ივივე, რაც სხვაგან ანალოგოურ პირობებში. შემდეგ, იტალიაში ბოკაჩის შითოლოვანური პოემები იტალიურ ხალხურ ზომით—იტალიურ იქტავითაა დაწერილი. ქართული შაირის ზომა ყველაზე ძლიერად „ამირანში“ იყო წარმოდგენილი. მას ეთნოლოგიაში მირითადში დაიცვა იგივე ვერსიფიკაციის პრისტინური სა მხოლოდ ოამდენიშედ გაამახვილა ივი სალიტერატურო ვალამუშავების გზით. უს ხალხური ძირი პოეზიისა ფორმალურ პოეტური თავლას ზრისით აუცილებელი მუტოქე იყო საეკლესიო მწიგნობრულ პო ზირსათვის.

XI საუკუნ დან ქართულ ხაეკლესიონ ზე ოთვებას აშეკარად ეტყობა ხალხურის ძირზე ამოსულ საერთ პოეზიის გაწოლა. ეკლესიას სურ ს ისევე მიმზიდველი იყოს, როგორც საერთ შემოქმედება აქეზან მრავალგვარი და შეგუებისა და გადახალისებისა. ხუროთმოძღვრებით დაწყებული და ჰიმნოგრაფიით გათვე-ტყული ჯერ კიდევ ამავე X საუკუნისან აშენდა ჩანს კვალი ამ შეგუება-გადახალისებისა. დეკორატიულობით გატაცება, რათა ტაძარი მიმზიდველი ყოფილიყო მრევლამათვის— ამ ეპოქის დამახასითებელი მოვლენაა. აღნიშნული პირობებით გამოწეული. უკურნატიულობა, საერთ შემოქმედებასთან მეტოქეობის ნი-ლაგზე უაბალებული ამ მეტოქეობის აღმავლობასთანაა დაკავშირებული და ნიადაგს ამზადებს ქართულ რენესანსისათვის კერძოდ ხუროთმოძღვრებაშიაც.²

1 ამ საკითხს ვეხებით ვოცლად ზემოდასახელებულ მომაგრატიული.

² ქართულ ხელოვნების დაღ სპეციალისტს ჰქად. გ. ჩუბინაშვილს სწორად აქვს შემჩნეული ეს ფაქტი, საჭიროა მხოლოდ მას მიერ შესწავლილ მდიდარი მასალის ქართულ რენესანსის პერსპექტივაში დანახვა. და ამით თავიდან აცდენილი იქნება ფრიად სახი-ფათო დახმოცემა X—XI ს. ს. ქართულ საბუროთმოძღვრებო დაკორატიულობისა ბაროკოან. ყრველი ბაროკი არის დეკორატიულობა, მაგრამ ყრველი დეკორატიულობა არაა ბაროკი.

უეპველად ასეთი დეკორატიულობა იყო შავთელის
მოვლენა პოეზიაში. მან სკვმირო საქმე გააკეთა, როცა
საეკლესიო პოეზია ახალი ლექსით მოკაზმა. მაგრამ
მან ვერ შესძლო ის, რაც მთავარი იყო საეკლესიო-
მწრგნობრულ პოეზიისათვის: ვერ შეაჩერა საერთო პო-
ეზიის. შემოტევა შეირის სახით მოვლენილი. ჩახრუხა-
ძის საფეხურზე ქართული შეიძრა შავთელის
შიერ დამკვიდრებულ ლექსით და გასტეხა იგი. ამით
აიხსნება „თამარიანის“ ის აღვილები, სადაც ძველი
ლექსთწყობის შეცვლა ემჩნევა. ასეთაა თავდაპირვე-
ლად სტროფები, რომლებიც იწყება ლექსით:

ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა...

ამის მომდევნოდ „თამარიანში“ შეჭრილია პირდაპირ
შეირი, ხოგორც ხალხური პოეზიის ნაკადი.¹

ეს დაძლევა საეკლესიო-მწრგნობრულ ლექსისა მოხ-
და ხალხური პოეზიის იმ ხახის შეოხებით, რომელიც
მოცეოლი იყო „ამირანში“, რაც დასახელებულ
სტროფების ანალიზიდან ნათელია. აქ ორი მომენტი
იძყრობს ყურადღებას: 1) „ამირანის“ პერსონაჟის ნო-
სარის (ნისრელის). დასახელება და 2) „ამირანისათვის“
დამახატვათებელი გარითმვის გამოყენება. ეს გარითმ-
ვა ხორციელდება სიტყვა „ვითას“ მოშველიებით, რაც
კომპლექსურ რითმას იძლევა. ამის ნიმუში მოყვანი-
ლია ზევით:

გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი მზე ვითა.

აუ „ვითა“ ნაწილია კომპლექსურ რითმის. სწორედ
ამ სახით არის ნახმარი კომპლექსური რითმი „თამა-
რიანის“ დასახელებულ აღვილზე.

ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა.

ფორმალური და არსებითი მომენტების დამოხვევა
აღნიშნულ აღვილზე შეუძლებელია შემთხვევითი იყოს
„ამირანის“ იკნობს ჩახრუხაძე და მის გავლენას განიც-
დის. კიდევ მეტი, სა იკნობს „ამირანის“ უკვე ჩაწე-

¹ ამის შესახებ მკაფიოდ ჩვენს დასახელებულ მონოგრაფიაში,
თავი მოსე ხონელის შესახებ.

რილს, ანუ უფრო სწორად, ადღვენილს მოსე ხონელის
შეირ. ამის საბუთია ის გარემოება, რომ „ვითას“ გა-
მოყენება ლიტერატურულია და ხალხურმა ვარიანტია
არ იცის. მაგთან შედარებით კომპლექსური რითმა ხე-
ლოვნურია, ნაკეთებია და ამდენად, უეჭველად, ლიტე-
რატურული წარმოშობისაა: ეს ხელოვნურობა მოჰავს-
და ზალცურობის ფარგლებში და მას შაირი არა თუ არ
დაუშიანებია, არამედ თუ დიდ ლიტერატურულ იარა-
დად იქცია.

ასეთი გახდა საპოლოოდ გამოჩენებული შაირი
რუსთაველის ხელში, რომელმაც მისი საშუალებით
ქვეყნის და ადამიანის ბედზე იმღერა. უდაოდ მტკიც-
დება, რომ რუსთაველი თავის წინამორბედთა შორის,
პოეზიაში შემთხვევით როდი ასახელებს მოსე ხო-
ნელს.

შოკლე შეშავალში უადგილოა მოსე ხონელის პოე-
მისაგან და ჩენილ ფრაგმენტების ძებნა, რომლებიც
დაცულია ზეპირსიტყვაობით შემონახულ „ამირანის“
ვარიანტებში: ყოველ შემთხვევაში ზემოად მოყვანილი
სტროფი „ამირანისა“ ასეთ ადგილებს უკუთვნის, რუს-
თველი იცნობს მოსე ხონელის პოემა „ამირანს“, ის
აქვს ხელში, როცა თავის პოემის უკანასკნელ სტროფს
სწერს და მოხეს თავის პლეტურ წინამორბედთა შო-
რის ასახელებს. რუსთველი ითვისებს მოსე ხონელი-
საგან რა შარტო „ვითას“ საშუალებით გამართულ
კომპლექსურ რითმის, არამედ პირდაპირ იმავე რითმით
სარგებლობს, სახელდობრ რითმით „მზევითა“.

„ამირანი“: — „გავიდუ, გამოვიყვანო — ქალია თა-
რი მე
ვითა“

„ვეთხის ტყაოსანი“: — „წმა ესმას ჩემსა ხელ-მჭმელ-
შა, — ზედა გარდამოღვეს მწე
ვითა“.

ფორმისა და შინაპრსის ასეთი შეხვედრა არ შეიძ-
ლება შემთხვევითად ჩაითვალოს, მით უფრო როცა:

რუსთაველი პირდაპირ ასახელებს მოსე ხონელს და
მის პოემას თვეის წინამდევართა შორის.

არის კიდევ ერთი ფორმალური მომენტი, რომელ-
საც სიმღერის ექსპრესიისათვის დიდი მნიშვნელობა
ენიჭება. იმუნდი ის არც ისე ფორმალურია. საკითხი
უხება დაბოლოების ხმოვანს. აკად. 6. მარმა ყურად-
ღება მიაკცია ადრინდელ ქართულ სარითმო დაბო-
ლოებას „ა“-ნის საშუალებით. ჩა თქმა უნდა ეს და-
ბოლოება. როგორც საკულებო წარმოშობისა, შემო-
ხვევითი არ იყო, რავდან საკულებო-რატოლურ მი-
მართვებს „ა“-ნის ქართულებით უნდა ეპოვა რჩვინდ
გამოხატულება („მართ ჩვენო“, „წმინდათ დმერთო“
და ტხვა და ახვა).

ამისგან განსხვავებით საერთ ქართული სარითმო
ჯაბოლოება „ა“-ნით გაიშალა. ამ სახითაა ივა მოცე-
მული „აშორანში“, სადაც „ა“-ნები ვლეილურ დობი-
ნანტის როლს რამაშობენ და თან მიუკიავთ ფარისო გა-
ნეტივობა დაბოლოებები ასა, არისა, არითა და სხვ.
„აშორანის“ ზედმოწევნით ანალიზს აღვილად შეუძლია
თ ანაბ ს. როგორც „ა“-ის ვოკალიზებული რეაქტი გამა-
რთვებულია მთე პო მა ი.

საკმა ისი ამა ე თვალსაზრისით გასინჯულ იქნას
რუსთაველის ოფე, რომ ნათელი გახდეს იმავე წესით
რამთავრებულ როთოს უბრატესობა. ჩვენის ანგარი-
შოთ სამოცი პროცენტი რუსთაველის სარითმი დაბო-
ლოებისა „ა“-ნის“ საშოალებით გამოიიდი ჩათბაა. თუ
მხედველობაში იჭინდა მიღებული გარეო — ან-
და კიფიქროთ. რომ ელერის ამ ხერხის არის რუს-
თაველ მიუკიავა „აშორანის“ განმაახლებელს — მოსე
ხონელს. ამ და გარემოებას ადასტურებს მთელი რი-
გი ახერხისა თა მეტაზონებისა. მაგრა ყველაზე
ყორ, დასაღებია ზოგ აფორისტულ ლეტულების გადმო-
ლება, მათ შორის, მაგალითად, ისეთის როგორიც არის
ცნობილი აფორიზმი. დაუზრახველ სიცოცხლისა და
სიკვდილის ურთიერთობისათვის,

„აშორანი“, „სირცხვილიანი“ შინ მოსულის სიკვდილ
სურბს სახელიანი“.


“ვეფხის ტყითხანი”: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
შიკვდილი სახელოვანი”.

თუ აღნიშნული გარემოებანი გუაფიქრებინებენ, რომ
რუხთაველის ხელი ჰქონია მოსე ხონელის პოემა და ის
თავის შინამორბედთა შორის პირველ ადგილზე უგულ-
ვებია, მაშინ აშკარა იმ ძეგლის მნიშვნელობა, რო-
მელსაც დღეს ნაწილობრივ ჩესტავრირებულ და ნა-
წილობრივ განახლებულის სახით ვაწვდით მკითხველს-
აშკარა, რომ ქართულ რენესანსში თავი უნდა ეჩინა,
ქართულ ანტიკურობის მითოლოგიურ ხანას. ჩვენი მი-
ზანია ეს ნათელი გახდეს თავდაპირველად ჩვენთვის,
ქართველებისათვის, რათა ამ გზით იგი ჩვენი მოძმე
ერებისათვის და მთელი კულტურული კაცობრიობი-
სათვისაც მისაწვდომი შეიქმნას.

ასეთია ჩვენი მოულე შენიშვნები „ამისანის“ გამო.
ისინა დამატებითაც ჰყლევს საჭიროებენ და, მოსა-
ლორნელია, მრავალ საკითხს მოჰქონენ ნათელს. დღეს
დღეობით ამ მოცულობითაც შესრულება ჩვენი ამო-
ცანასა ძნელი ხყო. „ამისანის“ რუსული გამოცემას
წინასიტყვაობა, ცხადია, უფრო გრძელია, რადგან
იქ საიდენტიფიცირებულიც მეტია.

მათლაცას მოვახსენებ ყველას, ვინც თანაგრძინებოთ,
შენიშვნებით თუ მასალის მოწოდებით დახმარება
აღმომაჩინა: აკადემ. ს. ჯანაშიას, აკადემ. გ. ახვლელი-
ანს. პროფ. ს. ფაუსტიშვილს, ვ. ბერიძეს და ჩემის
ფაულლელ რედაქტორს ა. ამაშელს.

ვალე ჩეცები!



ამპავი სერგადმანისა და ღარებანის პეცვერგისა
და ციყვაგუდისა

ლილის სხივებს მასპინძლობდა
კავკასიის ლურჯი ქედი,
მთამყინვარში ჩაქსოვილი
ლივლივებდა ოქრო-მკედი;
ჭლვიდან ჭლვამდე მოდარაჯეს
დასცქეროდა შემომქმედი.
ომერთთა შორის ფხიზლად იყო
დალიც, ვითა ნაღირთ მხედი,
რომ ანაზდად მონადირეს
არ ეცალა მათზე ბედი.

*

ხევებსა და მოების კალთებს
მიჰყვებოდა სულკალმახი,
ის—უბადოო მონადირე,
ჭაბუკთავან დაუძრახი.
ისრის წვერით თან მოჰქონდა
ნაღირთ ვაი და ვაგლახი.
ხმლის უკრავად შტერს დაბნედდა
ის—საზარი დასანახი.
ტანსა ჭაჭვი შეემტკიცნა,
თავს ებურნა ჩაბალახი.
ტყე შრიალით შეჭხაროდა,
მგებოდა ფერხთ ჩალახი.

გაუხდა განით ქურციკი,
საფარი ჰპოვა ტყიანი.

თვალი დააჩნდა ელვარე,
რქა ოქრო-ვარაყიანი
მძვილდი შოზიდა, ისარი
მღერით გაფრინდა ფხიანი,
თეძოს ლაერჭო, საკვდომად
ვერ მიაყენა ზიანი.

ველარა მისწვდა, გაეჭცა,
ჯებირი შეხვდა წყლიანი.
ცასა შესჩივლა ვარამი,
აღმოხდა სიტყვა წყლიანი,
ათრთოლდა წიწვი მოსმენით,
დადუმდა სი ფოთლიანი.

*
ენიშნა ბედის სიმუხთლე,
ცრემლი დასღინდა მუმუნკარეს,
ჩამოჯდა, წყალს დააჩერდა,
ნაპრალთა შიგან მდუღერეს,
აღარ დაშურნა ჩივილი,
ვითა მართებდა მწუხარეს
მისი გოდება ესვოლა
კლდესა, ხევდისგან მდუმარეს.
ორუბელი ჩამოსწოლოდა
ვით კაეშანი მუნ არეს.

*
ჯერ კიდევ ცრემლი სდიოდა,
არ დაესრულა წივილი,
ანაზღად მაღლით მოესმა
ქალის საზარი კივილი.

მწვერვალთა ზეცას გასტყობინეს
გულს თღმოხდილი ყიფილი.
წამოხტა, ყურნი მიაპყრა,
ჭარივით ქროლა ჭიკილი.
ჭათა ისარი დაჯრჭო
გულს სობრალულის ტკივრლი.

*

ვერ გაევო, თუ რა იყო,
დასადგურდა გულში დრტვინვა;
კა ღრუბლებით ჩამოხარდა,
ხეაც მოძალა ვითა გრგვინვა.
მიხვდა — კაცის გასაჭირში
ულონთა მხოლოდ გმინვა,
უფალ ექმნა გულას თქმასა,
ჭირი აღარ გაიკვირვა.
ჩა მთის მწვერვალს ჩიაშურა,
სალ მეფობდა მხოლოდ ყინვა.

*

მთა ზეცას მიტჯეშილიყო,
ბოლო არ უჩნდა სავალია,
გადაუსერა საგჟური
ფოცხად მოჟერთილ ნაბრძოსა.
ზერელად დაედრონტ სალი კლდე
მდინარეს — ნაკაღ-მრავალსა.
კალმახი ბილიკს შეუდვა,
ოდენ მხეცთაგან ნავალსა.
იარა, მალე დაიგდო,
ველარ ხულავდა სხვა კვბლია.
ფერხთ მოეკვეთა, დაღონთა,
კლოვ დაეუფლა შიშვიალსა.

*

მხედ ჭაბუკია სულკალმახ,
 გული რომ უცემს ლალადა,
 და უჩანს ბედის საფარიდ
 და დედამიწა ბალადა.
 რა ქნას ოუ კლდისა წალკდტმა
 ჩალის ფერისა გახადა.
 ვერ ურიგდება — დაბლობსა
 შემოექციოს გლახადა.
 შეხედეთ ჭაბუკს ოსტატსა —
 იმედს საფარი ახადა —
 ყმობიდან ხელის საწრობად
 რკინასა სჭედდა რალადა.

*

კლდისა ნაპრალსა განერთხენ
 ხმები, ვით ნამეხურები.
 ლრინავდა მხეცთა სამყოფი,
 სისხლისთვის მონაწყურები.
 შუბლი შეეკრა სულკალმახს,
 ალისებრ განახურები,
 გულის სიმების დაწყვეტას
 უსმენდა მისი უურები.
 ნაპრალს შეება რეინითა
 შრომის არ დამაშურები:
 მთის მწვერვალამდე, ზეცისკენ
 ჩასჭედა საფეხურები.

*

მთას ევედრება სულკალმახ,
 ვარდი ზაფრანის ფერია:
 — „მთაო, დაჰხარე გუმბათი
 ლრუბელთა დანაჭერია,

შენი მწვერვალი ქეძახის —
მის იქით არაფერია,
მაღლა ამართულს თვით გესმის,
ხეცა რომ მშვენიერია —
შენს გზას მოვყვები — ზეასვლა
დღეს, მონაღირის ჯერია.
გული ჩირალდნად ავანთე,
სანათად ხელთ მიჭერია,
მაღლითგან ქალი მეძახის,
მთვარისა შესაფერია:
მთაო, ღაპბარე მწვერვალი,
ლრუბელთა დანაჭერია!“

* * *

ზევები ყურსა უგდებდნენ
ოხვრასა სულკალმახისა,
გულის სიმეტზე ნაელერსა
გორებას სივაგლახისა,
მიწას შორდება — ზეცაში
საქმნელად განაზრახისა.
ცასთან სიახლემ უმატა
სიძიმე სულთამა-ახისა,
გულს შემოერტყა ნასკვენი
გრძნობით ნაქსოვის მახისა,
ცეცხლში იწვოდა ნაზაფი
მიწისა, წყლისა და ხისა.

*

რა შეაჩერებს სულკალმახს,
ახლოდ მთების მწვერვალი,
ბეღდის სალტეებს მიამსხვრევს
ბეღნიერების მკერვალი.

შემოხვდა ქალი კეპლური—
ბატრი მთვარისა მწყვალი,
სიზმარი ცხადად ქცეული
და სიტკოვების მძევალი.
ჟეცა მისი მშობელი,
მოა აკვის დამარტევალი.

*

სულკალმახსა გახევებულს
დაუბნელა სხივმა თვალი,
შეუდრეუელ ჭაბუკიაბის
დაშოა მხოლოდ ნაათალი,
მაგრამ მისმა დანახვამაც
დააღუმი ღვი ჭილი,
არ ჰეიოდა, თუმც რისხვისგან
ბავე ჰქონდა ვით ფიქალი.
სულკალმახმა სულის ფერტულს ქვეშ
გააღვივა ნაპერწყალი:
— „მითხარ, ფინ ხარ“ — დაიკვნესა—
გულის ხანდახს მოსწყდა ალი.
ქალმა უთხრა: — „მონადირეს
არ გასწია ხუთუ დალი,
ხადირობის მოამაგე—
და ნალირთა დედოფალი?“
სულკალმახი მოლად დაიწვა,
გახდა ვითა ნაღვერდალი:
— „რა ფიცოლი, თუ ამ ტყეშ
შემხვდებოდა ჟეცის ძალი;
უხილავი სილაპისით,
ვით მნითობთა პატარძალი“.
ქალმა უთხრა: „მონადირევ,
აგრევია გჩა და კვალი,

თუ რომ ჰეთიქობ, ტკბილი სიტყვით
ინადირო ვნების ცალი.

შენ ჩემ შიკრიკს ისრით ავნე—

კოხტა თეძოს დაწვე რვალი,

რა არ მოგვარი ნასურვებსა,

თუკა ვიყო ეშხით მთვრალი.”

უთხრა: — „მჩერით დავიჭერთლე,

გულს მოედო ცეცხლის რკალი.

მითხარ — იქნებ სიკვდილამდე

მოვიზალი ცოდვის ვალი;

მზად ვარ სული შემოგწირო,

მიწას მივსცე ლეში მქრალი”.

*

ბჭობა არ უნდა სულკალმახს,

თვით იცის დანაქალია.

ცის თაღებაშიდე სიკეთე

ნადირთა მეფის ადია.

ფერხო დარკალმანსა დაუგო

ვეღრება განაკვლადია.

ვეღარა უძლებს ლეთაებაც

ვნების ვეღრებას — ცხადია.

ულრან ტყეებში ეულსა

გულისთვის რა აბადია —

გრძნობს: ლოცვა სიყვარულისა

სიტყვით ნაქსოვი ბალეა;

სურს მოხადირე — ვისთვისაც

ცა — ქული, ტყე ნაბადია.

*

გაშალა ოქროს ნაწნავი,

სულკალმახს ვადააფარა.

მოზიდა მკერდის მორცები,

მათზე ყვავილი ახარა.

მიწიერ ყოფნის დღეები
სულგალმახს ახსოვს აღარა,
ბედნიერების ნაკადმა
გულზე სიამე დაღვარა,
სხვა შისგან შეგების მშვერვალზე
მას აღარ უნდის არარა.
ქვეყნიერ კაცის შეხებამ
ღმერთების სულდ დაღარა.
სიხარულისა ნაკადი
იყო ცრემლივ-თ ანკარა.
გაშიშვლდა ზეცით ნაშობი
მიწიერების ამარა,
ვნების სარეცელს კარავად
გადაეფარა კამიარა.

2. ამპავი სედევდახახის გეულისა და გერი მეგონის ნაწილისა

კალმახის ცოლსა ენიშნა
სანახბობა ტიალი:
კამარას. ჭოსწყდა ვარსკვლავი,
ქვეყნად შეეჭნა გრიალი.
იწვოდა სახლის თაღები,
ბელელს გაჰქონდა ბრიალი,
იამოდა ირგვლივ ყიჯინა
და უთავბოლო რიალი:
უსიპისა და ბადრისა
გულშემზარავი ზრიალი.

წამოხტა, იცხა გრძნეულმა
ბედის უკუღმა ტრიალი—
რომ დაკარგულსა სულკალმას
გაუჩნდა სულის ტრფიალი.

*

შინ მისკვლისთვის დაჩქარებით
რად შეიწყენს კაცი თავსა,
თუ გრძელი გზით მოქანცული
შეეყრების კოჭლსა ყვავსა.
სულკალმასის ცოლის პატრონს
ნურვინ ეტყვის ნურას ავსა,
კოჭლი იყო, თვალიდ ნასი,
სახით ჰვავდა იტი სფავსა.
ჭრელთა თვალთა კიდურებზე
დაეჩია კვალი ხავსსა,
მასთან ქალის უნახავიც
ვერ იქმოდა, საძრახავსა.

*

სულკალმასისა შეულლე
გზასა გაუდგა გრძნეული.
ძმასა—ცამცუმისა მიანდო
ბარტო და უსიპ ეული.
ცამცუმი იყო ძმობაზი.
ერთგულებასა წვეული,
ჭაბუქთა შორის სიყრმითვე
ჭიმტკიცით გამორჩეული.
ჭმრის ნაკვალევსა ეძებდა,
არ დაეტოვა ხვეული,
ძოლოს შენიშნა კიბური,
კლდის ნაპრალებში რღვეული.

ცალ აჭიდულა ნაპრალი,
ჩამონარეცხი შვავითა.
ფეხმარდად აღის დიაკი
საძლისელითა შავითა:
გადაიშალა დაბლობი,
თვალუწვდენული ზღვა კითა,
სერებზე ტყეთა ნაბადი,
ამონახეთქი ხვავითა.
გზას უადვილებს გრძნულსა
გული ნავსები ივითა.
ვერ დააბრკოლა სიკოჭლემ—
მწვერვალზე შეხდა თბა ვითა,
იქ შედგა გაქვირვებული
უცხო რამ. სანახავითა.

*

ქაბისა ქარსა მიადგა:
შიგ წანა მწოლიარენი,
ერთმანეთს სხივით მოსავდნენ,
ვითარცა ტყუბნი მთვარენი.
ძილს არ აფრთხობნდენ ნალხენსა
დადუმებულნი არენი,
ქალსა ეჩვენა სამარედ
კისა და ქვეყნის მხარენი.
შურის ცრემლებში ჩაახრიო,
თვალები მგლოვიარენი,
შუბლზე გალავდნენ ღარებიდ
მოვონებანი მწარენი.

*

დაძინებულ ქალს მივართა
ფეხაკრეფით; როგორც კატა,
ოქროს ფერი თმის მშეღნებაში
გულში სევდა მოუმატა.
ნაწილებსა, ვითა ვარაყს,
დალი შეეგბრ მოეხატა.
მიხვდა,— მისი სულკალმახი
ამ თმებს მოზად გაეხადა,
გაძრცვილ ტანსა ქალის თმები
ესხნა, ვითა ოქროს ფარდა.
მონადირის ცოლი შედრება,
სანახავსა შეუტარდა,
იქვე ოქროს მაკრატლითა
თმები მოსჭრა, არ აჩქარდა.
მიდის— თმებიც თან წაიღო,
არა უნდა აჩხს გარდა.

*

ტირიას ვერხვის უოთლები,
მთანი ტირიან ტყიანნი,
რომ ქალმა ქვეყნად წაიღო
თმა ოქროს გარაყიანი.
დაობლდა მყინვარ-მწერვალი
და ხევი პირუტყვიანი,
ვეღარ ჯერიან ნალინი,
გახევებიათ ყიანი,
გოლვით ნაშრეტი რუები,
ცრემლისგან გახდა წყლიანი.

3. ამბავი ეგერუაი სიყვარელის

ულმობელ ჟამის მერანო,
 სად ჭიპერი ავრე მალეთ,
 მწარე ამბავსა აშშადებ
 ხულკალმახისთვის ხვალეთ.
 თუ რამე შეუცოდნია,
 სიკეთედ შეუცვალეთ,
 უბედურების ამბავსაც
 ნუ ეტყვი, დაუმალეთ.

*
 ღილით სხივი ქრაბს მიადგა,
 მაგრამ არ სჩანს მისი ტოლი,
 არ უღიმის მზაურ სხივებს
 ნაწნავების ოქროს ჭილი.
 ჩაჭკრა სხივი; დალიც შეკრითა,
 წიმოიჭრა ანაურული,
 კლდის ძირივით დაუმძიმდა
 სევდა გულზე დანაწოლი.
 აღარა აქვა ოქროს თმები,
 და არც სახე, ვითა ბროლი.
 გულს ისარი გარეობია,
 ვერაგობით განასროლი.
 აღარაა ღვთის ღილებაც,
 აჩრდილივით შორით მსრბოლი:
 ღმერთნიც ბედსა მორჩილებენ,
 თუ შეიკრა ცოლვის რვოლი.
 — „აკი გითხარ—ეუბნები—
 ხიფათს შემყრის შენი ცოლი,
 თუ მან შენი კვალი ჰპოვა
 და გიხილა ჩემთან მწოლი!

აწ მე რა ვარ—თმა დავკარგე,
ციურობის დანაყოლი,
გაძრცვილ ქალ-ღმერთს არ მორჩილებს.
არცა ტყე და არცა შოლი!“

*

— „რად მინდა შენი ღმერთობა,
სიყვარულისთვის იარი.
ოქროს ნაწნავი რას არგებს,
ვინც დაბადებით მზე არი.
ეგ შენი თმების ჯეჯილი
თუმც გალეჭილი ბზე არი.
სიყვარულითაც გავხდებით
ღმერთობის თანაზიარი“. *

— „გარდახდა, მონალირეო,
დრო სიყვარულით მოდგისა,
ალსრულდა—მახვერპლი შევიძენ
მე მიწიერი ცოფვისა.
ვერ მიხიდნია სიმძიმე
გულზე დაწოლილ ლოდისა,
დავაგდე სა იხინებელი,
მუნდა ფიდოდე როდისა?
დამიროავს ნები ნებისთვის
— განგების მონაწილისა.“ *

თვალთ დაუბნელდა სულკალმახს,
დალონდა გული ძლიერი,
ალარცა ურჩობს სქეული,
სიყვარულისთვის მშიერი.

შედაგს, აღაო ჭირის ველრები
ჩა ლოცვა ვნებისმიერი,
ჭირშიაც მტკიცი შეიქმნა
ზეცისა ეს ჩაშიერი.
უოჭროსთმებოდ დარჯალონს
ჩალის ფრად ეჩცა იერი.

*

უბრძანა: — „ გეტყვი ანტერძანა,
ისმინდ სიტყვა დალისა.
ომერიად მომგზავნა ზეცამა,
გული კი მომცა ჭალისა,
ტაროძა ფერფულაზ მაქცია
სიყვარულისა აღისა,
დავკარგე ოქროს ნაწნავი,
ნიშანი ჩემის ძალისა
არ ვინანიებ ბელშავი
მოხდენას მოსავალისა.
დღეს გავარიგოთ საჭენი
გარდაუფილის ხულისა ”.

*

ესმოდა საწყალ სულკალმასს
ბედითი ყორნის ჩხავილი.
შესძახა: — „ ჭალო, ფუტკარსა
შაწოვე მკრი ის ჯვარილი ”.
ჭირში მისი ჩმი ისმოდა
კით დაჭრილ ტრიშის ბლავილი.

*

კავკასიონის ღრუბლებში
აგრე ებრძანა ტაროსსა:
რომ ცოდვა დარჯალონისა
თითონვე შან ატაროსა,

ოდესმე მოვა განწენდით
ალვილსა სანეტეროსა,
თუ რომ გაივლის მოთმენით
ქვეყანას მას უდაროსა.
ჭალ-რმერთის კოდებ კაკთანა
შემუსრავს ღმერთთ სამყაროსა.
მესთვის მიეცეს დარჯალან
სასჯელია ვეუდაროსა:
თავისი პირვეზო უდაბევ
საშოში გარ ამყაროსა!“
ლრუბელთა მეფემ დაძინა:
— „თუ ესეც არ გვმაროსა,
დავუშრებ დაორს ნაშიერს
ჩე სასიცოცხლო წყაროსა“.
სთქვა მისმა ქალმა ქამარმა;
— „ნულა იქმთ შესახაროსა;
ღმერთის და კაცის ნეტოთით
ოცნება ჰობს საქმაროსა“.

*

მაუთხრობს დალი სულკალმას:
— „არ გვმაროებს ბერის ჟვედრება,
ღმერთთა სამსჯელოს განახებს
სიმართლით რა შეედრება!
ჟეცისა ნებით მე შენი
შვილისთვის არ მემდედრება,
ვატარო—ბოლოდ მაუნდის
ღმერთთა საბრძოლად მხედრება.
ამოძვირ პირვეზო საშორან,
ეს არის ჩემი ჟუღრება“.

*

ეგე სიტყვა სულკალმახსა
 თავში მოჩვდა, როგორც რეტი,
 წამოიჭრა, შხამი იგრძნო
 დამწვარ გულში ჩანაწრეტი,
 მაგრამ რა ქნას—ისიც უწყის,
 გზა არა აქვს ამის მეტი:
 ბრძანებისებრ გასჭრა საშო,
სარდუმლოთ დანაკუტი—
აძლილო თვისი პირმშო,
ვარდი ვარდზე მონაწყვეტი.

*

ქალს დახედა: ცოდვის მსხვერპლსა
 დასჭკნობოდა სახეს ვარდი,
 სუვლის ფურცლად იპნეოდა
 დაფლეთილი გულის დარდი;
 ხეს ნაყოფი მოეწყვიტა,
 ყვავილსაგან განაზარდი,
 ჩვილსა ყურძენს შემოძრცვოდა
 ავდრობისგან მცველი ბარდი
 და გულგრილად ამ ამბავსა
 უაჰყურებდა ზეცით არდი:

*

უწყის დალმა—არდარჩენას
 უქაღებენ ყრმასა ცანი,
 რომ ზეციერთ ბრძანებისგან
 არვის უჩანს გასიჭანი.
 მაგრამ იგი ხომ მისია,
 მისი სისხლი, მისი ტანი,
 მისი სახე გულს შეზრდია,
 ცის თაღებში წასატანი,
 ზეცასა და ცოდვის შორის.

დალს არ ჰქონდა არჩევანი;
 მისცა ბავშვის გასაზრდელად
 სულკალმახსა მან რჩევანი:
 ვით გახვიოს, რითა ჰქონდოს,
 და სხვა კიდევ რამე რანი,
 და დასძინა, რომ დაერქვას
 ცოდვის შვილსა „ამირანი“.

ნაღორთ და ტყეთა ლშერთ-ქალშრ
 რთ ვაიღვიძა ლედამა,
 შეისვე მოიცვა სამყარო
 შურისძიების ბნედამა.
 კუპრივით შავი ლრუბლებისა
 პირი შეიკრა ზეცაძა,
 რომ ვას-სენოს დარჯალანი,
 თუ იგი რისთვის ეწამა.
 ბედის წინაშე ამაოდ
 ტანი მოდრიკა ლერწამმა —
 ვერ შეაჩერა ვრიგალი
 ცრემლით ნაქარგმა ხეეწნამა.
 ცად აიტაცა ცოდვილი
 არარაობის ერთ წამმა.

4. ეპეპი ემისანის ჩაგადებისა და მისი დარ-მამის გადაკარგვისა

გადაკარა ლრუბლები,
 წრე მიიწურა უამისა.
 სულკალმახს ხსოვნა დაგავდა
 უბედურების, წამისა,

სიმღერით გლოვლა, ვერ ჰპოვა
გზა უკეთესი ამისა,
კლდე ვერ გაალო სევდისა,
მის გულზე შენადგამისა,
ყრმასა დახედა, მოუნდის
თქმა საალერსო რამისა—
გულში შეიბნენ გრძნობანი
ტრფიალისა და ვაჭასა.
დააგდო არე, მომცუმი
ვაების და ვარამისა.
ამირან გულზე მიიკრა,
იარა გზა მოწამისა.

*.

მონადირის ნასახლართან
სულკალმახის მოდგა ჩრდილი.
სარკმელითგან ჩაიხედა,
ყრმა ეჭირა ხელში ჩვილი.
ობლად შთენილ საჩეცელში
შეამჩნია ორი შვილი,
ვაუკაცური სიამაყის
იმედებთან თანაზრდილი.
მოგონების მწარე ფიქრებს
გადაეკრა სევდის რთვილი.
მწუხარების ნაღვერდალში
გული გადნა, როგორც ცვილი,
იქვე დასდო ამირანი,
მოახვია ქუჩქი თბილი,
სევდიანი გადანედვით
არ დაუფრთხო ყმაწვილს ძილი.
გაპჭრა, ფართო გევეყინაზე
აირჩია მან გზა წვრილი.

დიაცეა ჭირში მყოფელსა,
 რა შეუძლებელი ლამესა!
 ძილ-ღვიძილშია ხედვიდა
 გარდახდილ მრავალ რამესა;
 მრიგონებდა იმ ლამეს,
 ლამესა მას უამესსა,
 მომდევნო ჭირის დღეებმა
 რომ ასე გააწამესა.
 უსაბრალისოდ შავბედმა.
 თაფლი ნალველში გალესა—
 ალარ ჰყავს არც სულკალმახი—
 მოედო ტრფობის ბაღესა,
 შასზე ბოროტის თვალებმა
 ზეიმი ლაიქადესა,
 მიეცა ქალი ფიქრებსა,
 ჭირზეაც უვარამესსა.

*

ჩმა მოესმა, სარკმელს მიდგა,
 დაინახა ყრმაი ცოტა.
 წამს მიძრა, გულს ჩაიკრა
 ის—ბეჩავი შეეცოდა,
 თუმცა, მისი აქ მოტანა
 ვერ გაიგო, არ იცოდა.
 — „ცას მაღლობა → “ წამოსთქვაშდა—
 იგი ვნახე, რაც მინდოდა,
 ბატ-ისა და უსიპისა
 დარწევაში მომშველოდა“.
 ღვთის და კაცის ნაშერი
 ყოველ უამით იზრდებოდა,

საცერევით თვალნი ედგა;
ოქროს კბილი პირში ჰქონდა.
იმ კბილისგან ოქროს სხივი
მიღამოში გამოყროლა.

*

მონადარისა მეულე?
რა ნახა იგბ ნათელი.
ნამდვილი სხივის საჭერეტად
მყისვე გაძქრო სანთელი.
რაღაც ენიშნა, შეიკრი
გული სევდისგან ნათელი.
ფერის მსგავსებამ სინათლე
უჩვენა მას წინანდელი.
ეზმანა ოქროს ნაწნავი,
კირისა ჭირზე დამრთველი
ჭვა გამოილო კედელში,
სადაც რომ იყო სარკმელი.
მონახა ოქროს ქსოვილი —
ქალ-ღმერთის თავის სარქმელი,
იმ ყომისა კბილსა დდარა —
იგია — რა აქვს სათეალი?

*

ხანი გამოხდა, დიაცსა
სევდა გულისა ემატა,
ტყემ მოიშორა ფოთოლი
მიწისთვის მწაცემიდა.
ცამ წამოისხა ნალეველი
ფრინველი შექრბა თემადა.
ქალსა ყოფნიდა ფიქრები
ლამისა გასათევადა.

ურთ ფლეს დააგდო ყმაწევილნი
კამუშმის მოსახედადა,
გჩისა გაუზგა უცნაურს,
შეულლის მოს:ძევადა.

*

ვინ მისწვდა იმედს დაკარგულს
კად ლრუბლებამდე აფრენით,
ან სიყვარულსა გარდასრულს
ტყის და ბილიკის ორბენით,
არც არის მიცვალებული,—
იტირონ ცრემლთა დადენით,
არც სალნჯეა — ღასთვალონ
ზომით რაოდენ რამდენით;
ქალი ალლობდა სევდასა
სისხლით, გულიდან ნადენით.
სჩიოდნენ დაობლებულნი
ზაფრანაზ შეცვლილ ბაგენით:
— „ბადრი, უსიპ და ამირან
ობლები დავიბადენით,
დევები გვემუქრებიან
დღე და ღამ ჩვენი წახდენით.
კამუშმა დევებს შემუსრავს
მათ ზურგზე მტვერის ადენით.
ეამსა და ბეღსა მანამდე
ჰაბუქად გავეხადენით,
ნეტავ თუ ვალი ჩვენზედა
ოდესმე მოვიხადენით?“

5. ამბავი ეპიკანისა და მისთა რჩათა შეიაგაღებისა

ნეტავ ისეთი ვაჟკაცი
 თუ საღმე ინახვისაო,
 არ ეშინოდეს კაცისა
 და არც ზეცაში ლვთისაო.
 ამირან იყო ვაჟკაცი,
 პატონი ლვთის რისხვისაო,
 ხმალი და შუბი უნდოდა
 ჟასამარცხებლად მტრისაო.
 გვდლებთან მოდის თანხლებით
 ბადრის და უსიპისაო.

*

ამირან მოდგა ქმებითა,
 შინაა რკინის მჭედელი.

ხოგორც მართებდა სამჭედლოს—
დაჯორგილია კედელი,—
 არეულია რკინები
 და სახლი დაუხვეტელი.
 დაბალ სალამსა შეპჭადრებს
 სამის ჭაბუკის მჭვრეტელი.

*

— „ამა, მჭედელო, მობრუნდი,
 იარალ გვინდა სამხელი,
 ხმალის და მშვილდის სიმაგრე,
 ცენება შენთვის სახელი,
 თავს ნუ შეირცხვენ, წახლება
 შენი სამშემოო სახელი.“

მჭედელმა ყოვლი მოპგვარა,
 თარია რის იყო მზრახველი.

უსიბს და ბადრის ეფარგა
იმა მჭედლის ნახელი,
ამირან ყველა გასტეხა,
რკინას შეავლო რა ხელი.
მჭედლი მჭედლებს ეძახის:
— თუ ხართ ასეთის მნახველი!

*

შემოქრენ იჩველივ მჭედლები
რკინისა იარაღითა,
შველად და ბხლად ჭედილი
ერთად ჩამოაქვთ თაღითა —
რკინა შემტკიცებული
ფოლადის პირთ საოთა.
შშვი ღადები აღბეჭდილია
შველთა ოსტატთა დალითა.
ერთი მოსწია ამირან,
ღასტეხა ხელით უაღითა.

*

— „ამირან, მჭედელთ სამტეროდ
ნეტა რამ წაგახალისა,
ჯავრსა ნუ იდებ გულშია
ხალხისა ამ საბრალისა. . .
ნეტა სიდ ნახოს მჭედელშა
სამშვილდე შენის ძალისა,
უროთი ჭედავს საბრაოო,
სანაცელოდ საბერვალისა;
შიტობაც რკინას ძალა აქვს
ბრინჯაოს ანუ რვალისა.
სხვა იქნებოდა, რომ იყოს
გამონაწილობი აღისა“.

შეკედლებს უსმენდა ღიმილურთ
ის — ნაშიერი დალისა.

ესახუის ძალა ციური
ცეცხლისა გაუმჭრალისა,
შინ გაუკროება ნათელი
ელვის შევალი ქალისა.

*

ამირან რკინა ითხოვა.

თორმეტი ლიტრა წონითა,
ცეცხლში ნაწილობსა რკინასა
უკედავლი მთელი ღონითა.

სამჭედლო გასკრა ხიაურით,
ყურთა ვერ შენაწონითი.

შეკედლები კედლებს გაეკრენ
გულითა დანაკონითა.

წყალგალმა გარბის ცხოველი
საცურავით და ფონითა...

*

ჰე, რა დღე პეტონდა ამირანს,
როცა მის ხმალი წრთებოდა;
სამჭედლოს მთელი ძიდამო
რკინის ხმაურით სკედებოდა;
გრძემლზედა რკინა ხვიოდა,
სამჭედლო ექანებოდა,
შეკედლები — მემჭედურება
ერთმანეთს ეფარებოდა,
ბაღრი და უსიპ ძუთხეში
იქით და აქეთ დვებოდა.

ჭათავდა, ოდგენ მჰედლები,
შიშისგან შენაზარები —
სამჰედურისგან გამოსვლად
ძლიერ-ლა მონახეს კარები.
გარედან ხალხი მდგარიყო,
ხმაურით შენაჯარები.
მჰედელთა რკინა გასინჯეს,
ფოლადის შესატარები;
ამირანისოვის გაჭედეს
ყოველი დანაბარები;
პირმომახული მახვილი,
შევილდი, შუბი და ფარები.

*

ამირანისა საქმეში
ნეტა თუ კაცი რეფია
თორმეტრ მშვილლი ღაუდეს,
თერთხეტი დაუმსხვრევია.
ვინდა გაუძლებს ამირანს,
გმირი, მავნე თუ დევია!
ბედის ვარსკლავსა ლამენი
მის ბალში გაუთევია;
ბეწავ მჰედლებმა წააგეს
იმასთან სანაძლევია,
პირდალრეჯილნი წავიდნენ,
შერცხვენილ-ლანაძლევია.

*

— „ამირან ჩვენსა შერცხვენას
რადა ხარ მონაშეყურია?!
ჩვენი ხელობა ძველია,
მიტომაც გვტანჯავს წყლულია.

ოკინისა მოპოვებაში
კურ დაგვამცირებს შურია,
წინაპართ ასე უქმნიათ,
ძველთაგან ნადასტურია —
რომ ალგეთისა მიღამო

შთელ ქვეყნის სამჭერურია.

ამა ამბისა მოწმეა

იხდო, მისრი და ურია.

თუ საღმე ხმალი შძლეობდეს,

უსიტყვოდ აქაურია,

ხოლო ევ მტრობა ჩვენდაში,

არც ვიცით სადაურია”.

ამირან უთხრა პასუხი —

ხუმრობაც გამაურია:

— „მე ზხოლოდ ძალა გიჩვენეთ,

ამად ხართ უმაღლურია,

ისაა ჩემი ხელობა —

საკა რა ვაჟკაცურია”.

6. აგბავი სამთა ძმათა აღგეთმი ნასვერისა

ობოლთა ბედი ამ ქვეყნად.

ყველაზე მწარე ბედია,

მისი არარად ჩაგდება

არაურთს გაუბედია.

ობოლთა ჭირით სარგებლობს

ამ ქვეყნად ვინც თავსედია.

შათი მფარველი ერთილა

ცათაგან არსთა შედია.

ცამცუმის ფარი და ხმალი
დამცველად განაკედია.
თვით უამბნიათ ობოლთა,
რაცა მათ გარდახედია.

*

ასე ამბობენ, არ ითქმის
მათი ნათქვამი სხვა ენით:
„ბაღრი, უსიპი, ამირან
ობლები მოვიყარენით.
ღველფ არ გვინახავს, კერაი,
საჩალეს მოვიზარდენით,
ვინც კარგი გვიურ ობოლთა,
მაშველად დავეტანენით,
ვინც ავი გვიყო ობოლთა,
მას შინა შევეტანენით.

*

ოდეს ობლები დავცვივდით
ზღვარაკად კაეშანისა,
ანაზღად ჩვენ წინ წარმოსდგა
აჩრდილი დარჯალანისა;
ამირანს რელი აწვდინა
საჩომად მხართა განისა,
დაიწყო ნიშნით კუროხევა
მღვილდის და გასაგანისა;
მერმედ სამთავეს მოგვითხრო
მოხამატებლად ჯანისა:

*

— „ჩემი დარდი და ვარაძი
დღე მუდამ თქვენ იქნებითო.
იზარდეთ დევთა სამტეროდ
ზუციერ ლმერჯთა ნებითო,

მაგრამ ერთდეთ — ანაზღაუ
დევნებს ნუ შეეყრებითო,
თუ შეეყრებით დევნებსა,
ადვილ ნუ გაეყრებითო".

*

ცამცუმი წახდა. უმისოდ
ობლები მოვიზარდენიო.
სამნი ჩვენ, სამას დევნები
ბალხეთსა შევიყარენით.
თავს მოვხვდით ბალხის კარავასა,
ჭოლოში გავიყარენით.
ამირან დევნებს ლეწავდა —
უურებით გავიზარენით;
ჩვენ ომი ვერა გავაგეთ,
თარები მოვიფარენით.
დავსხედით დვინის სმაზედა,
ზოგნ დევნიც დავიტანენით,
ვინცა სვა-ლვინო ჩვენთანა,
ძმურადა გავეყარენით,
ვინცა არა სვა. — დავკარით,
სამყოფად არ ვიწყალენით;
წაუხდათ მათი დევობა —
ხმალს ქვეშე მოვატარენით.

*

დღეს ჭამუქია ამირან
მეხსა წაართვა მეხობა,
აღარ გაუვა დევნებსა
ჯავრი და პირუქმეხობა.
მტერმა-არ იცის — იმისგან
თუ პირი სად დაეყოუა,

ცოტა კაცია ამირან, ·
ცოტა სმა-ჭამი ეყოფა:
საღილის ბუღა კამეჩი
ვახშადაც არ გაეკოფა”.

*

საძი მნათობი - ჭაბუკი
არ გვანან დაბადებულსა,
სწორავენ ბრძოლის ტალღასა,
საომრად აქაფებულსა.
სადა შათი მებრძოლი —
იქმოდეს დაჭადებულსა!
ქვეყნად მოსულნი მნათობნი
სხივს გვანან- აღზევებულსა:
ბაღრი ქალსა ჰევა ლამაზსა,
საქმაროდ გამზადებულსა,
უსიპი — ბრძოლის ციხესა,
ჟავ-ბოლოდ გამაგრებულსა,
ამირან — შავსა ლრუბელსა,
საავტოროდ დამზადებულსა.

*

უმი გარდახდა, ცამცუმის
ველარ ენახაო მცნობელი
ანაზდად კაცი არ, სჩანლა
მისი ამბისა შთხრობელი,
მის ჯანად ყოფნის არ უყო
არც ერთი მახარობელი.
შეეკაზმენ და დააგდეს
სამშობლო და სამყოფელი,
გადიარეს არ-ურთი
ციხე-ქალაქი, სოფელი.
კავშირისა სტოცებენ

თვალზე ცრემლ-შეუშრობელი,
ალგეთის მიარეს მიმართეს,
სხიურ დვა გაუკრთომელი.
მნათობთა სამყოფელოში
მათ ედრებოდა, რომელი!

7. ამბავი ნაღირობისა და სამცხამის კომპისა პოვნისა

მთებში ნაზარდთა არწივთა
ნეტა რა უნდა ბარადა,
ვის მიჰყებიან ვარსკვლავნი
ზმანების მოუბარადა.
ძალა არ ყოფნის მნათობთა
სამ ჭიასთან შესაღარადა,
მათ შეჭიარიან ხევები,
მავალნი ჟეცის კარადა;
მიდიან სახლით გასულნი
მძლეობის ანაბარადა.
ხვალ ნაღირობა დაასკვნეს
ყრმობისა გასახარადა—
რომ ობლობისა დარღები
მათ აღარ უჩნდეთ არადა;
გააგეს ტყეში ბანაკი
ჭაბუკობ წესის დარადა.

*

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი შისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი;
მინუორს კვალი გაუკვლიეს
დანაბეჭდი ეშმაკისნა:

მთას ირები წატოუხტათ,
ოქრო იყო ჩქანი მისნი.
უცხოს მთაზედ კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი.
გაუარეს განით, ირგვლივ,
ვერა პოვნეს კარი მისი.
სადაც მჩემან პირი მოჰკრა —
ამირანშა შუხლი მგლისი —
კოშკმა პირი იქ გაალო.
იქ შეება კარი მისი.

*

სამთავე კარი შეალეს,
პირქუშად იდგნენ თალები,
საუნჯის კართა ალეწნებ
კლიტენი და გასაღები,
რკინის ნაბიჯით ვიდოდნენ
ციხის წიაღში ლალები.
კოშკიდან დაბლობს გაჩერეს:
გაღამლილიყვნენ ბაჟები.
დარბაზს შევიდნენ — ზლვა დადგა,
აქაფდნენ ცრემლის ტალლები.

*

კოშკში ლომი წოლილიყო,
არვინ იყო მძრავი მისი,
მას რომ თავით რაში ება,
ტორით მიწას თხრიდა ისი,
მარჯვენავ შუბი რომ ეყუდა,
წკერი ცასა ხევდა მისი,
მრცხნივ ედო თვისი ხმალი,
პირი ჰქონდა ალმასისი.

სამთა გრილთა გარევიორეს
 მონათხრობი გულისოქმისა;
 უსიპშა და ბაზრმა იცნეს
 იგი ხმალი დედის ძმისა.
 ცამ ლრუბელი გადიყარა,
 გადნა ნისლი შავი დღისა;
 ღითქოს კილეც ახლო არი.
 გასაგანი შორი გნისა.
 სევდა ისევ იზრდებოდა,
 დგა აჩრდილი სიკვდილისა,
 ერთ კუთხეში ოქრო - ვერცხლი —
 ნაგროვები ცამცუმისა,
 გვერდით ეჯდა დედა-მისი,
 ცრემლთა დენით სტირდა შვილსა,
 თავით ერთი ქალი ვჯდა,
 ცრემლი ერწყმის ტალღას ზღვისა,
 თვით ცამცუმსა თითებს შუა
 წიგნი ჰქონდა ქაღალდისა.
 წაიკითხეს — შიგ ეწერა —
 — „დედის ძმა ვარ უსიპისა.“

სამთა ჭაბუკთა ლაწვებნა
 არ აკლდა ცრემლით ლამება,
 სამივე სევდის ღიაცია
 დუმილით ესალამება;
 ცამცუმის გვამთან ღასრულდა
 პოვნილი გნისა ამება,
 თავჩაქინდრული ცხელრის წინ
 დგა მჩეჭაბუკთა სამება.
 წიგნი გასინჯეს, ეწერა
 ბიძის განცრილი წამება:

— „სანამ ვიყარ; მტერი ვმუსოე,
არ შევჭამე ჯავრი სხვისა,
მოვკვდი, ერთი ჯავრი. გამყვა
მხოლოდ დევის ბაყბაყისა;
ვინაც მოკლავს ბაყბაყისა,
ჩემი შუბი ალალ მისა,
მახარობლად ვინც მამიგა,
ჩემი ბმალიც ალალ მისა,
ვინც მომივლის და დამშარხავს,
ცოლი, რაშიც ალალ მისა.“

*

რა წაიკითხეს, ემძიმათ
გარდასაფალნი ბიძისა,
მისი ტანჯვანი და ჯავრი
იმ ბაყბაყის ბილწისა.
ალარ იდარდეს დაგდება
თვისი სამშობლო მიწისა;
უედართან სამთავ მოუნდათ
დება ჭაბუქოდ ფიცისა, —
გარდა ნათესავ სისხლისა-
რკინითა შენამტკიცისა.
ვეღრებით ცასა მიმართეს,
ვინც ჭაცთა საქმე რესა.

ბადრსა და უსიპს უფრორე
გულს უმძიმთ ნათესაურსა,
ისმენენ კოშკის თაღები
იმათსა ურვის ხმაურსა.
ამირან ხმალსა ნათვიდა,
ვინ იტყვის თუ სადაურსა,

რაშსა ფაფარზე ხედვიდა,
მას რაშსა ფეხბედაურსა,
შუბისა ტარსა ეტრფოდა —
შუბისა წვერს უცნაურსა.

*

რა მოიტირეს, თაობირად
ჟასხდნენ სამივე ძმობილი.
მათთან სადარი საღ არი
ამ ქვეყნად ვინმე შობილი?!
მწუხრის მნიობი თან ახლდათ
უბედობაში წრთობილი.
გრძნობათა რთველსა გონებრ
კრეფდა მსაჯ ლად ხმობილი.
ბაღრსა და კაიპი არ აკლდათ
ცრემლი ლაწვებზე შრობილი.
დაასკვნეს — წესი შესრულდეს,
წინაპართაგან თხრობილი..

*

ამირან უთხრა: — „რაცა სთქვით,
ეგ უეჭველად ესეა:
უნდა შესრულდეს ჭირიტყვოდ,
რაცა რომ ძველი წესია,
მაგრამ მისმინეთ — ეგ სიტყვა
იქნების უკეთესია:
რაში წავგვაროთ და ზმალი,
დევებზე რომ ნალუსია,
გმირობის მემკვიდრეობა
ზეციდან დანაწესია,
ყრმათა კავშირი ძველებთან
ბნელში ნაგზები კვესია,

შაშინ ჭაბუკთა მძლეობა
სიკვდილზე უმტკიცესია,
მისგან გაცუდდეს ყოველი,
რაც ბოროტს დაუთესია“.

*

უსიპი და ბაღრი შეკრთენ,
ფერი მიხდათ ნაურვისა:
— „ნუ, ამირან, ძმათა მზესა,
ნურა გინდა ნურავისა,
გამოტი და გამოხურე
დარბაზი და კარი მისა,
თორემ გმირნი დაგვძრახავენ:
გაუძარცვავთ მკვდარი სხვისა“.

*

მწუხრისა ეამსა წესისებრ
მკვდარს გაუთხარეს საფლავი,
ობოლს სამარეს ამკრბდა
სხივებით მწუხრის ვარსკვლავი.
საფლავში ჩასვეს ცამცუმი,
თან ჩაატანეს სამკლავი,
რადგან ამ ქვეყნით წარსულსა
დევები დარჩა საკლავი.
სურნელოვანი ბანგითა
გაუსპეტაკეს ნაწლავი,
შუბლზე გაუსკვნეს მარყუფად
გულის მეგობრის ნაწნავი.
ამოხორგილსა საფლავზე
სისხლად დაწრიტეს საკლავი,
რომ გაცივებულს ცხედარსა
ძალა ემატოს საძრავი.

დედამ გააგო საქმენი,
 ნაანდერძევი გმირისა,
 რძალმა მოირთო ოქრონი,
 ნუგეშად გულის ჭირისა,
 სხვათაცა მრავლად უბოძეს
 მოსაკითხავი პირისა,
 მორთეს ცამცუმის საფლავიც
 და თაღი ზედ ჭვიტკირისა,
 წერაქვით ჩაჭრეს ნაქარგი
 მშვენების გასაკვირისა.

8. ამბავი ბაყაყაყავისა

რა გითხრა, მხარევ ტიალო,
 საღაც ცხოვრობენ დეკვები,
 ჭვეუნისა ჭირად ნაშობი,
 ზეციდან განაძევები!
 მხარიღან მხარეს გადიან
 სიმუხთლით ანაზევები,
 სახლ-სამყოფელად უპყრიათ
 კაც მიუვალი ხევები.
 მათი სიცოცხლე ფუჭია
 და ცოდვა მიუტევები.
 ძაგლ ბოროტებსა ჭვეყანა,
 სიკეთით განაშევები.

*
 სულკალმანის სახლის ახლო
 ბაყბაყდევსა პქონდა შინა.
 რაც რომ გაჩნდა ბაყბაყანი,
 დიდმა ხანშა გაირბინა.

სმ თფითვე მონადირის
მტრობა გულში გაიჩინა.
მუდამ ჟამსა ტყე და ლრეში
დახვდებოდა თვალის წინა.
მოროტებამ ბაყბაყანსა
ცოდვა მრავლად შეარჩინა:
მას არ ვნებდა არც მახვილი,
არც ფოლადი, არცა რკინა.
მოლოს იმა ბაყბაყანშა
ყველა ეგრე დააშინა,
ხორციელი ვერა სძლებდა
ვერც გარეთა, ვერცა შინა,
აღარ იყო გამკითხველი
ქვეყნად, არცა ცათა შნა.
*

ერთხელ ტყეში ბაყბაყდევმა
მონადირეს შოკერა თვალი.
მყისვე ზურგით მოუარა
და შეუკრა გასავალი.
მიხვდა წამსვე სულკალმახი—
აღარ მოსჩანს გზა სავალი.
შეურიგდა ბაყბაყანსა
და დაიღო შისი ვალი:
როცა პირმშო ეყოლება—
დღე რჩებოდა დასათვალი—
უნდა ეძღვნა ბაყბაყისთვის
ან შემკვიდრე, ანდა თვალი.

ლოვინობის დრო მოვიდა,
რა გამოხდა ცოტა ზანი—
მთვარის სხივით ცას მიერთვა
ბადრი ვითა არმალან.

სიხარულის ზარი იყო,
ზეიმისა დასაგვანი.
უცებ ლხინი სევდად იქცა:
კარზე მოღვა ბაყბაყანი.
იღრიალა: — „მონადირევ,
ყრმა მოშვარე წასაყვანი!“
გაცუდებულ სულკალმახსა
ალარ უჩნდა გასაქანი.
დევი მისას არ იშლიდა,
მოემართა უმსგავსს რეანი,
გზა არ იყო — სულკალმახმა
გადისერა გარე კანი:
მისცა თვალი, თუმც მის სევდას
არ უჩანდა გიდეგანი.

*

სულკალმახსა და ბაყბაყდევს
ალარ დააკლდათ მტერობა,
გადაყვა იგი მემკვიდრეთ,
ვითარცა იყო ჯერობა,
არც ერთს არ აკლდა სისხლისა
ამლებად შესაფერობა.

*

ცამცუმი იყო ერთგული
სულკალმახ მონადირისა,
ძმად შენაფიცი ცოლის ძმა,
ტალკვესი გასაჭირისა,
თვით სიკვდილისა პირისპირა
ძნელად გატეხი პირისა.
გული მოიგო ღონითა
გაყბაყანიერის გზირისა,

ამან გაუზენა კარები
დევების ქოშკის ძირისა,
მოპეარა თვალი სიძას,
მუნ ფრთხილად დანამჭირისა.
გათავდა ამით ამბავი
სულკალმახისა ჭირისა.

*

ცამცუმის მტერი მოსისხლე
შეიქმნა ბაყბაყოვანი,
მათ შორის ჩადგა ჭაობი
შურისა მრავალწლოვანი.
ცამცუმი იყო ჭაბუკი
მორჭმული და ახოვანი.
ბეყბაყ ხედავდა: ცამცუმი
მტერია—ძალგულოვანი,
გადაუხდია მრავალი
შეხვედრა სახელოვანი.

*

ბოლოდ დასტოვა ცამცუმმა
მდეღო -სამშობლო მხარისა.
ახალ მიღამოს საპოვნად,
სამყოფლად დასამხარისა,
ამართა ზღუდე ქოშკისა
მოყვრისთვის გასახარისა,
აზიდა ბროლის თაღები
მესაიდუმლედ მთვარისა.
არ აკლდა ერთი წყალობაც
ჰეცით მბრწყინავი დარისა.
სოვნა დაგავდა უბედურს
მამულის და სახლ-კარისა.

და ოხვრა სიკვარულისა,
იმისთვის არ-ახალისა. —
ბროლისა ქოშება სხვის ქვეყნად
ცხოვრება არ ახალისა,
დათენთა სული ჩრდილებმა
სხვისა გაუმობარისა.

*

დევებზე უფრო სტანჯავდა
სხვის ქვეყნად სულის ტყეობა,
და გადახვეწილს ცამცუმსა
მოაკლდა გულის მხნეობა.
დაპყარგა სულის სიმშევიდე
და ხმალ-ლახტისა მძღეობა.
მის ღამეს ბოლო არ უჩნდა,
დღესაც მოაკლდა დღეობა.
უეცრად მოკვდა, დაობლდა,
მიღამოს მოსახლეობა.

*

რა ბაყბაყანსა გაეგო
ცამცუმის გარდასავალი,
ერთ დღეს გაევლო წყეულსა
ათეულ დღისა სავალი.
მთით მოგორავდა დაბლობში,
ვითა ნახშირი და რვალი,
მიცვალებულის შეჭმასა
ლამობდა იგი მტარვალი.
ბნელეთის წარმოგზავნილსა
ცოდვა მოჰქონდა მრავალი.

9. უმავისი აშიგანისა და გაყენებების შეპარისა

სევდით და ნალვლით დასჭოვეს
გმირებმა კოშკის კარები.

თვალთ წარმოუღვათ ცაშტუშის
სიცოცხლე განამწარები.

ვარდისა ნაცვლად შის გზაზედ
ხარობდა ეკილ-ნარები.

კოშკია გაშორდნენ, შემოხვდათ
ბაყბაყი შესახარები.

— „ სად მიხვალ, აყროლებულო,
საითვენ მიეჩქარები? “

*

არ შესდგა დევი ბაყბაყი,
სახე ქნა უმეცრულადა,
არ დათმობს მთელსა ქეყყნას
მკვდარ ცამცუშისა სულადა.

დევებსა შეჭმა მკვდრებისა
იმ თავით ჰქონდათ სჯულადა.
ამირან მისი მხილველი

ცეცხლად აინთო სრულადა.

ამირან, დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხშალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვს გულადა.

*

— „ შესდეგ, ბილწო! “ — შეუყვირა
ამირანმა ბოხი ხმითა
და უმალვე დევს მიუჩდა
გაშიშვლებულ ზასრი ბმლითა.

ბაყბაყ დევი უშიშრად
სკლას განაგრძობს თავის, გზითა.
— „ამით გინდა შემაჩერო?“ —
ყრმას მიუგო დაცინვითა,
და ამაყად კოშკისაკენ
შავი ხელით მიუთითა.

*

ამირან ხმალი ასწია —
ვინდა დაზოგოს ტიალი!
ამირან, დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი.

ამირან დასცა ბაყბაყი,
~~ადგილი~~ შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი.

— „ნუ მომქლავ, დარეჯანის-ძევა,
ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა,
თაკლაი ოქროიანი.

ზლვას გალმა ქალი გასწავლო,
სახელად ყამარ ჰქვიანი,
საყამაროსა კაბასა

~~შვიდი დღე უნდა მზიანი,~~
~~შვიდ დღეში ზლვიდან ამოდის~~
ის მისი კაბა წყლიანი.

წასვლა აღვილი იქნება,
მოსვლა გახდება გვიანი.

მოყვარული ხარ ომისა,
გზა იქ გექნება მტრიანი,
თან შიკრიკს გამოგაყოლებ,
გზას ჩაგასწავლის მზიანი“.

*
არ ეუცხოვა ამირანს
ყამარ-ქალისა ხსენება,
ჯერ კიდევ ყრმასა ენახა
იშისი სახის. მშვენება.

ცოდვით შობილი ყრმისათვით
მას ჰატიება ენება,
ორცა მაშა-მისს უნდოდა
თავისი ძალის ჩვენება
სულ თვალწინ უდგა ამირანს
ის სხივი, ვით მოჩვენება,
შორს იყო, რას გააწყობდა
ხვალი ან რაშის ჭენება.

*

უცილო ღონე მონახა
მან ღევმა ბაყბაყიანმა,
რომ გაახსენა ის სხივი
ბოროტმა და ავყიანმა.
ყრმა მოგონებით შებოჭა
თმამ ოქროს ვარაყიანვა,
ფრთა ვერ მოსტება მის ფიჭრებს
ჭელმა ცათამდის ტყიანმა.

*

ბაღრი და უსიპ შეშფოლნენ,
ჭირად ეჩვენათ სოფელი.
ამირან უშვებს ბაყბაყსა,
წავა პირდაუყოფელი.

— „გაუშვათ დევი ბაყბაყი,
რას გვარგებს ჭირში მყოფელი?“

სთქვეს ორივემ: — „ნუ, ამირან,
შენ გაფიცებთ ძმათა მზესა,
ნუ გაუშვებ ბაყბაყანსა,
ნუ დაარღვევ სისხლის წესსა!

დაძლეული და უღონო

პირმოთნეა იგი დღესა,

ხვალ კი წელსა მოიმაგრებს,

ჭირსა შევურის უარესსა.

ბოროტება აჩანავე,

ეით კეთილმა დაწესა.

გვემენ ფარად, თუ არ ვინდა
მოისმინო ჩეგნი კვნესა.“

*

სამთავიანი ბაყბაყი
ისმენდა უქვსი ყურითა
უსიპისა და ბადრისა
რჩევას, აღსავსეს შურითა
და შეაქებდა ამირანს
ენითა სამიწურითა
ჟიფხიზლეს ნანას უმღერდა
ამბითა საამურითა.

*

ბადრისა და უსიპს გაელლვათ
გული, სევდისგან ლმობილი.
ბაყბაყდევს ენა ჩაუგდეს,
ბოროტებისთვის ხმობილი.
ამირან სიტყვა ისმინა,
შურისძიებით შობილი.

დევს ეამბორა სიკვდილით
 მახვილი, მკერდში სობილი,
 სამსავე თუა, დასჭრიდა
 ქვეთაში გამოწრობილი.
 ჟულავ, მტერზე გამარჯვებული,
 ხარობდა სამი ძმობილი.

10. ამბავი ამიანის ცაცვებისა ყამარის ძეგნაზ

ამირან ფიქრობუ ყამარზე,
 სევდას ვინ მისცა სამალი:
 ნეტავ საღაა — მონაბოს
 დაჭრილი გულის წამალი.
 დევისა შიკრიკს ეტყოდა,
 დაპირიდა განძი მრავალი:
 — „აბა, შიკრიკო, გაგვიძუ,
 ფეხი აჩქარე მავალი,
 გზა მალე გაგვარბენინე
 ყამარისაკენ სავალი.“
 შიკრიკი დინჯად დაიძრა,
 გძიმედ ვიდოდა მაშერალი
 ხეებსა ეხეთქეროდა,
თითქოს ბანგითა წამთვრალი.

მათ სამთა გმირთა მნათობთა
 განზე მოელოთ ფარები,
 სახეზე სხივი უკრთოდათ,
 ტაროსით ანაფარები,
 რაშებსა სწორად მიაჩნდათ
 ტყენი, კლდენი იუ ბარები.

ცას სამასპინძლოდ გაეღო
მზისკენ სავალი კარები,
ლრუბელთა მეფეს გაეხვნა.
ბურუსი შესაჩარები,
ყამარსა ეღვად იენთო
გულმქერდი მიუკარები.

*

ვით დარჩენილა ძველთაგან
ესე მეგზურთა აღათი —
ტანსა ეშოსა შიკრიქსა
წამოსასხმელი ხალვათი.
შიგ და შიგ გზასა უხვევდა,
გულში ჩაედო ლალატი,
კარგს რას ურჩევდა მაყბაყი,
კაცთაგანისა ჯალათი.

*

გზასა მძიმესა იარეს,
ტყე გაიხლართა კლდოვანი,
კისა ნაქარგებს ფარვიდნენ
მუხანი ათასწლოვანნი;
ბერს შეყმუოდნენ ჯაგებში
სისხლიან მხეცთა გროვანი.
ქარის ხმაური ნაპრალში
ისმოდა, ვითა გლოვანი.
დაუფლებოდა მიღამოს
სიკვდილი ერთსახოვანი,
მაგრად ვერ ღვამდა ბიჯებსა
ვერც სუსტი, ვერც ახოვანი.

ღრო მიღიოდა; ტყეებსა
 აღარ დააჩნდა კიღენი,
 მიწას დააწვა ლრუბლები,
 ხეებზე ანაკიდენი.
 მრავალწლოვანი სუროსგან
 ქელქეას მოესხა რიღენი.
 დათვლით განერთხა ტოტები,
 რაც ხანი ჰქონდა—იმდენი.
 ტყის სიჩუმესა აფრთხობდნენ
 აჩრდილნი მოსარიდენი.
 ჭაბუკთა გულში სიფრთხილემ
 შიშის გადურაზა კლიტენი.

*
 უსიპმა გზანი შეიცნა,
 აღრევე ნათვალყურები;
 ხავსსა და ბალახს ემჩნევა
 წინადღის ნაფეხურები.
 სწორი გზა არ სჩანს, ცხადია,
 სერისკენ მისაშურები,
 ყოველმხრივ ტყისა ბანდია,
 კაც მოდგმისაგან ურები.
 ისევ დალამდა. ხევებში
 ბედს უჩიოდნენ ტურები.
 ბანაკსა მხეცი მოაწვა,
 სისხლისთვის მონაწყურები.

*
 აქ უსიპმა შეუმჩნევლად
 ისარი ჰქრი ეროსა ხესა,
 საიდუმლოდ შეინახა,
 არ გაანდო არვის ესა.

დილით ადრე დეყარნენ
კვლავ იარეს მთელსა დღესა.
მძღე აღვილს შემოექცნენ,
არ იციას თუ სად დგესა.
დღის სინათლე მიწურა,
ლაშის ურინველთ ისმის კვნესა.
დაბანაქლნენ და უსიპძა,
რა სინათლე გამოკვესა,
მყის ნიშანი საიდუმლო
მან უჩვენა თავის ძმებსა:

*

— „ხომ ხედავთ ამა ადგილსა —
გუშინ რომ იყო ის არი,
მესამედ აქვე მოვედით,
გუშინ რომ დავკარ ისარი
მოღალატეა შიკრიკი,
რალა აქვს დასაფიცარი,
სწორად ასრულებს, რაკა
ბაყბაყის ლინამტკიციცარი.
მოვვარეს სისხლის აღება
თავდადებული ყმის არ,
მავრამ გამოტყვერა ანაზღად
ჩეენი მეგზური ვინ კ არი“.
ამირანს უთხრია უსიპშა:

— „შენი მეგზური იცანი,
თუმცა გაჩენის დღიდანვე
გწყალობენ მაღნი ტყისანი,
ვერ გაგიგია, ამირან,
არგამარჯვების ნიშანი“.
მიხვდა ამირან — შორდება

ბულისნადები მიზანი,
ანაზღად ცეცხლდ აუნოო,
თვალი ჩაედგა მვლისანი:
„მიკრიკო, გზანი გაიხვენ,
თუ არ ხარ თავის მისანი,
თორე, ავიღე, გაგოალე,
ვით საკიდობნე ფიცარი.“

*

შიკრიკმა უთხრა: — „არ ვითხოვ
სიკვდილის დაყოვნებასა;
თუ რომ ოდნავად გადავცდი
საძთა ჭაბუქთა ნებასა.
გაჩენის დღიდან ვუფრთხოდი
კაცთ ნაშიერის ვნებასა,
ამ ღამით რითა გავმართლდე—
ვერა ვიქმ ხელოვნებასა,
ერთგულებრი გიჩვენებთ,
თუ მაცლით გათენებასა.“

II. ეპიკური სამი ვეგავის შეხვედრისა

ტყემ ჩაიოხრა სილრმეში,
მოცულმა სამძიმილითა,
ყოველი არსი მოიცვა
მაცოცხლებელი ძილითა.
ტკბილად ლალობდა ბუნავში
ვეფხვი თვისითა შვილითა.
უამმა გაზომა ქვეყანა
ხევში ჩაძირულ ჩრდილითა.
სამი ჭაბუკი მეჯზურით
გზას გაეშურნენ ღილითა.

შიკრიქმა ტყენი დააგდო,
სხვასა იარა არესა—
ტყისა გაჩეხა რაშებით
გმირებმა იუარესა.
შიკრიქმა გზას იუარა,
მიმართო ტყისა გარესა,
იფიქრა: — „ იუ გადიურჩით
შესამთხვევს თქვენ უდარესსა,
მინდვრად გავიდეთ, შეძრვყრით
განსაკუდელა იქ უარესსა.“

* * *

მინდორს გავიცნენ, იხილეს
ვეშაპი საპი ფერისა: —
წითელის; თეთრის, და შავის—
მათი ხის შესაფერისა.
გარემო იყო მოწმე
ვეშაპთ უმსგავსო მღერისა.
გული აქვს დარჯალანის ძეს
მათთან სარწმუნად ძერისა,
ისურვა დანაწევრება
ძმათა საომარ ჭერისა:
— კე, ძმებო, გვმართებს დაძლივა
ჩვენზე მოსულო მტერისა,
შეში არა საფარი
ბედისგან მონაბერისა,
მხრალთა წაგვლეკავს ყიფინი
ვაუკაცის—ყრმის და ბერისა,
ლომგულებს სხივით შემოსავა
სამდლობელი ერისა.

თეთრი — ბაღრა, უსიპს — წითელი
და მე კა შავი შეღირსა.

დავლეუწომ მტერი სამსხვერპლოდ
ჩვენი მშობელი კერისა.”

*

— „ამირან — უთხრა უსიპშია —
შეგემოხვა ნალოდებია,
თვით გასაწორე იგი გზა,
რომელიც გიმრულებია.”
ამირან უთხრა პასუხი,
რაც მისა გულს თადებია:

— „უსიპო, ჩემი ლალატი
სულ მუდამ გულში გდებია,
ტვანი, სადები თავშია,
ჩაბალახშია გდებია,
უგულობა და ლალატი
ერთიმეორის დევია.”

*

ბაღრა მიმართა ამირან,
მისი ერთგული ჰეთნია:

— „ბაღრო, მიხელე უსიპსა,
განა ეს მოსაწონია?”

ბაღრა მიუგო: „ამირან,
არც მე ვარ შენი ფონია.”

— „ბაღრო — ეტყოდა ამირან —

ფერი ალქატი გქონია,
რაჯე და ჰერე ტყუჭები,
სხვა ხელი არა გქონია,
უცხოა ლრივესათვეშ
ააქმენი საგმირონია.”

*

ბაღრი და უსიპ გაილლვენ
მრავალი ჭირის მოთხენით
უჯობდათ დარჩენილიყვნენ
ცამცუმის ჭოშუში მოლხენით.
სთქვეს: — „ომი არა გვწიდიან,
ისეც დღე დავიმოკლენით,
შენი ცოლისა გულისთვის
ძმები სულ დავიხოცენით.
დაგვქანცე ულრან ტყეებში
ჭირისა ჭირზე მოდენით.“

*

გულს დაუღონდა ამირანს,
ხედავს — ეს მისი ბედია;
ცუდ ჭაბუკებთან გმირობა
უმსგავსო დანაყბედია.
სამსა ვეშაპთან ჭიდილი
გმირ ამირანსაც უდია.
სიმხდალეს ბრძოლა არჩე
გაბედა გასაბედია.
უგინა ძმებსა სილაჩრე
და სიტყფა ნატავხედია:
მათ მოაგონა მის ხმალი
თუ როვორ განაჭედია.

— „მაშინ სად იყავ, შავ-ბაღრო
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა
და შენი სახის სიჩათლე
ღრუბლებში იცრიცებოდა?“

აკა სჭირდა, მიწა გრგვინავდა,
სამშეღლო ექანებოდა,
მშეღლები-მემშეღლურები
ჯრომანეთს ეფარებოდა.“

12. ამბავი სამ ვეგავთან შევმისა

დააგდო ძმების ძაგება,
შახვილს მიმართა მჭევრა ენით:
„ჩემო ხმალო და აბჯარო,
საძალოდ მომეშველენით,
ომში ვერ შევალ ძმებითურთ
მჯილისა თავში მშენელით,
შევალ ხმლითა და აბჯრითა,
ვაჟყაცის დამამშვენელით.“
გადრი და უსიპ გარბოდნენ,
ბრძოლას გაეჭუნენ შერტვენსთ.

*

სამი ვეშაპის ხვნეშისვან
არე სჩნდა ვითა დამზრალი.
გრიტს სახე ჰქონდა ცეცხლებრი,
ყული ბრაზისგან გამზრალი;
თეთრი მოჰკლა და წითული,
შავსა შეება მაშვრალი,
თუმც მარტოხელაუ მემოძოლმა
რან ჭირი ნახა მრავალი,
ბრძოლის ალმურში შენიშნა
კაც მაღალ მთაზე მავალი.
შევედრა — ძმებსა გადასცენ
მისი თავგადასავალი.

*
უკივლა, გადაუძინა
— „რომელი მიხეალ მა შთასა,

სიკეთე მიჰყავ, შეობილო,
რომელი მოჰკვეთ მა გჩასა.

გადი და ვადაუძინა
ბადრისა, უსაპსა ჩემ ძიასა?
თეთრიც მოვკალ და წითელიც.
ნულარ გადირბენთ ცხრა მთასა.

*
ძმებმა ინდომეს ეხილათ
მათი ძმა რა ვაჟკაცია,—
ნახეს ამირან მაშვილი,
ბრძოლაში ნამოლვაწია,
მთისებრ მოვორდა ვეშაპი,
შორით რომ სჩინდა პაწი.
შავსა შეება ამირან,
მაშვილმა ხმალი ასწია,
შავმა აიღო, ჩაყლაპა,
შავი ზღვისაკენ გასწია.

*
გვილეშაპი იჩქორდა
ვითო ცეცხლი, ვითა ბენედა,
რომ ენახა სანუგეშად
სახლში მყოფი თეისი დედა.
უკან ძმები გამოუდგრენ,
კრეს ისარი ზედი-ზედა.
კუდი მოსწყდა შავ ვეშაპსა,
დღე ის მწერედ დაეცედა.

მას მუცელი ასტკენიდა,
 დღე დაუდგა მეტად ცული.
 უსიპს ისრით მოეჭლიჯა
 გველეშაპის შავი კუდი.
 მწუხარემან ბოძი ნახა,
 გზაბოძალზე ანაყულა,
 ტანი სამტროდ ვერ მოზიდა
 სეეტის ირგვლივ განამრუდი,
 ბოლმა ნისლიდ ამოჰქროდა,
 შავ მუცელში შენახული.

*

დედამ უთხრა: — „შვილო, იყავ
 შენ უსმელი რა გშიგრი,
 და ვინ იცის, იქნებ სჭამე
 ჩეციერთა ნაშიერი.
 იმას შენ ვერ მოინელებ,
 დღე მოგელის საშინელი“.

*

„ვინ მეჭამა — მან მოუკო,
 თუ არ კაცის გაშობრდალი
 თუშუა მკლავი ჰქონდა ქვისა,
 ხორცი იყო მეტად ჩვილი,
 მე არ ვიცი, რომელია
 ჩეციერი მოლგმის შვილი:
საცერივით თვალებიანს
ჰირში ედგი თქმის კილი.“

„აშირანი ჩაგიყლაპავს!
 ეს არაა კერძი რბილი.

ფაი, — შვილო, ვერ ვიშველის
 ვერც ფაზიზლობა, ველარც ძილი,
 ამირანის ჩამყლაპველსა
 თვით სიკვდილში უდევს წილი.“

ვეშაპი ბოლმას ანთხევდა,
 ტკიგილებს ვერ მოერია,
 ღელას აფიცა საშველად
 რაც ქვეყნად ბიჭიერია.
 უსიპი გონსა მოვიდა—
 ვეშაპი ქვეყნის მტერია.
 ბარტსა მიმართა ყიუინით—
 — „ეხლა კი შენი ჯერია!
 ვეშაპის გვამში არ სწოდება,
 რაც ოსტატს არ უმლერია.
 ჩადი, ბაღრო, და ჩასძახე
 ხმა შენი მშეენიერია.“

*

— „მაუნდის დარჯალინის ძეს
 ჯიბეს ჩადება დანისა,
 ამოლება და განიკრა
 ვეშაპის მყრალ შიგანისა.“
 გამოსასვლელად ამირანს
 გზა უნდა მისი განისა.
 გაჰეთა დანით ვეშაპი.
 გამოსალებად ტანისა.

13. ამინა ამინის გარეაჩენისა და იგივ გაზოთან ნესვრისა

ძმები კვალად დაბადებულს
 ველარ ცნობდნენ ამირანსა,
 ვერა რისთვის დაემსგავსნათ,
 არცა გვანდა რამე რასა:

ოშები ერთობ გასცემთლა
შარტო ტყავის ამარასა.

უნდღლიელ დაეცინა
შისთვის უსიპ ხუშარასა:
— „აშირანი დაიძალა,
უოჭა გვანდა ხუხალასა,
შვერ-ულვაში გასცემოდა,
ჩაეყარა ტომარასა,
ისე აღარ ჩაუარა,
აღარ ევნო რომ არასა.“
*

ამირანისა სიცოცხლეს
ტყე და მწნდორი ხვრობდა.
უსიპზე გაჯავრებული
ტოლხენას აღარ ჩქარობდა:
— „ისევ ვაჟია ამირან,
გუშინ რომ ჩამოქარობდა,
არცა-რა ბევრი ტანთ ეცვა,
არცა-რა მკლავთა ჰეთაროდა.“
*

რაც თქმულია ძველთვან,
იმას არ უწდა ცილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
ცუდია-გვარიშვილობა.
კაცი გამოვა კაცებრი,
თუ გააჩნია ზრდილობა,
რა არის თბების ქულული
და წვერის დაგრენილობა.
თხასაც ახსია ბალონი,
შაგრამ აკლია ზრდილობა,
შის შეფასებას უყოფის
შაბმანის გამოცდილობა.

ამირანს გულზე მოაწვია
ბოლმა, ნაღველში ნაღვსი
გულის თონეში ჩაეჭცა
ლადარი უმხურვალესი,
გადაიყარა ნისლავით
ორგული ძმობის ალერსი,
სასმენელს კუპრად და სხა
თავალებულად ნალექსი,
გაღმონაკვერცხლდა ბავეთვან
ჯავრი ბოლმაზე ნაკვეხი:

*

— „გულს არ ვიწყლულებ თავით —
ბრიუვების დასაცინითა,
მტრები ყოფილხართ, ძმის ნაცვლად
ცრემლითა დანაღინითა.
ჭირში გარბიხართ, თავს იქცევთ
ლალატით, ვითა ლხინითა.
ეშმამ ჩამყლაპა, არ სტირით,
თმას არ იღებავთ ინითა —

ბროლსა ვერ ვავჭედ ბეჭმავი
თქვენ პრი ძმობის მინითა,
თქვენი არც ძმობა, არც მტრობა
მესურვის — დარჩით შინითა,
პირს არ შეიკრაუს იარა
ასეთი ნუგეშინითა.“

*

— „ნუ გეწყინება, ამირან,
უსიპის სიტყვა ჩიახია,
სიტყვა ირიბად წაკერი
სიბრიუვის დასანახია.

წვერ-ულფაშედაც ნუ ფიქრობ,
 არ რა გაჭეს დასაძრახია:
იგრი — მღინავ ეთ უფალი,
თუმცი ივი სიტყვით მკვახია,
თუ ბატონობრი ძიგმართავთ,
მოტკეცია რაცა მმახია.
იშისგან ხარობს ყავლარ —
რაცა თმა თუ ბალახია.“

*

იგრისთან მიღის ამირან,
 უსმინა ძმისა რჩევასა,
 წარუდგა წყალთა მეუზეს,
 გული არ იმჩნევს რყევასა.
 ეშოს კარიდან შესძახა,
 ხმა ვვანდის ქვეყნის ნგრევისა.
 განრისხდა იგრი ბატონი:
 — „ვინ ბედავს ჩემსა ძლევასა,
 „იგრი ბატონის“ სანაცვლოდ
 უსახელრბით ორეგჩა?“

*

ამირან უთხრა: — „ბატონი,
 კაცოათევის რა სახმარია,
 ერთი-ლა მივის ბატონი,—
 ჩემი ფარი და ხმალია.
 უბატონოდაც ვივარგებთ,
 ეს ვისგან დასამალია,
 მომ-ვარე წვერ-ულფაშისთვის
რაც ჯადო და წამალია.“

ივრიმ უთხრა: — „სამსახურიდ
შე მხადა ვარ შენსა წინა,
თუ რომ იგი სამსახური
ღრუბელთ მეფეშ არ იწყინა,
წყალთ უფლისა, კარგად იცი,
ღრუბელთაგან მკვიდრობს პინჭ,
თვით ტაროსმა ეს იხება
და ზეცამაც დაადგინა.

წვერს და ულვაშს მყის დაგასხამ,
ჟეცამ თუ არ წაშახდინა.“

ამირანი უყოფმანოდ
ღრუბელთ მეფის მიდგა კარსა,
ქოსა კარში არ შეუშევს,
გალავანსა უფლის გარსა.
ღრუბელთ მეფის გასაგონად
აჯა თვისი ანდო ქარსა.
ამან ზეცა დაამსგავსა
დარბეულსა, ნაბუჭარსა:
ფრთით ღრუბელი წააგლიჯა
ღრუბელთ უფალს, ზეცით მდგარსა,
წყლად ქცეული მიწას მისცა,
გოლვისაგან გადამწვარსა.
ივრი ბატონს გაეხარდა:
მიუმატა ღვარი ღვარსა,
მიწის დედას გაულიმა,
წყალდიდობით უმაძლარსა.
ამირანსაც აცლავ დაასხა,
რაც გველეშაპს გაეპარსა.

14. ამგავი ამირანის შესვებისა ყამარის ძეგნაზ
და ეხადნი თავგადასავადნი.

შეკვარებულის საკალსა
ვინ გაუზომა მანძილი,
მისსა ვერ იტევს ტანჯვასა
ვერც შარა, ვერცა გზაწვრილი, კინ გარე, კუს ტე
კიდით კიდერდე გზა იგი
ბეწვის ხილია გაწვდილი,
ბაღე, გულისა დამჭერი,
ოქროს თმებშია ჩაწნილი,
სდევს სიყვარულის სიკეთეს
ბოროტი ალგირ-ახსნილი.

*

ამირანს და ძმათა მისთა
არ მოსწყინდათ დევთა ულეტა,
დამსხვრეული ქვე ეყარა,
რაც სიკეთემ გაიმეტა.
სატრაფოს სახე შორს ანათებს,
ვის ელირსოს მისი ჭვრეტა!
გულის ბოლმის წამლად იქცა
დევთა მუსვრა, სტყბლის ხვრეტა.
უსიპსა და ბადრს ცოლები
წარმოუდგათ ტანწერწეტა,
მათ თვალთაგან ნახვის ნატვრაშ
სევდის ცოლლად გადმოწვეთა.

*

ბადრი და უსიპ ჩამოლდნენ,
გაისმა სიტყვა საპყარი:
— „ხელაფ, ამირან, ქვეყანა,
გადალვალი ზღვა არი.

შენ რომ სატრაჟოსავის, ესჭრაუი,
იგი ქვეყანა სხვა არი,
სულ სხვა რამეა ის ქვეყნის.
მინდორი, ტყე და მთა-ბარი,
რაღან ცეცხლს სიყვარულისა
იქ ანთეს თვითონ ყაბარი.
იმ ქვეყნის ლაღი რცნება
მოსაგონარი რაშ არი,
პაგრამ ვინაა ამ ქვეყნად.

ზეცის ცეცხლითა გამტბარი!

აძირან უთხრა — „ეგ საქმე
ჩემი ხვედრია საქმარი,
მიწას ცეცხლს მოჰვერის ზეციერს
მხოლოდ ყაბარის საქმარი.“
ძმებში მიუცეს: — „ამ საქმის
ქვეყნად მომჯმედი სად არი?
ცუდად დაშვრები — ვერ ჰპოვო
ტანჯული სულის საფარი.
ზღვაზე ხომალდის სანაცვლოდ
ვინ მოიხმარა ხანძარი?
გვიჯობს მაშერალთა ვიპოვოთ
სიმშეიდის გზანი სხვაგვარი.“

*

— ა იქ ჩავიდეთ, ამარან,,
გუშინ რომ ვარი ხვიოდა,
სად იყო დედას ნაპრძოლი,
სად ძვა და ლოდი ცუროდა.“
დევებსა პქონდათ ქარწილი,
სიმღერა ამოლიოდა,
შეიპატიერეს, შევიღენენ,
ამირასს პური შიოდა:
დეულიდების ნაცხობი

ქადა კიცებში შხიოდა.
შემოჭრეს, შემოაყენეს:
კაცის თავ-ფეხი დიოდა,
საღვინე სავსე მოართვეს:
შიგ გველ-ბაყაყი წიოდა,
უსმელ-უჭმელად დამძლართა
ჟელშიაც ამოსლიოდა.
ძმები უცემერნ: ამირანს
ცრემლები ჩამოსტიოდა.
დევისა შვილი შამასა
ლოგინით წამოჰკიოდა:

— „აკი მას მიქა დებდია,
ამირანს მოგაკვლევინებ,
ბალრესა გრძელთა გალოთა
საღილად დაგახრევინებ,
უსიპის ქამირ-ხანჯალსა
წელზედა მოგარტყმელინებ,
საჭიათ სამსა სამშვილდეს
საისრედ მოგახრევინებ.“

*

ამირანს თვისი ძეგმითა
თავი მოჰქონდა სტუმარად
ბალრესა რა ესმა, აიმურა,
აღმოხდა დასამქუხარად:

— „მაშას შვილი ჰკარ-პირშია,
სისხლ წაგა დასაგუბარად,
წარბის თავს დაჰკარ ხანჯალი
სისხლისა დასაღინარად.“
დევებმა იწყეს სიცილი
ამირნის დასაშვიდარად:

„ყმაწევილის საუბარზედა
ამირან ომი გინდა-რად?
სტუმარ-მასპინძლად შევკრილფართ-
ნუ ჩაგვთვლი ჩვენ ვიგინდარად.“

*

ლომგულებს დევთა ნათქვამი
ყურთაგან არ ასმიოდა,
მეზობელ დევთა სახმობლად
ცივი ხმა გადადიოდა.
თხორს სძახდა დევების დედა.
ჯარა, ხვიშტაკა ხვიოდა;
ამირანს მათი ხუვილი
ფოთლად არ შემოსდიოდა.
ბადრი ქარს გვანდა, ფურცლებაზ
ზეცაში რომ აღიოდა,
ჭსიას დაჰკვლევდი, ღნებოდა—
სიცოცხლის სანატრიოდა,
დევების სახლი-სამყოფი
ძირბუღიანად ღვიოდა.

15. ამბავი ჩევის ქაღისა

ნეტავ რას. არგებს კოცხალსა
სიძძრმე გასაჭირისა,
რად არ ლლის ყურთა სმენასა
სევდა კვნესისა ხშირისა?
უჯობს ჭიაბუკა შერტერა
შეურცხვენელის პირისა.
არ მართებს თვალსა ტირილი,
თუ გული არა სტირისა.

ბრძოლაში ხსნაა ჭიბუკის,
შეღისგან ანაწერდა.
ამირანს ბრძოლა მიუძღვის
სამოენად დანაპრისა.

*

ამირან და ქმათა მისთა
გზა დააგდეს. სამრძოლევი,
არ წაულეს ლევთი საჩიო-
და არც განძი დაულევი.
ვინუა დარჩა აპატის
მაპინძლობა ნამუხთალევი,
გაშორუნენ და გზა ეძიეს,
სად ცხოვრობდა კერა ძმა დევი.

*

დევების მოლგმის სიმრავლე
გვანდა სიხშარეს ბარდისბ.
მუნ წვრილთა ყრმათა ქრიამულს
ერთვოდა ხმა ნაგარდისა.
დევების ჭალები თმებშია
ეჭნათ ნ. კრეხი ფარდისა,
ყრ. და დევების ახალისებდა
მღერაში ჭება მარტისა,
არსად არ სჩანდა ნიშანი
ზრუნვისა ანუ დარდისა.

*

ამირან მიღის ძმებითურთ,
ქვეყანა უჩანს კერადა,
მომ, ზურმუხტისა ნაქსოვმა,
მიდამო შეუფერადა,

ბრძოლის გრიალში სიცოცხლე
კვლავ გაეშალა მღერადა,
სულის სიმები მომართა
გულისა შესაფერადა.
მძივ-მარგალიტად დაიბნა
სიმებზე ასაელერადა,
თვალთავან სხივის ნაპერწყალს
მიმოაბნევდა ველადა.
შენიშნა დევთა სამყოფი,
მათ მოევლინა მტერიდა,
დევებმა ქალი გაგზავნეს
მოსულის დასაზვერადა.

*

დევთა თაობირმა დაასკვნა —
ძალი არ იყო ჯანისა;
— „თუ ჩგი ამირანია,
ნაშობი დარჯალანისა,
ამაოდ ნუ გვაჰვეს იმედი
მახვილის ან აბჯარისა,
მასთან საბრძოლებლ ჩვენს შუბებს
ძალა აქვს ყავარჯანისა,
ქალის გაგზავნა სჯობიან
გაგზავნას მთელი ჯარისა.“

*

— „დევის ქალო, წადი, შეხვდი,
აშიკობა მისი ღირსა,
გაუშლიდე თეთრსა ტანსა,
შავი თმებით დანამჭირსა,
ოქროს კბილსა შეამჩნევდე,
გალიმება თუ გალირსა.“
ამირანი გზად შეემთხვეა
დევის ქალსა გასაკვირსა:

— „რას იცინი, დევის ქალო,
რას მიელუებ თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი—
გამისინჯავ ბავე-კბილსა.
შენი პოვნა რას მიშვერტინ,
შვეუნად ვეძებ შენზე ძვირსა;
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი—
ამ ჩემ შავბედს ასე სჭირსა,
შიშველ ტანის მიმოქნევით
ვერ მიხვდები დანაპირსა,
თუ შემოველ, ყვიტირებ
ქმარსა, მაზლსა და ყმაწვილსა.“

*

დევისა ქალსა ეგონა,
სიკვდილი გამოეცხადა.
ფრთა ვერ გაშალა სიტურფებ
მოფრენილ ტრფობის მერცხლადა.
ყვავილმა ფერი იცვალა,
ოქრო გადიჭცა ვერცხლიდა,
ამირან გორდა მომართა,
დევთ მოეკიდა ცეცხლიდა,
დევების სისხლი იხმარა
მათივე გასარეცხადა.

*

ბაღრი და უსიპ ამირანს
ბრძოლაში ედგნენ მხარშია,
არც ერთის ხმალსა ნალესსა
დევების ხორცი არ შია;
ხმლის ლარებს ჭარვად სდიოდა
დევების სისხლის არშია,

ამირან სახლში შეიკრა,
ძეგბი კი დარჩენ კარშია.
ძვლების გროვაზე ხაცემი
ხმალი გაღუმყდა ტარშია.
მთებში ნაწარდი არწივი
მარც იბრძოდა ბარშია.

*

ლევის ქალბა შემოსძახა:
— „ჩემო მზეო და მთვარეო,
ერთხელ გნახი, ვერ მოგზოს ფი,
კილევ ჩემოგვერეო,
ფაუი-ჭაცო გულოვანი,
ლვინის ფერო, მცინარეო,
შენზე ებოდავ მე ფრინველი,
რამ მარტო მძინარეო;
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის,
ფეხი წადგი, წინა რეო!“

*

ლევისა ქმლი უსირმა
ულძობლია დაჰკულბ დანითა,
სიკვდილსა მიხედა ბედშავი
სალალობელი ტანითა.
დანას ეკვეთა გულმურდით,
ტრფობისთვის მონატანითა.
ამირანს ნახვა შეზარდა,
ხედვა ვაზომა ჯანითა—
შესძახა: — „პრძოლა შერყვენი
საქმითა დაუმგვანითა.“

16. პეტერი ჩოვანეა შუალა გვერდისა

ამირან დევებს ეკვეთა,
ომი მოუხდა ფაცხული.
სისხლის მოუვში ჩაძირული
აღარ გააჩნდათ მრ-ცხველი.
არ დარჩა ვაცი მოხროკელი
და არც დაჩართა მკიცხველი,
არც დაკოდილთა შეზხვევი,
და არცა სხვა გამყიოხველი,
განადგურების ამბისა
არავინ ჩანდა ციფრველი.

დევი სამყოფელში განახვნეს
სახლის ქვეშ ჩანათხარები.
სამთავე სართულს გან-და-გან
ვდგა რკინისა სარები,
იმის გადაღმა—საჭურჭლის
ნაკეტი რკინის კარები.
კრემის უჭედა უზომოდ
ხმლებით ხალეში ფარები,
საჭურჭლის შიგან ელაგა
აურიცხველი ლარები,
მასთან ფასით და სიმრავლით
სად იყო შესაღარები!
დგეს სამწი ძმინი, ვითარცა
გაოცუმული მგზავრები.
*

საჭურჭლეს იქით მოსჩანდა
ეზა გასავალი ხვრელისა,
ვიწრო და მიხრიდ-მოხრიდი,
ვითა სამყოფელ გერლისი.

უსიპმა უთხრა — „რომ გავძვრეთ,
ნეტა რა ბედი გველისა.
ხელიც და ბარჩც გაცუდდეს
ჯურლმულის გამომჭრელისა“.
საკეტი ხშას გამოსცემდა
გოდების, გულის მწველისა.
გმირებმა იცნეს საკანი
ხვრელისა საკუირველისა.
ძებნა დაიწყეს საბრალო
ტუსალთა რამ საშველისა,
კლიტე არ იყო კარებში,
არცა ნიშანი მცველისა.
ჰქრეს და ურდული გასტეხეს
ვით ხმელი ლერთ ლელისა.
ვინ იტყვის გაკუირვებასა
შიგ მყოფთა დამნახველისა.
სთქვეს: — „აქა ვზივართ ლოდინში
სიკვდილის უეჭველისა,
ვგონებდით — წასხმად მოხვედით
დევების შესაჭმელისა.
გადავრჩით განსაღიდებლად
ამა სიკეთის მჭმნელისა,
ამირან, თავი არ გვიმძიმს
სამონოდ ჩვენი მხსნელისა.“

*

სამნი ძმანი დაეუფლნენ
ცხრა ძმა დევის ნასახლარსა;
დაუთვლელად ერთად ყრძინენ
მათ საჭურჭლეს, მათსა ლარსა,
ზრუნვით თავს არ იტკივებდნენ,
პურს არ სჭამდნენ ნაოფლარსა,

მთელ ქვეყანის განაგებდნენ,
ცხრა-ძმა, დევის ნაუფლარსა.
მტრის ნადავლით ფუფუნებდნენ—
ვინ დასდებდა მასში ბრალსა.
უსიპის და ბაღრის ცოლებს
მოასხმიდნენ დევის კარსა,
სასახლეებს უგებდიან
ოსტატობის სანუკვარსა,
ჩირალდნებსა უნთებდიან;
არ პატრუქს და არა კვარსა.
მარტოხელსა ამირანა
განა ცოტა უვლის გარსა,
ვინ გაუწევს ყამარობას;
სხვა ქალთათვის მიუკარსა.
მოიწყენდა, თუმც არ აკლდა,
რაც რომ ჭეკას დაეჯრსა.

*

ყამარის ქება-დიდება
არა ერთს გაუგონია.
ჰაბუკო ჰმართებდა სიქველა,
იმ ტურფის შესაწონია,
ბევრი ცდილობდა ეპოვნა
მისკენ სავალი ფოია:
ზეიმის ნაცვლად უნახავთ
სამარხის ტირიფონია.
გზა მნათობისა ტრფობისა
ადვილი ნურვის ჰერნია,
იმაზე მეტი საჭირო
საძნელოდ გასაკონია.

ზეცის სიმართლეს ამბობდნენ
 ქვეყნიერ მონაჭორადა;
 ტაროს მიათობთა ხინათლე
 არ გაუცია სწორადა;
 თუ კი სხვებს არგო ერთ-ერთი,
 ყამარს უნაოთ არიადა,
 ყამარი ელვის სწივებით
 მხის ელვარების სწორავდა.
 ჭაბუკო ყამარის მშვინება
 ესახებოდა შორადა;
 თუცა თავები მხად ექცნოთ
 საშსხვერპლოდ გასტორია.
 ვის ექნებოდა იმედი —
 მას შეირთავდა ცოლადა,
 ვის ბედნიერსა დასვამდა
 ყამარი თავის სწორადა.

17. ამბავი ნარიმოგისა

ამირანძა შემოჰყირა
 საღარბაზოდ მთელი ერი;
 ჭაბუკო შორის ვინ დასთვალა
 აჩუ ხახე, ანუ ფერი.
 ისარს ვვინდნენ მომართულსა
 ვით ჭაბუკი ისე ბერი;
 სახლსა სხივი გარდაკვეროდა,
 ტაროსისგან მონაბერი,
 რჩეულ სტუმრებს გაუშართა
 ნადიმობა მრავალფერი,

სუფუ-ღროში ლავლივებ უა,
ყრმა ჭაბუკის ღანაჭური.
ცის თალებში შეჭრილიყო
ღროშის ტრის ღქროს წვერი.
შზის სხივებს ვერ იტევდა
ცის ჭაბარის ლურჯი ჭერა.

*

მაღრი და უსიპ ამირახს
ვერდს უდგნენ ვითა ბოძები,
მათ გვერდით დაუარსაბული,
სიურმითვან მონაბოძები;
იქეთ ნისრელი, — ვინ იყო
მისი საღაროს შომძებნი.
ალვისებრ იდგნენ ჭაბუკი
რიგ-რიგად ოცჟერ-ოცები.
მზე იჭირვებდა დარცვენით,
ჩაბულით განაცეტები.

*

ნაღირობა-ჭარჯას დილიდა
ლაუნშვენ უათ სარით ცლერა,
ხელმარჯვობით მოიხეს
გასაგრი დაესერთ,
პურად დასხდნენ, ლცინის მსმელებს
არ დააკლდათ გულთა ძეგრია
ჯიხვის ყანწე სუფრის თავზე
ტრიალებდა, ჭითა-ძერია,
ქვეყნის ღარღი ჩალად იქცა
და ხომრობად — ბერისწერა.
მზე-ჭაბუკებს ლვინის ალმა
ლაწვი წითლად შეუფერა,

გული ლხინმა განაბრწყინა,
ვით კოცონმა ცეცხლის კერა,
აპა ლხინის ურიამული
ცის თაღებზე გაეკერა,
მოშაირემ ხმელი სიმი
ცრემლთ ნაჟონით გააჯერა,
ანაზდეულ სიჩუმეში
გულსაკლავად ააჟღერა.

*

მღერის ჭაბუკთა ღიღებას,
ცოცხლდება მათი ნაქმნარი,
ნაღიმს რიურაჟის ნისლივით
გარდაეფინა ზღაპარი,
დეზი ჰკრა ჟამის მერანსა,
ააყრევინა ფაფარი,
მსმენელებს სევდის ისრისგან
არ გააჩნია საფარი;
ნაკარში ეძებს სიმშვიდეს
გული, ნაკვერცხლად დამწვარი.

*

ამირან ფსმენს ნააშბობს
გარდიქცა ყურთა სმენადა.
ხედავს — შორეულ მფუყნიდან
ვაჟკაცის სახე ენათა.
მოსკდა სიმღერის ნაკადი
ახალი ტალღის დენადა.
ამბრი-არაბის ნაქმნარი
ვერ გამოუთქვამს ენათა:
ომში სიმღერით ვიდოდა,
ბრძოლა ამსგავსა ლხენათა.

18. ემბავი ემბრი-ჭაბუკისა

ბნელსა განშორდეს სინათლე—
ის ურჩევნია ტაროსსა.

ნამ ხიყვარულის ყვავილი
არ ხარობს საბაღნაროსა,
თუ არ აპკურებს ორუბელი
მას სასიცოცხლო შეიძროსა.

ცის თაღებიდან ყამარი
თვალს ავლებს მთელ სამყაროსა;
ვინც ჭაბუკთაგან პირველის
სახელი ვერ ატაროსა,
ტყვილად დაშვრება იმედით—
ცის ელვას შეეყაროსა,
საღაც ანათებს ცის ცეცხლი
სამყოფსა სანეტაროსა..

*

ლხინი გარდახდა. ამირან
საწოლს შოიხმო მეოსანი,
აფიცა ზეცის კამარა
და სიტყვა პატიოსანი:
წვრილად უამბოს — ვინ არის
ამაყი ის მძლეოსანი.
შომლერალს ფერი ეცვალა,
სახე გაუხდა სოსანი,
ხმას ვეღარ იღებს — წინაზე
სირინოზისებრ წმოსანი,
ფიქრობდა; იქნებ განრისხდა
პატრონი აბჯაროსანი.

*

— „არ მიღებრით, ჭავჭუო,
 მომეთხოთ თქვენდად წყენადა,
 იგი ამბავი არ მითქომს
 ჭაბუკის შესარცხულადა.
 გიმლერი ჰქეყნის აშებსა
 პატრინის მოსალენადა—
 არ ითავბედოს სუფლაშინ,
 ესტუმროს მოსაწყენადა.“
 ამირან უთხრა: — „ნუ შიშია,
 მესურვის მოსასმენადა,
 ენას კლიტენა ახსენი—
 აზრის ამბავთა დენადა,
 ყოფელსა წვრილად მეტყოდე,
 გერჩიოს დასჯრჩენადა.“
 შესანმა ფეხი მოიოთხა,
 ლაჯდა ამბავის მთქმულადა.

*

— „რყო ოდესშე ოძარი,
 ჭაბუკთა შორის რჩეული,
 სასახლე, კოშკი, საუნჯე
 მას ჰქონდა მემკვიდრეული.
 იმის ხმალს ჭარბად ენახის
 მტერი მრავალგზის ძლეული.
 ძე არ ვაჩნდა ოძარსა,
 ოჯახი ჰყვანდა ეტლი.
 ზეცამ მიიღო ვედრებად
 ცრემლი, იმისგან ნოხეული:
 ძე გაუჩინა — ისმინა
 გოდება მრავალდღეშლი.

ერთხელ იაშანო სუტლეარსა
მიგიღდა გამოქტყული:
თვისისა მეფის მხლებელიდ,
მისებრ ლტოლეფილიდ ქცეული.

*

ნანატრ ძის შიბაშ აშარმა
ყმაწვილს დაარქვა აშერი.
ხუთის წლის იყო — ღააჩნდა —
ოვალთა საჩინო აზმ არი
შისუაბატუ — სახრდელიდ:
ახმარს ხდალი, აბჯარი,
მარიცობისა წესები
და იშველენი სხვაგვარი.

*

აბუტარ უტხრა: — „მონა ვარ
მე თქვენი განპრახვისაო,
თვით ცხელავ თუ რა იქცება —
თქმა რალიდ მინდა სხვისაო.
ყმაწვილს თან ახლავს ნიშანი
ბოროტთა შერისხვისაო.“

*

გაიზარდა ყრმა აშარი,
მკლავში ლონე მოემატა,
მხეცსა სჭორად შემუსრავდა
ლომი იყო გინა კატა,
მის სახეზე ზეციერმა
სათონება გამოხატა
და მის ტანში მდგარი ძალა
არ შებორკა, ააზატა:

მოვიდნენ კაცნი ინდონი,
თან ჰყავთ ზერდაგი ნასუქი;
სიკოხტავით და მშვენებით
სიტყვით უთქმელი და უქი:
ნიავს უწრებდა ქედისას,
ვეღარ სწვდებოდა ქარბუქი.
სამისო ჩხედრად ვარგიყო
მხოლოდ ამარი ჭაბუქი.

*

მეფე ომარმა შემკვიდრეს
ძღვნად მიუბოძა მერანი—
თვით ჭაბუქს ამბრი უწოდა—
ცნობდეს თურან და ერანი.
ჭაბუქი ცხენსა მოაჯდა,
გულს მოუმატა ძგერანი,
ეამა აბჯრის წეროუნი,
ვითა სიმების ქლერანი;
დაპერა დავლური ხმალითა,
ოროლით იშყო მლერანი.

*

აბუტარითურთ წავიდა—
გზანი უვლელჩი იარა,
ველებს ზავისი ნაფიქრი
სიმლერით გაუზიარა.
ნახა: მხედარი მოპქროდა;
გულს უწყლულებდა იარა—
უყივლა:— „რამ შეგავირვა,
საზარო შეგმოხვევია რა?“

*

— „დიდ ქარავნით მოვლიოდით,
გარდევეკიდენ მეყობრენი,
მარტოლდენ გადმოხვეწილს.
გამომება თითქოს ფრთენი.
ჩენს ნაჭირვებს ვერ აამებს
ვერც გმირი და ველარც პრძენი,
დიდი ლარი წარგვიტაცეს,
საქმე გვიქნეს აპაზრზენი.“
ყრმამ უბრძანა: — „გზა მაჩვენე,
სხვა კი არა მინდა შენი“.
კაცი ამას არ ელოდა
და ეტყოდა შენარცხვენი:
— „ევედრები ზეციერსა,
გაგიგრძელოს ყოფნის დღენი“.

*

შეეყარა მეყობრეთა,
ომის ღმერთი მას თუ გავსა!
ათეულად დააფენდა
მტერს საკვდომად უზოგავსა,
ზოგს შუაზე გააპობდა,
ზოგსა სჭრიდა ოხერ თავსა.
აბუტარ და იგი კაცი
ბრძოლას სჭვრეტდენ უნახავსა:
ორი ათას მეყობრესა
ქვე აფენდა, როგორც ხავსსა.
უხაროდა აბუტარსა,
რომ ეგეთი ზრდილი ჰყავსა.
მექარავნეთ ქვლავ მიჰვარა.
რაც წაერთვა ბედსა ავსა.
ქვეყანამდე თაყვანი სცეს,
ისევ ჩასხდნენ თვისსა ნავსა“,

ამირან ველარ უძლებდა
შეტის მოსმენის ნდომასა,
ისმენდა: ველარ დგებოდა,
ვერც კერტებდა ჯდომასა.
მგოსანი თუ აგრძელებდა,
ერთდებოდა წყრომასა.

ამირან უთხრა: — „განავრძე,
დაგიფასებენ შრომასა“.

— „ეს იყო ბრძოლა ჰირველი,
გადაეხილა რომ მასა.
იმ ქვეყნად მტერი გაესწა
უღმობელ ბედის წყრომასა.
მხეციც კა ველარ ბედავლა
საზღვარზე გადახტომასა.

*

„მას უამსა შიგან მოადგა
იამანთ შხარეს მტერია.
ყრველ გხის შოდგა ლაშქარი
ურიცხვი, ნრავალფერია.
იამანთ მეცე დალონდა:
— „ეს ზეცას დაუწერია;
ვინ აიცდინა მახვილი,
რაც ბჭდსა მოულერია!
დღეს და მამწარა ზეცამა,
რაც დღემდე მე მიმღერია.“
ლივლივებს ლახტი ველებზე,
ვითა ლერწამის ლერია,
თვით შეფე ბანზე გავიდა:
— „მტრის ჯარი მეტად ბევრია,

მთელი ქვეყნისა ლაშქარი
მტრისათვის არაფერია. „
მოიცვა მეფე სევდამან,
ჩალად გაუხდა წვერია.

*

იამანთ მეფეს გვერდს უჯდა
მისი ერთგული ომარი.
მიხედეს—მტერი შეიძვრის,
სეფე-დროშის ქვეშ რომ არა:
ლაშქართა შორის გამოჩნდა
კაცი ზერდაგზე მჯდომარი:
მყისვე შეიცნა მამამან:
ამბრია ის მეომარი.

*

გაიქცა მტერი ქლუული—
თავს შველის გარდახვეწითა,
გმირებმა მოსრნეს მომხდომი,
თვით უვნებელთა ბეწვითა.
სიცოცხლის შენარჩუნებას
მტერი ლამობდა ხვეწნითა,
ამბრის ულმობელ მახვილით
მას სისხლი გადაეწრიტა.
ყრმამ ბანაკს შემოუარა,
თითქოს ვიდოდა ეწრითა.

*

იამანეთის მომხდომი
გარბოდა დამარცხებული,
თან წარეტაცათ აბუტარ,
მიწაზე დანარცხებული.
რა ამბრის უთხრეს—მტრისაკენ
შებრუნდა განრისხებული,

რისხვასა ჰეგვანდა შეცისას
ზეცისავ მაღლით ცტებული.
ველარ გაუძლეს, გაიქცნებ,
დაგდეს მოხუცებული.
ამბრიმ სოქვა; — „ასე მიშველე,
თუ მეცა მნახო ვნებული.“

*

ომი გარდახდა. დამრუნდა
ჭაბუკი ახელოვანი.
”შიშა წეიმი ეხაცვლა,
მყის აღრკვეთა ჯლოვანი.
გამარჯვებულია ჭაბუკია
დახვდა მოყვასთა გროვანი.
ჰეიმის კოშკა დაელგა
გუმბათი პაეროვანი.
კულმოლეროლი ვიდოდა
ამბრი მხნე და ახლვანი,
მისმა შეხედვამ დიაკო
ალუძრა გულში ნდომანი.

*

მეფე შორიდან გარდუნდა,
სცა ქვეყანამ ჟე თაყვანი,
გასცა წყალობა ურიცხვი,
გააღებინა საკანი.
მორეკეს ცხენთა ჯოგები,
აღარ ყოფნიდა წამყვანი.
ჯირითი გახდა მეისრეთ
სწორედ მოზონეს საგანა,

*

რომელი ერთი გიაშბო
მისი თავგარდასავალი.
არიაშ ზეკით აკურთხა
გმირ-ამბრის გზა და სავალი.
კაც უნახავი ომები.
გარდაიხალა მრავალი.
ვიდრემდის ამბრი წარობდა,
ველარ ხარიბდა მტარევალი.

*

იამანეთით ინდომდე
გავარდა მისი სახელი,
შემოკრძენ ყრმანი, ვინც იყო
ლომგულის ნახვის მშრახელი.
გაიხარებდა უოველი
ამბრი-ჭაბუკის მნახველი.
ოშშიგან ჟირსა მრავალსა
გადურჩა დაუძრახელი.”

*

სიტყვა შესწყვიტა მგოსანბა,
ამირანისა მშირალმა:
ველარ გაუძლო მოსმენად
გმირმა ბოლმისგან მტირილმა,
ჭაბუკსა ვული შეუპურა
ამბავმა გასაკვირალმა.
აწ რა უნდა ქნან ბარშია
ირემბა მ.იასა მყვირილმა.

*

მოშაირე აღაო მღერის—
შედგა თითქოს უმეცურულად.
ამირანბა მას უპრაბანა:
— „დაასრულე სიტყვა სრულად.“

წყნარშა კიოხვამ მომღერალ
მოაბრუნა კვლავცა სულად.
ყრმამან ჰეკითხა: — „რაცა გიოქვამს,
მომახსენე თვით ნახულად?“
უპასუხა: — „თვითხილულის.
მოხსენება მიჩანს სჯულად,
მით ვატარებ ბედშავს გულსა
მის გონებით დატანჯულად.“

*

კვლავაც ჰეკითხა: — „მომახსენე,
რა ხანი აქცს გარდასრულად?“
— „მოგახსენებ, მზეჭაბუკო, —
ოცდახუთმეტს აღწივს სრულად.“
— „იამანსა დაგიგდია,
თუ გეგულვის სხვად წარსულად?“
— „გმირი აშბრი არ მეგულვის.
იმ ქვეყნების მონატრულად,
საცა მისი ორგულია,
ანუ ვისთან არის მტრულად“. *

უბრძანა: — „მაღლი გექუთვნის,
მთხოობელო რამ სამოსი.“
თავის ხელითვე მუშაითს
უბრძა ტანთა სამოსი.
დასძანა: — „მფიცე სახელი
ელგისა მის უღამოსი,
რომ მემსახურო მეგზურად
აშბრისკენ გზის უუამოსი.
წამომყე, სავარსამულო,
ორთავ გვწყალობდეს ტაროსი.“

19. ემბავი ემირანის გამგზავრებისა და გარის შასყადა

ყამარის სახეს ელვარეს
 ესხა ღრუბელთა მანდილი,
 არად მიაჩნდა ვრძნეულსა
 ჰეკის და ქვეყნის მანძილი.
 ვარსკვლავთა ნოხზე ვიღოდა
 სხივთა სუნთქვაში აღზრდილი.
 ღრუბელთა მეფემ ასულსა
 დოეს შეუსრულა წადილი:
 ქვეყანას გადააფარა
 ბნელ უკუნეთის აჩრდილი.
 სადაც ოდესლაც კაცთაგან
 დევთ უგერნიათ სადილი,
 იქ ლაშქრად მომზადებისთვის
 დანიშნულია ადგილი.
 თუ რა დაკლდეს ამირანს,—
 ზღვასაც აკლია მარილი,
 სურს მოიბოვოს მახვილით
 დაჭრილ გულისთვის არილი.

*

გმირ ამირანის მოუმენი
 არვის უხდიან ღალასა,
 თვით წინამძღოლის სიქვეუმ,
 ჭაბუქნი გაახალასა.
 სადარი არსად უხილავს
 არც მფლობელს და არც ღალასა.
 ამირან თვალით სინჯავდა
 შეჭრვილს თვის ამალასა,
 ჯერ არ უნახავს ასეთი
 ალგეთს მთასა და ჭალასა.

შორი გზა ედო ამირანს
 იამანეთის მხარესა,
 საძელო იყო იგი გზა
 კაცთაგან უვალ არესა.
 საუკეთესო ჰუნეთა
 მათ თავი მოუცარესა,
 მრავალ სპრჩევი ტაიპით
 ლაშქარი გდანარესა.
 ათი ათასი ჭაბუკი
 სხივით სწორად მთვარესა.
 აისხეს ხმალი, აბჯარი,
 შუბი დააგეს ტარებსა,
 გძოეთხოვენ ტურფებსა,
 საწოლებს ნანეტარებსა.
 წასვლისას, როგორც წესია,
 ხმლები შეახეს კარებსა.

*

ამირან ბრძანა: — „განჭვრეტა
 გვმართებს ჭუითა ბრძენითა;
 მტრად შემოგვხდება თუ მოყვრად—
 ეგების მისვლა ძლვენითა.
 ტურფანი, შესამოსელნი
 ზიდეთ მრავილი ცხენითა—
 ვერ შევეყრებით ჭაბუკსა
 პირითა შენარცხვენითა.
 ნუ მოწამლოს სტუმრობა
 სიძუნწისაგან წყენითა.
 თუ სამტრო გვიყო, დავხდებით
 მძლეჭაბუკობით ჩეენითა,
 პატის პატიგით მივუზღავთ
 მახვილით და მარჯვენიოა.“

ამირანს იმ გზის სიძნელე
ძმებშა არ დაუმალესა:

— „სისწორით გურუვით ყოველსა,
ამირან, გვალე-გვალესა,
ხაფად ვერ მისვალ — თუმცა
მუხლად გაქებენ მალესა,
დაუკივლებენ საბრძოლად
იმ უდაბნოსა არესა:

ამბრი და მისი მხლებელნი
ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალევე მოგვაწევიან,
ომს გაგვიშევენ ცხარესა.“
ამირან უთხრა: — „დამშვიდელით,
დღეით ნუ აფრთხობთ ხვალესა.
პირ არ გაუცვდის გორდასა,
მტრების აბჯარზე ნალესსა.“

* * *

ალგეთის მთებით ამირან
გადაიარა ისანი,
ჭაბუკებს გჲას უნაოებენ
გალიით მნათობნი კისუნი.
დააგდო არე უელისა,
გზანი იარა კულდისამი.
მიწის და ჩეცის შაერთი
მიუძლვებოდა მიზანი;
კაცთა მოდგმისა ნაფიქრის
ის იყო ერთი მისანი.
თვალთაგან არ შორდებოზნენ
ხევები ალგეთისანი.

ხანი გამოხდია, გამოჩენენ
იამანეთის არენი,
ქალაქის ირგვლივ ამდგარიან
ზღუდენი კლდეებრ მყარენი.
ლაშქარს აწვევენ დადგომად
მსახურნი მესამხარენი.
მოყმეს შაოსანს ამჩევენ
მოდარაჯენი გარენი.
შეიპყრეს: ამ ნო ამირანს:
— „კუნი ვართ მგლოვიარენი.“

მიზეზი ჰქითხა ამირად:
— „რა უჭირს ამ მიღამოსა,
ეგზოდ რა ვიჭირო, ვინ იყო,
ქვეყანა შავად დამოსა?“
— „არ ვიცი — ფთხრა — გაცნობებთ
სამწუხროს თუ საამოსა:
ამბრი ჭაბუკი შოგვიკვდა,
ჩასვენდა მზე სალამოსა.“

ეგვ ამბავი ამირანს
გულმკერდში გაელახვარა,
შეძრწუნდა წყენით გულწრფელით,
ცხარე ცრემლები დალვარა.
შავ ბედმა იამანეთით
ბედის საცდელად ატარა.
შედგა, წაუხდა ლაშქრობა,
მიზანიც ჰქონდა აღარა.
მწუხრის და გლოვის ძახილად
ესმა სიკვდილის ნაღარა.

ამირან გლოვის ზარია,—
ქალებს შესჩივის ცისასა:
— „უცავ, გეტყობა, არ იცმობ
დანაწესს მამაცისასა.
გეყოფა საქმე ზეცაში,
უფრთხოლი ზნეს კაცისასა.
თორემ, ლმერთებო, იგემებთ
კაცთნაშიერის რისხვასა.
ჩვენ, კაცნი არა ვეხებით
ბოროტს თუ კეთილს ღვთისასა,
ანგარიშს თვითონ ვასწორებთ,
ძალს არ მოვიხმართ სხვისასა.
ამბრის სიკვდილიზ უწყალოდ
თქვენ გამასწორეთ მიწასა,
თუ მე მებრძოდით, მზაქვარნო;
მას რას ართმევდით მისასა?“

*

ლრუბელთა შეფემ ჰასუხად
ბოლმა არ დააგვიანა:
მოზიდა ელვის ისარი,
ცის თაღი აახმიანა.
ლრუბელმა ცა და ქვეყანა
ბნელეთში გაამთლიანა,
მიწა აჰყარა, ქვიშანი,
სავალნი გაამტვრიანა.
გმირ ამირანის ბანაკი
დალეჭა, დააზიანა.

ამირან, გრილა შოჩიდა,
 ცას დაცუქერა ხმალითა:
 — „ვერა იქმ, ღმერთო მრისხანევ,
 რომ დამძმონო ძალითა.
 მეტს ვერრას შავნებთ, რაც მიყავ
 მსხვერპლითა იმ საჭყალითა,
 არცა ვარ ქვიშა მინდვრისა,
 რომ გადამრეცხო წყალითა,
 არცა ვარ მინდვრის ყვავილი,
 რომ ამომგლიჯო. ქარითა.
 შურისძიების კოცონსა
 განახებ. შენის ოვალითა,
 გავთელავ შენსა სამსხვერპლოს
 აშ. ჩემი ფეხით მალითა,
 აჯანყებულსა. ქვეყანას
 ვერ გასტეხ ცის ამალითა,
 მოგტაცებ და შეხ დაგფურფლავ
 შენივე ცეცხლის ალითა.

^{*}
 ჩემი მოქიშებეს სიკედილით,
 ზეცავ, წამართვი დიდება.
 ცეცხლი, ზეციდან მოკვრილი,
 ღმერთებსც მოეკიდება.
 კაცი ღმერთთაგან დეგნილი,
 ქვეყნისგან ვაეკიდება,
 მაგრამ სიკედილის აჩრდილი
 ცოცხალს ვერ გაჟურდება.
 კაცის და ღმერთის ნაშიერს
 გზა ზეცით გაეხიდება.“

სიტყვაა ზეცის მფლობელი,
აგრევინდა რისხვა ფრიადი,
გმირ ამირანის ბანაკსა
დღე გაუთენდა ძნიადი.
ლრჯბელთ მფლობელის ქალწულსა
სევდა ეწვია დიადი:
დარჯალანის ძის ეშჩისთვის
ელვით გაჰქენდა წყვდიადი.
ბანაკი ხარობს — ახლოა
ცისკარი და უანთიადი,
ამირან — ურჩი ზეცისა,
ქვეყნად ხარობდა ზდიადი.

*
გაოენდა. იამჭნეთი
მოეცო გლოვის ზარსაო.
შნო ალარ პქონდა შავის ქვეშ
ხმალსა, აბჯარსა, ფარსაო.
ჭირი იმ ქვეყნის მცხოვრებთა
ზე შიღვომოდა კარსაო.
ხელავს ამირან — მცხოვრებნი.
გარს შემორტყმოდნენ მკვდარსაო:
ამბრი ჩაპქონდა დელასა,
თორმეტუღელა ხარსაო.
გადმოვარდნიყო ბაზარი,
მიწას არლვევდა მყარსაო.
ამირან კვლავცა შესჩივლა
ქვეყნისა დამარსაო:
— „ზეცი, მკვდარი შემყარე
სიცოცხლივ შესაყარსაო.“
ამბრისა ფეხი აშეიდა,
ვერ სძლია, ავნო მხარსაო,

იტყუდა: — „დღენი წაუხდა
ძხლასა საკვეთარსაო,
ჩემი შერცხვენის ამბავსა
ალგუთი ეტყვის მტკვარსაო.“

*

ამბრისა დედამ შენიშნა:

— „აკი მის სიკვდილს ნანობდი,

სომ ხედავ, მაგის შებმასა

ტყვილა-უბრალოდ ლამობდი!

ა, ის ქვეყანაც კრულია,

სადაც შენ აპირანობდი,

თავს იხურავდი ჩაჩქანსა,

ბოლოზე ჯაჭვიანობდი,

შენი სატრაფოის გულისთვის

აშბრისა იქვიანობდი.

*

სულ ყველა ვიცი, რა მტრობას
ამბრისთვის შენ აპირებდი,
ამა საქმისთვის ლაშერითურთ
უდაბნოს ინაპირებლი.

წესი თუ იყოს დედათა —

ადვილად გინაღირებდი:

აგურავდი წინდის ჩხირასა,

ცის გიდელს მიგაპირებდი;

მათრახის წევრისა მოჰვერავდი,

ღრუბლებში აგაყირებდი“.

*

ეტყოდა: — „გმირის დედაო,

ამაოდ შეგზარებოდი —

ჩემს მნათობს ვფიცავ, მის ნახეას

ალგვთით ვეჩქარებოდი,

მეგობრის ქოცნა მომქონდა,
ხმლითა არ ვეკარებოდი,
გმირის გამოცდა მინდოდა,
დანაწესს ვემყარებოდი.
ვიცოდი, მას ოთხ შევყროდი—
ძმასავით ვეყვარებოდი!
მკვდარ ვნახე — ფეხსა შევეხე,
მეგონა — ვეხმარებოდი“.

— „ღმერთმ იცის, ჩემო ამირან,
ამბრის ვერ ედარებოდი,
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში,
ვერც ომში ედარებოდი:
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა,
ცოცხალს რას ედარებოდი,
თუ მაგის მეტი არ იყავ,
ჩემს შვილს რას ედავებოდი?“

*

შემობრუნდა ამირანი,
ალგეთისკენ ქნა მან პირი,
რა ტაროსმა მას უმუხოლა,
აღარ მიხვდა დანაპირი,
უსაგნოდ და უიშედოდ
შორის ქვეყნით დაშვრა მწირი.
კლდე და ჭალა გადიარა,
არ დასტოვა ტყენი ხშირი.
მხეცთ და დევებს ეგოდენი
არ უნახავთ გასაჭირი.
იჩქაროდა, უკან დარჩა
ბნელეთის და სევდის გზირი—
კავკასიის ხერხემალზე
მოეგება ძილის პირი.

20. ამბავი უშისანის ყავაგონებისა

ამირათ ქვეყნად ატარებს
გონიერას ყავაგონისასა,
ბოლომის სალლობაზ უისხლს იხმარს
კაცი მონაგდარის შტრისასა.
არ უმიმიშ ქვეყნის მოკეთეს
შალლს შეედაოს ცისასა.
მტერს ომ თავისებს არ აძლევს,
არც მიითვისებს სხვისასა,
ჰეცას თუ ურჩობს იმ თავით,
არც უფროთხის ზეჯის რისხვასა,
აფის და კარვის განსჯაში
არ სცნობს განაჩენს ღვთისასა.

*

სახლში ვერ დვება ამირან,
არ ხებლავს ყოფა სვიანი,
დაბლობი გულსა უწყლულებს,
მაღლობი სწამლავს კლდიანი.
არც ინუგეშებს მყინვარი,
არცა ალგითი მწიანი.
დააგდეს სახლი და გარი,
მანძილი ნახეს გზიანი,
მრავალს გასწყვეტენ გველეშაპს,
დევთაცა მისცეს ზრანი.

*

მათ სამთა ძმათა საზვალი
არ დარჩი ქვეყნის კიდევსა,
შემოუარეს სამუაროს,
შესრ-ბეჭი აიკიდესა,

ზეცაში ასელის ლამობდნენ,
 ვერ ნახვადიან კიბესა,
 დახოცილ ღეგთა გარაში
 სულის სატვირთად იღესა.
 დევების გვაშებს უთვლელად
 ულრან ხევებში ყრილესა,
 ხევში ჰკატავდნენ ფიჭვ-ნაძვნარს —
 მთა-იალტუზის რიცესა.
 გზა ჰქონდა ზღვითა მეტისკენ
 მას, ჭირის არ დაშრილესა.

*

ჩამოდნა გმირის მარჯვენა.
 ჰეყუნის საქმეში რევითა,
 ამირან ბედს უჩიოდა,
 ვითა ალვის სე, რხევითა:
 — „მოვლალე ჩემი მარჯვენა
 ამდენი ოქში ქნევითა,
 ჯაჭვის კალთები დამაცედა
 იგოდენ სისხლში რევითა.“

*

ჭაროსა კუთხე შეაქრა
სპერის ზღვის და კავკასია,
 მთების გულ-მკერდზე ლალობდნენ,
 სხივები ზეცის ხისია,
 მთელ ქვეყნად მჯობენ არ სჩანდა
იურისის სილამაზისა.

მთა — მეგობარი პონტისა —
 უხეად ატანდა ფაზისა
 თავისი ძირის ნარეცხად
 დაუდებელის ფასისა.

*

ქველთაგან ველი ამ ქვეყნის
 სამფლობელო იგრისა.
 იგრი-ბატონი იხმარდა
 წყალს დასიაფარად მინდვრისა,
 ქვეყანა მონად შეექმნა
 ტალღად მოზიდულ ზღვის პირსა,
 ცრემლიან თვალით უჭვრეტდა
 კავკასიონს და ისპირსა.
 აქვე მოიჭრნენ ძმობილნი
 სამივ სისწრაფით ისრისა.

*

აქ მოიყვანა ამირან
 ყამარის სახის ძალამა,
 ტრფობის წინაშე დახარა
 თვი საგმირო ალამმა.
 ჩამოხდა, ზღვასთან მივიდა,
 მის ტალღებს გაესალამა.
 მწველ სიყვარულის გოდებამ
 გმირის თვალები დალამა,
 სევდა გაულლო ტირილმა
 და გული დაუმალამა.

*

ზღვის პირს ამკობდენ მთებიფიც
 ღრუბლები ბატრის ფერისა,
 თეთრონი ციურ სახისა —
 თვით მთვარის შესაფერისა.
 ზღაპარს უთხრობდა მნათობებს
 გუმბათი მათი წვერისა,
 გვანდა სითეთრით მოფენილს
 არეს ციურთა მლერისა:

ჭვეყანას გადავლებოდა
ნაცვლად ზეციერ ჭერისა.
ცად მიმცურავნი ხომალდნი
ლრუბლისა — ას ნაჭერისა
ქარავანებთ ვიდოდნენ
მორცხვად მიმდევნი ჯერისა.
ამირან ძმებით მოადგა
მიჯნას ლრუბელთა სერისა.

*

ზღვასთან სტუმრებად ყოფილან
ზეცით შოსული ძალები:
წვიმა, სეტყვა და ქუჩილი,
თოვლი და ქარიშხალები.
სიზმრეულს გვანან ლრუბლები,—
ციური ამორძალები;—
ადიან და ჩამოდიან,
არ იჭერს გზა-ბოძალები.
თეთრი რაშები მიკერიან,
არ ამძიმებენ ნალები,
ტანბუმბლიანებს არ აჩნდათ
ნაცემი ანუ ნალები.
სუნთქვას მიუგავო სითეთრე,
ტაროსის ნამოწყალები.
ამირან მოდგა. თეთრონმა
ვერ დაუბნელია თვალები.

*

ბადრისა, უსიპს და ამირანს
ჰქონდათ თავისი ფერია:
შავი, თეთრი და წითელი,
სწვა ფერი არ გაერია.
მათ ვერ გარევდა ერთმანეთს
ვერც ზეცა, ვერც ჰაერია.

ყველა იცნობდა ამ ფერებს,
საცა რიშ-ხალმე ერია
გადრი თუ ლალობს თეთრონით,
უსიპი სხივთა წვერია;
შაცხედი ამირანისა
შავი ღრუბლებით სწერია.
ღრუბელთა მეფე იმ თავით
მისი მოსისხლე მტერია,
დარჯალანის ძის სამტეჩოდ
თვალი იმ დლიდან სჭერია,
რაც ქვეყნად გაჩნდა ამირან —
ცოდვილის ნაშიერია.

*

მისი ქალწული ყამური
მანისთვის ქვეყნის ზატია,
ამირანისთვის სიკეთე
იმასაც ვერ აპატია.
შავი ღრუბლითა დაფარა
მან ტრფობა განაკვადია,
ნიავლვარითა წალეფდა
ასირანს რაც აპადია.

*

ამირან ზეცან გაჰყუჩებს
მიწიერ ზღურბლის ზევითა;
ღრუბელთა მეფის გზა აჩნდა
ბნელით დანისლულ ხევითა.
ზღვისა გაღალმით ჩასულსა
ცა მოეგრაგნა ხეჭითა.
უსიპსა გზასა ურევდა
დასავალისა რღვევითა.

მხისა სხიუების შვერები
ზღვაში ჩაეშვენ რყევითა.
ამირან ბადრსა გიძართა
ძეა დარჩენის რჩევითა,
ოფით კი დაიძრა ზღვისაკენ
აბჯრის კალთების რხევითა:
— „ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო,
კალია თეთრი მზე ვითა“.

* * *

ბადრმა ათხოვა თეთრონი,
ჭაიძრა გემი ღრუბლისა.
ცის კამარაში მისცურავს
უშიშრად ღრუბელთ უფლისა.
აპა გამოჩენდნენ არენი
ყამარის შენაუფლისა;
ელვა ლაუფარდით ქსოვილი
მისი სამყრელს ზღურბლის.
ამირან ჩანა გვირგვინი
სხივით მოსილი შუბლისა.

*

ბროლისა კოშკი გამოჩნდა,
ცასა სწვდებოდნენ თალები,
ჯაჭვით გერა ზეცაზედ,
არ აჩნდა მას გასაღები.
სარკმელნი—მოაჯირები
ტელქვის სამტკიცოთ საღები,
ლომის ტა ვერსის მნათრმი
დარაჯად უდგნინ ლალები,

გარს ყვავილნარი ემოსა,
თეთრთა ღრუბელთა ნალები,
სუნელოვანსა ეთერსა
უკმევდნენ ზეცის ბალები.
კარიბჭეს აჩნდა ნიშნები—
ბელისწერისა დალები.
ჰაეროვანსა კიდობანს
გარს ერტყა ზეცის ჭალები.

*

ამირან ზლვასა გავიდა,
ყამარის კარსა ფარა.
ქალსა შესტყორცნა მანდილი,
კოშკს გვერდით ჩამოუარა,
ახლოს მისვლისა სურვილსა
მის გული არ ეუარა;
იქით მიმართა თეთრონი,
დილა გათენდა თუ არა.

*

ყამარი მიხვდა წუხილსა
ჰაეროვანის ლომისა;
სარკმელსა მოდგა უფალი
ცისა ელვათა კრომისა,
სივრცეს ესროლა მეგზური
წინამძღვრად ვარსკვლავთ ხომისა—
ყამარმა შეპკრა წარბები
ნიშნად ქალწულის წყრომისა.
ამირან იცნა: წალეკა”
რისკეა ნაკაღმა ნდომისა:
~~თან ამლდა იმა ჭაბუკსა~~
ძალა ღმერთების ცდომისა.

ამირან აფრა გაშალა
ღრუბელთა თეთრი გემისა.
სავერეტად ნეტარებისა,
ჯერ მისგან არ ნაგემისა.
ყამარის თვალებს შეხედა,
შათი მშვენება ემისა.
აღარ შემცდარა — ენიშნა
ის სხივი ცის ედემისა.
— „ყამარო, შენთან მოვსულვარ,
მნათობო ქვეყნის თხემისა,
ჩამოდი ქვეყნად, წავიდეთ
საშველად კაცთა თემისა.“
— „ამოდი, აქ განისვენე,
შიშ ნუ გაქვს მამაჩემისა.
დედა და მამა შინ არ მყავს,
უფალო გულის ცემისა.
კოცონს აგინთებ ტრუობისა,
შენგანვე მონაცემისა.“

*

— „იმ თავით არ მშინებია
შე შენი ავი მანისა,
ვიცი — დასწყევლა მან უამი
ჩემი ჩასახვის ლამისა.
ტაროსმა თესლი ახარა
შულლის ჩემისა და მისა,
შურისძიება მივანდევ
მადლს ზეციური წამისა.
წაყვანად მოველ, არ გვმართებს
ჩვენ დაყოვნება უამისა.

ბოლშით საესე ვარ, არ შინდა
ჩადენა შე ჭხვა რაშისა".

— „წამოვალ, ხოლო მაღარავე
ვაწმენდა ციურ ჯაშისა, —
ნაწევიმძრ არეს გაშრობა
ვალად მაქვს ყოფნის უამისა."
ამირან ცეცხლს შეხაროდა
სახელველ-შეუდგამისა,
ეხარებოდა, ხარობდა,
რომ ის გვერდითა დკა მისა.

*

ყამარმა უთხრა: — „ჯაშები
ზეცის მნათობთა ძირია,
მიშველე — მათსა დაწყობას
დიდი სიფრთხილე სკირია.
ისე დააწყე, რომ აღმა
ერთს არ დაუტჩეს პირია,
თორემ, იცოდე, მოგველის
უზომო გახაჭირია.“

*

ამირან ჯაშებს აწყობდა
იჩენდა მოთხინებასა.
ყველა დააწყო, ერთი კი
არ მ. ჰყება მისსა ნებასა.
გასტეხა, თუმცა იცოდა,
თავს მოუტანდა ვნებასა.
გაკვირდა, როცა შეხედა
ჯაშების ხელოუნებასა,
ახეთი რამ არ ენახა —
ჰეავდა თუ მოჩვენებასა:

ნატეხი ნატეხს გაუდგა,
შექმნედენ გრძელსა წყებასა,
სხვა საზრუნვავი ყოველი
მოეცვა დავიწყებასა.
მხრალოდ ერთმანეთს ურჩევდნენ
სივრცეში აქარებასა:
ღრუბელთ უფლისთვის ლაშობდნენ
ყოველისა მოხსენებასა.
ამირან ყამარს შესთხოვდა
უმაღვე გამგზავრებასა.
ქვეყნისკენ გზის სანათებლად
გლვისგან ცეცხლის გზებასა.

*

ამირან ჯაჭვი გადასჭრა
ყამარის კიდობანისა,
კოშკი მოსცილდა სამყაროს
ზეცისა კილევანისა.
ვარსკვლავთა ნოხი ვაჲალეს
მთელ სივანეზე ვანისა,
ცას ჩირილდნებშა აცნობეს
ქორწილი ამირანისა.
ვინ თქვას ყამარის შვენება,
ცეცხლოვანება ტანისა!

*

ნატეხმა ნატეხს გადასკა
შთელისთვის გასაგონებლად,
რომ ყამარ გაპუვა ამირანს
საამოდ და სამონებლად.
სივრცეს ორხევდნენ ჯაჭები
ქვეყნისთვის მოსაგონებლად.

რომ ელვა ცაში ას ნათობს
მზის გზათა შესასწორებლად,
ნატეხი ნატეხს მისდევდა
სიყრცეში დაუშორებლად,
ღრუბელი მეფისოფის ამ აძბის
უშალვე მისაწოდებლად.

*

„ქალ წაიყვანეს ყამარი,
მამავ, უშველე, ტიალო,
უამი დაგიდგა — აენთო,
გული ცეცხლითა იალო,
გზა გადაუჭრა ამირანს,
მახვილი დაატრიალო,
მეხით და ქარიშხალითა
ქვეყანა შეაზრიალო,
ქალსა მოუკლა აშიერ
მაცრური და სატრფიალო,
მოსტაცო ცეცხლი ყამარსა,
ცაშიგან ააბრიალო.“

*

ლრუბელთა მეტე შეძრწუნდა,
ამბავი ესმა ტიალი.
დასწყვევლა ზღვათა სამეფო,
იქ წასვლა და ხეტიალი.
შეჯარნა ლრუბელთ ლაშქარნი,
საომრად უკო რიალი,
მეხი გასტყორცნა მთებისკენ,
ხევებშა შექნეს ზრიალი.

შელავით შეჯარნა ღრუბელნი
 უდრეკით და უხეშითა,
 მოლვარა მათი ნაკარი,
 მიწას დაუშვა თქეშითა.
 წყალმა წალეკა მიდამო,
 ბარი აავსო ლეშითა,
 განძარცვა კლდენი ტყისაგან,
 ზღვა ამოხერგა შეშითა,
 გზა გადალობა სავალი
 კლდით ჩამოგრაგნილ ხრეშითა.
 მიჰქირის ამირან — მიწისკენ
 ყამარით — გზის ნუგეშითა.
 ცით ცეცხლი მოაქვს ამირანს —
 ლვთის რისხვის როდი შეშინდა.

*

ამირან ყამარს ეხევვა
 და ტკბილად მოუბარია:
 — „მითხარი, ჩემო ყამარო,
 ნეტა თუ რა ღროს ქარია?“
 — „ფრთხილად იყავი, ამირან,
 ეს მამაჩეშის ჯარია,
 მათი ცხენები ჭენებით
 მტვერს ყრიან ანაჩქარია.“
 — „მაგრამ ღრუბლები რას ნიშნავს,
 ეხლა ხომ ცაში დარია?“
 — „ღრუბელთა შავი ლაშქარი
 ყველაზე საშიშარია.
 ავჩქარდეთ, თუმცა არ ვშიშობ,
 მე ვარ და ჩემი ქმარია“.

— „აქ ნათელია, ქვევით წვიმს,
ზეცამ ქვეყანა არია“.

— „ეს დედაჩემის ცრემლია,
ნახე თუ როგორ მწარეა:
დედისთვის ქალის დაკარგვა,
თვით იცი, სამძიმარია.

*

„ამირან, გზასა უუჩქაროთ,
გავშორდეთ ცათა არესა,
მამიჩემისა მხელუებმა
თავი მაღლისკენ არესა.“

— „ქვეყნისკენ გზასა მოვნახავთ,
მოვხედოთ ბაღრსხ მოვარესა.
ვერ მოგვწვდებიან შდევარნი,
თუმცა ჰლვას მოვეარესა.“

— „ამირან, შენი ბხევალი
არ ველი დღეს უარესსა,
მაგრამ, ხოჭ ხდება, ლაშქარნი
ცხენსა შემჯდარან ჩქარესა,
მალევე მოგვწევიან,
ომს გაგიწევენ ცხარესა.“

*

— „აშოდ იარე, ყამარო,
გზასა ამოვლევთ ბრძოლითა,
ფინ აიცუინა სიკვდილი
იმის წინაშე ძრწოლითში
ჩერჩემალს არ გავიღუნავ
ბედისა ლანაწოლითა,
სიკვდილსა თვალებს ამოვწვავ
ჩემი ელვარე ცოლითა.
ყამარო, ჯერაც ვერ გავძიხ
მე შენი ახლოს ყოლითა.“

— „ხელავ მამაჩემს, მოქოლლავს
ჰეროვანის ცხენითა.
ბუმბერაზები შოჰკვება
შარჯვენით და მარცხენითა.
ვაიმე, ბედო, შავგედო,
აღარ ითქმები ენითა!“

— „ყამარო, თავსა იწუხებ
შენ ნააურევი წყენითა.
ვინ შეაშინებს ამირანს
ბედშავი მამაშენითა!
ამოდ იარე, ყამარო,
თავს ნუ იწუხებ რბენითა,
სიყვარულს მსხვერპლსა მრვუტან
საყვარლის გაღარჩენითა“.

— „აპირან, გული გასკვება
დღეს სიკვდილითა რჩითა,
განა ისინი მოღიან
ძალითა თანასწორითა?
შოჰკრიან, როგორც მხეცები,
გაუმაძლარნი მძორითა.“

— „ყამარო, თავს ნუ იტკრებ
შშიშართა მონაჭორითა.
არცა ვარ ტყისა ხოხობი,
მომინალირონ ქორითა,
არც ვარ მინდვრის კურდღელი,
მომსწვდნენ მწევარნი შორითა,
არცა ვარ ნისა ფოთოლი,
წამილონ ქარის ქროლითა.“

„შენ ნურას დარღობ, მოვილნენ
იმ რაშებითა მალითა,
მოვლენ და მეც აქ დავხვდები
ამ ჩემი გორდა ხმალითა.
ბედს შევყრი მე უმწარესსა
მამაშენს მის ამალითა;
ცას შესტირებენ გვემულნი
შავბედის მოსავალითა“.

*

— „ამირან, გულზე მომეკარ
შენი მგზნებარე ტანითა,
ყამარს ნუ მოკლავ სევდითა,
საძნელოდ ასაჭანითა,
მო, ვისარგებლოთ სიკვდილმდე
აწ დარჩენილი ხანითა.“

— „ვერ გაიხარებს სიკვდილი
დამხთურით საში ძმანითა —
უსიბითა და ბაღრითა,
მესამით ამირანითა,
ჩვენთვის ერთია მომსულელი
შუკით თუ მოწიანითა.
სულაველ և თვეებს დაგიჭრით
ხაპორყველაი დანითა.

*

„მე მამაშენი რას შავნებს
უზომო გულის წყრომითა,
გულს გავუხეთქავ იმ ბედშავს
შურისძიების ბოლმითა,

სისხლისა ზეიმს ვაჩვენებ
ქაჯთა თავების გორგოდა.
იმ მამაშენის ლაშქარსა
მარტო ვეყოფი ოჩითა.“

*

ამირან ქვეყნად ისწრაფის,
ხმალ არ ემარჯვის ცაშია,
ლრუბელთა მეფე მოჰკროდა
ვითა განკითხვის რაშია;
შავსა ლრუბელსა აჰებდა
რაც წყალი იყო ზღვაშია,
ქაჯნიც ყველაი თან ახლდა,
ერთიც არ დარჩი სახლშია,
შიშის მოედვნენ სარბევად,
ვით უქუნებთის არშია.

*

ამირან ქვეყნად დაეშვა,
მიწა საბიჯად მყარია.
სამშობლო კუთხის დანახვა
სულსა და გულს უხარია,
ვინ იტყვის, როგორ უხარის,
მის გვერდით რომ ყაშარია,
ქვეყნად მოყვანილ სხივსთვის
დღეს იგი მეომარია.
ლრუბელთა მეფის ლაშქარმა
დატარა რაც რომ არეა.
ამირან ხელავს, რომ მათთან
დღეს ომი სამძიმარია.
ლრუბელთა მეფეს უშველის
ომისა დამერთიც — არია.

ყაბარის სიმშეიღისათვის
ჭაბუკი ძალზე წყნარია,
არცა რად უჩანს ლომგულისა
ლრუბელთა მეტის ჯარია,
მხოლოდ იმისი სიმრავლე
გმირისთვის საცოდნარია.

*

— „ბადრო, სიყრმიდან გჩვევია
გული პრ-მოსამდედრონი,
სისწრაფე გვმართებს, გვიშველე,
მალია შენი თეთრონი.
უამისა ბრუნვას აჯობე,
ლროსა წარტაცე ზე-დრონი,
საჭირო ზნენი გვაჩვენე
გზირისა და სამხედრონი,
მტრისა საქვერად მომართე
ხშალი და შუბი შევეთრონი.“

*

ოფირონის იმზავს ვინ იტყვის
ჭარია, ფეხით ჩალითა,
წლისა სავალისა ფა-ფილა
ერთისა დღის სავალითა,
ქვეყნის შემოვლას იტყებდა
მზის სინვას დასავალითა,
უსიპი გზას უნათებდა
მას სხივოსანი თვალითა:
უზომო იდგი ლაშქარი,
რიცხვითა დაუთვალითა.

ამირან ბადრესა შიმართა
სიმტკიცით შეურყევითა:
— „ჯარ მოდგა, ბადრი, ხომ ხედავ,
უითა ფრინველი რევითა,
შეკაზმე, ბადრო, თეთრონი,
ლაშე იარე ჭლე ვითა,
ჩადი, ჯარს უმოუარე,
გარს შემოერტყი ნგრევითა,
თუ გაგიჭირდეს, მიყივლე,
საშველად ვაგევარ ზევითა“.

*

ბადრი თეთრონს შეოაჯდა,
ზღვის ნაპირი გადირბინა,
წამსვე მიხვდა იმ აღგილსა,
საცა ლაშქარს ჰქონდა ბინა,
კვლავ საცნობად მანძილისა,
საღ რარა იმის წინა,
მან ისარი ხესა სტყორცნა
და მით კულებ დააჩინა.
ლრუბელი მეჭემ ეს ოინი
დაინახა და იწყინა,
და უმალვე სათვალთვპლოზ
ბადრს ქაჯები მიუჩინა.

*

ბადრმა ყოველი იცოდა,
თუ რა სამხედრო ზნენია,
მაგრამ იმ ლაშქრის მოვლაში
სულ აერია დღენია.
მოკლედ უამბო ამირანს,
თავი ას შეურცხვენია:

— „შენ კარგად იცი, ამირან,
თუ რაა ჩემი ცხენია,
ცხრა დღე მივლია, ცხრა ლამე.
გარს ველარ შომირბენია,
არ დამიგდია ადგილი,
საღაც ბარი და კლდენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა
ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მატრახისთვინა
ფოჩი არ შემირჩენია.
მიბრძანე, ძმაო, გულაბდით,
თუ ჩემგან რამე გწყენია“.

*

ამირან წასვლად აფრინა
ბედითი შავი მურანი.
აბჯრისა ბადე ზეიოდა,
რგოლებს გაჰქონდა უღერანი,
თასმებშა, გულზე ნასკვენმა,
ვერ დაუჭირა ძგერანი.
ლრუბელთა მეფის ლაშქრისა
რიცხვნი შეიცნა ვერანი,
თან მოეყვანა პირქუშსა
ქაჯთა სამეფო ვერანი.

*

მტრის ბანაქს გადაჰვენოდა
შურისძიების გენია.
ამირან უკან დაბრუნდა,
არ გააგრძელა დღენია,
ძმება საომრად აწვევდა,
ვითა ლაშქრობის ზნენია.

ამირანს უთხრა ყამარმა:

— „ რა წესი გავიჩენია:

უსიბს და ბაღოსა რად გზაუნა —
პირველად ომი ჩვენია“.

— ომისა წესებს არ ვარღვევა
თავდები თვით გამჩენია.

შენ კარგად იცი, უსიპო,
ომი პირველად შენია.

*

„ჩადი, უსიპო, იომე,
მერმე ჩვეოც მოგეშველებით,
ფიცხლად იარე კლდეებით
და არა მარტო ველებით.
მზაკვარსა მტერსა აჯობე
სიძულვილით და ხელებით,
არ გმართებს მტერსა მიუხტე
შურისა გამონელებით,
ცივი სამარე უთხარჭ
დაუნდობელი ხელებით.

*

„ისარი ტყორცნე ხელმარჯვედ,
წვერმომახული, ფრთიანი,
ლახტი გულმკერდში ატაკე,
პირმეხი და გესლიანი,
ელვის უსწრაფეს აელვე
მახვილი პირსისხლიანი,
სირცხვილიანის შინ მოსვლას
სიგვდილ სჯობს სახელიანი.“
უსიპი მტერსა ეპვეთა,
ბრძოლად არ იყო გვიანი.

უსიპი სწრაფად გაჰქანდა,
ალგეთი გაინაპირა,
ივრისს შემუსრა ყოველი.
 რაცა რომ ბედმა გასწირა,
 ქმრები მოუსპო ცოლებსა,
 უთვალავ დედა ატირა,
 რაშებზე მჯდომი ქაჯები
ბნელეთში დასკა თავყიო.
 მკერდგაპობილი მხრირები
 კი აო აკვეჩა — აუ რა,
 მტერს რა მოუსრნა ლაშქარი,
 ძმისაკენ წასკლა აპირა.
 უეცრად მტერმა ქურდულად
 მასზე მახვილი აპირა,
 მკვდრეთის უფსკრულში უსიპი
 ბედმა ძმისათვის ჩასძირა.

*

ამირანს ვულმა აცნობა:
 დღე მოელოდა საწყენი.
 პირი შეექმნა დალრევით,
 აუხდა წარბი მარცხენი:
 — „ან ჩადი, მადონ, ან ჩავალ,
 ანარაში მოშეც, ან ცხენი —
 უსიპის შეზარადისა
 ალი ამოდის ნაკვერი”.

*

ძმასა ებრალვის უსიპი,
 ძმის გულმკერდში ალია,
 ძმა ასე უნდა ძმისათვის —
 სიკოცლე რომ შექლია.

ზანს ამ იყოვნებს ამირან,
სისხლის ამღებად მალია:
— „ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
ან გამილესე ხშალია.
თუ ვერ მოვედი, ყამარო,
ვაიმე, შენი ბრალია.“

*

ძმაშ ძმისა შევი დღისძოფის
ბადრობა აისხა ი. ჯილი,
მტერსა, ზღვასაებრ მოდენილს,
მიუხდა, ვითა აფთარი.
შემუსრა შურისძიებაშ
ლრუბელთა მეფის ლაშარი.
ბაზრი მოვარისა ისრებმა
ზნელეთსა დასუა თავზარი,
დარჩენილ ჯარის ნახევარს,
ხარბად მოედო ხანტარი.
ბადრობა უსწორო ომშია
სიკუდილი ნახა საზარი,
მწარე სანახის მზირალი
ამირანს ეტკვის ყამარი:

*

— „შენი აბჯარი მომეცი,
მე ჩავალ საომრადაო,
თუ მამაჩემი შენა გმტრობს,
მას მე გავუხდე მტრადაო.
თავისა ერთსა ქალწულსა
შამამ უპოვნა სადაო—
ქორწილის სარეცელამდე
მომსდევს საიდან საღაო,
და იცრდეს ვინცა ვარ,
ლაშევარს გავუხდი მტკრადაო.“

ყამარი ოისხვას აფრქვევდა
სიტყვამძლე და სხივოსანი.
ამირან ჯავრით მოუგოს
— „სიტყვაა პატიოსანი.
ვინ თქვა — ვაუკაცთა მაგიერ
იბრძოდეს მანრილოსანი,
ომში წავიდეს დიაცი,
შინ დარჩეს ვაერ ხმლოსანი,
ლაშქარს წასულსა მეუღლეს —
უმღერდეს როგორც მვოსანი?!“

*

ამირან იჯდა აბჯარში
ხმალ-ისარ-კრძარჭიანი,
მერანი ალვირს ლეჭავდა,
სწყუროდა ველი გზიანი,
ყამარი გზას უნათებდა
ელვარე, სახე-მზიანი:
— „ამირან, წასვლა იჩქარე,
მოსვლად არ იქნებ გვიანი,
გამარჯვებულსა ჭაბუქსა
გზენოდეს ვარდნი, იანი.
რა დაასრულო ქაჯებთან
შენ ომი პირსისხლიანი,
ხმალს ნუ ჩაბგებ ქარქაშში,
ჩემთან ამოდი ხმლიანი.“
ამირან აბჯარ აისხა,
გზა ჩაირჩინა კლდიანი,
გაძოასალმა სიცოცხლეს
ნრაფალი შავი დღიანი,

პირისპირ შვეციალ ელის,
ხმალი დაარტყა ფხიანი,
ნაცემმა ცეცხლად იელვა,
ჭერ მიაყენა ზიანი.

*

ღმერთი და კაცი იბრძოსნენ,
სამყარო იქცა სმენადა,
არსად ეცალა არსებას
ამ წუთში მოსალხენადა;
დილიდან შუბის ტარამდე
მჩე იზგა სხივთა მფენადა.
ტაროსმა ყველა ღმერთები
შეყარა ჭირთა მთმენადა:
ღრუბელთა მეფის საშველად
მზად იყო ძალი ზენათა.
მაგრამ შორს იყო იგი გზა
ზეციერ მაღლის დენათა,
არავის სურდა ზეციერს
ყამარს ქვეყანა ენათა,
ზეცილან ცეცხლის წალება
ვერ ეთქვა ღმერთთა ენათა,
კაცთა უცეცხლოდ დაგდება
ღმერთებს პქონოდათ რწმენადა;
დღეს ის ჭიშიერს მიჰქონდა
ღმერთების შესარცხვენად..

*

მამის და სატრიუმს ბრძოლას
შიეპყრა ხედვა ქალისა,
ორივე სასიკვდილოდა.
ამ ხედვაშ წარხალისა.
მამისა ხსოვნა გადაჰყვა
ხსოვნას წარსულის კვალისა,

გაქარდა მამა — მეტოქე
სიყვარულისა ძალისა.
არ ახსოვს მამის ალერსი,
ხელვა ცრემლიან თვალისა:
ყვავილსა ბავსი ურჩევნის
ამ ყმისა სასურველისა.
არ ახსოვს მამის ნუგეში.
ფოლადს რა მართებს რვალის
ჩხა ჭაბუკის უბეში
ბოდვაა გრძნობა ვალისა.

*

ჭაბუკი ვერ სცემს ტლიას
ადგილსა სასიკვდილოსა;
როგორ გაუძლოს ყამარმა:
საქმესა სათაქილოსა
და საყვარელსა ბრძოლაში
სამხნევლად / არ შეჰკუფლოსა
— „ეი, ამირან, ავირან,
ომი ვერ იცი კილოსა,
გესურვოს მტერსა დასცემხევა..
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა.
მამაჩემისა საკვდომად
დაბლა შემოკარ რბილოსა;
დააწყდებიან ძარლვები,
დაეცემიან ძიროსა,
ჩარდახს ფეხები შეაჭერ,
გაშინვე მიაწვინოსა.
ბოძნი რა დაეჭრებიან,
ვითარცა ძვლები ხრტილოსა
დარბაზნი დაეცემიან
არესა უადგილოსა!“

ესე სიტყვები ყამარის
ქართველი მიძღვნდა ლამუშრალსა,
რა გაიგონა მამაშან,
სახე ეცვალა გამწყრალსა:
— „ქმიტი არჩია მამასა,
უკურეთ უმსგავსს აფ ქალსა,
ქმარი ხეს ასხავ ფოთლადა,
მამას ვინ მისცემს საწყალსა
ამრა გამგონემ რალა ვქნა,
თავსა მიუსცემდე რა წყალსა!“

*

„ჩისთვის გაგზარდა დედაშა,
რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწოვებდა ძუძუსა,—
ვირწევდა აკვანანასა?“
— „არც-რას გამზარდა დედაში.
არც-რას მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის ჭურეში,
თავვების ანაბარასა.
არც-არას მათირებლოდით,
არც-რას მეტყოდით ნანასა,
ააშსმოდით დავიწყებულსა,
მომილირებდით დანასა!“

*

აშირანშა მოუსვინა
შამა-შეილის საუბარსა,
გადასწყვიტა, დაუჯეროს
ყამბრ-ქალის ნაუბარსა.
რკინის დეზი ჰკრა მერანსა,
მიაშურა ისევ ბარსა.
მოზომილი ხმალი დაპკრა

ლრუბელთ უფლის რეინის ფარსა.
ფარი გატყდა და აბჯარმაც
ვერ უშველა ჯაღოქარსა.
ამირანი ხმალით მიწვდა
მტრისა სხეულს უებარსა,
ლეხში რასჭრა. ლრუბელთ მეფე
დლესა მიხვდა საშიშარსა,
ძირს დაეცა—თითქოს ლერო
ცელსა მჭრელსა. მოეპარსა.
ლრუბელთ უფლის მწარე კვნესა
ცის სივრცეში მიაქვს ქარსა,
შველად უხმობს ზეციერსა
მთავარ ლმერთსა—თვითონ ჩარსა,
სასიკედილოდ დაკოდილსა
შემოერტყა ჯარი გარსა.
ამირანი უზოგველად
ლრუბელთ უფლის სრვიდა ჯარსა,
თვით უფალი მცირე ლაშქრით
წარეტაცნა დამაარსსა.

*

გაშარჯვებული ამირან
მოდის ბრძოლასა ფელადა,
უსიპ და ბადრის მოპოვნა
გაუხდა სასურველადა.
გმირსა, ბნელეთის მებრძოლსა,
გამარჯვება აქვს ხელადა;
ძალა არა აქვს იხაროს
დარჩენილს გარტოხელადა.
ძებსა დაეძებს, უყივის,
ცრემლი ჩამოდის ცხელადა.

ლმერთის და კაცის ბრძოლასა
გადარჩა საკვირველადა,
ყამარის ცეცხლი ეახლა
სიცოცლის საფარველადა.
უფალზე გამარჯვებისთვის
ვინ იფიქრებდა ძველადა.
ობოლს სიცოცხლე სიკვდილზე
პიუჩნევია ძნელადა.
კვლავ ბრძოლის ველზე შიმოდის
მის ძმების საძებნელადა.

*
თვალგადუწვდენელს მინდორზედ
რერვად ეყარა გვამები.
მათს სახეებზე ეწერა
სიკვდილის წინა-წამები.
ვერ წაერეცხა სისხლსაცა
ფიქრები განაწამები,
გადახვეოდნენ ერთმანეთს
მკვდრები — შვილნი და მამები.
აფხებულიყო მკვდრებითა
მინდორი, კლდე და ხრამები,
სიკვდილის გზირი გვაშებჲე
ფრინავდა ნაციამები.

*
სალამო-ჟამის ფარდაგმა
არე თანდათან დაფარა,
ჩისლში ერთობლივ განაცრდა
შავთმშანი და ჭალარა.
ამირან მკვდრებსა დახედავს —
სახენი სჩანან აღარა,

ნანობს, რომ მკედრები მინდოონებ
ამდენი ერთად დაყარა.
აპა, ეჩვენა უსიპი,
საჭვრეტად თავი დახარა: ।
ქაჯმა დაჭრილმა რა ნახა,
გიფურად გაღიხარხურა.
ამირან შედრკა, მოურუნდა.
მუნით ნაბიჯი ავარა—
მკვდრეთის სიჩუმე ისმოდა
როგორც სიკვდილის ნალარა.
იძისი შებლი ელვარე
სევდის ნაოჭმა დაღარა—
რომ ბელმა მასთან შეზრდილზე
აგრე უწყალოდ წაჰვარა.

უსძველეთ გადავარდნილა.
მოსწყდა ქვეყნისა ხედვასა,
ბადრი თან გადაჰყოლია,
ვერ უძლო გაყრის სევდასა,
კეთილი ძმობის მსხვერპლები
ჭაბუკთა რიგებს ერასა,
რა კარგი ძმობა ჰქონიათ,
ნეტავი ამათ დეტასა!—
ორივემ თავი შესწირეს
ძმობის სიმტკიცის ჭედვასა.

ამირან ხედავს: ზეიმსა
იხდის ყვავი და ყორანი,
სისხლის მორევსა ეკვროდა
ჩმში დახოცილო გრძანი,

მასში ჩაცვენილ გვამებით
შეუკრავთ მქვდრეობის მორანი.
მხეცნი და სვავნი შეყრილან
ახლო მყოფნი და შორანი,
ერთად გლეჯდიან გვამებსა,
წვეულებაში სწორანი.

*

პაღრსა და უსიკს ჩასძახ:

— „ძმებო, ნუ დამემდურებით,
ოქვენს ბედზე მწარე ბედი აქვს
ამირანს თქვენი ყურებით.
თქვენთან მოსვლასა ვისწრალი
გულითა მონაწყურებით“.
ასეთი თვალთ არ ენახვის,
არცა სმენია ყურებით.
ფეხმალმა განვლო აღგილი,
საკუ მგლებით და ტურებით

*

სიკვდილის აჩრდილს შესძახ:

— „ჩამოდექ, ტურა-ქალაო!“
პასუხად ესმა — „ამირან,
ნეტივი რამ დაგლალა
გასწყვიტე ცოლოურები,
ვინ გითხრა ბარაქალაო.“
— „განა ჭკუიანს რის იტყვი,
გამხმარო თავის ქალაო;
დაგილრეჯია — უტყავოდ
კბილებსაც ველარ მალავო.“

*

ლამეა. ბნელსა შეეჩრყა
მკვდრების გორიუთა ჩრდილები.
ნისლის საფარველს იბერტყდნენ
შთის მოსასხამის ღილები.
შედგა ამირან, სიმწარით
კბილებს დააჭდო კბილები,
ბერსა, შავბერსა ემდურის,
მისგანვე განაწილები,
ძმები მკვდრებიცა ვერ ჰპოვა,
მასთანვე გამოზრდილები!

*

ამირან დაჯდა მტირალი,
შემოიყარა ლაჯები.
ირგვლივ ორკეცად ელაგენ
მისგან მოკლული ქაჯები.
ეამ-უამად სისხლსა წვეთავდნენ
გადასერილი მაჯები.
მკვდრებს არ ესმოდათ ჭაბუკის
ნალმობი ან ნააჯები.

*

იჭვებით გარემოცული,
ამირაწს უცდის ყარარი.
ეამის მიმოსვლას ყურს უგდებს
დაობლებული შთა-ბარი.
აქვეა სავარსამული,
გმირ ამირანის მაყარი,
უიმედობის სუსხისგან
ისიც გამხდარა საპყარი;
ციურ დედოფალს მიმართავს
ის—ეაუკაცობის ამქარი:

— „გმირ-ამირანის საპოვნად
შენ ელვის სხივი აღმყარი.“
ყამარ წამოდგა, განათდა
ველი, სიკვდილის ნაყანი,
ნოყიერ სისხლის წვიმისგან
სიკვდილით თაველნაყარი.
ყამარმა ჰპოვა ამირან,
ნასურვი და გასახარი.

*

ამირანისა დანახვამ
გული ვარდისა აუკლა.
ყამარი შედგა, დაიმნა,
აღარ იცოდა არ ექნა.
ცხრათა ფრინველთა მხარეგრძელთა
ალგეთის ჭალა გაექნა—
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მაეკლა.—

*

ქალმა დაჭრილის გულმკერდზე
ცის ნაპერწკლები დაჰყარა,
თვალთაგან მოსწყდა ვარსკვლავი,
ველზე სხივები დახარა.
ჭრილობას ხელი შეახო,
ალვისა ხერგი ახარა.
ჭკიერ ცეხულის სითბოსგან
სისხლი სდიოდა ჩალარა.
ამირან თვალნი გამღმო,
ცხარე ცრემლები დალვარა,
გონსა მოვიდა ჭაბუკი,
სატრფო გულისა ნახა-რა.
გამარჯვებისა ამბავი
სასურველს ვერდა ახარა.

ძალა მოკრიბა, მიუთხრა:
— „ყანარ, ჭიყავი აფირ,
სიცოცხლეს ვესალშებოდი
მე შენი უნახავიო,
შავგედა უბედობაში
აღარ მოშაკლო ხვავიო;
ძალი არა მაჭვს, მოვკვლები;
დღე არ მაშინებს შავიო—
ყამარო, დამსხენ ძუძუნი,
ჩემსკენ დახარე თავიო.“

*
ყამარ მიუჯდა, ყურს უგდებს
ჟაბუკის გულის ძერიასა.
ეუბნა: — კუურ ცეცხლთანა
სიკვდილ გახლება ვირასა:“
— „ყამარო, შენი თვალების
შალე ვერ შევსძლებ ცქერასა.
სავარსა მულსა ჭაბუკსა
მივაწლობ ცეცხლის კერასა“.
— „ევო რომ იყოს, ნუ ეჭვობ
მოვიქმედებდე მე რასა—
ამირან მკედარი მერჩიოს
სხვა ჭაბუკისა მლერასა“. *

— „ყამარო, მაშინ აფრინდი,
დასტოვე მიწის მყარიო,
გასთელე შენს გონებაში
ქვეყანა სავიწყარიო,
ქალთა შორისი შენ იყავ,
ვიცოდი, შეუდარი—

კოცხალსა საფიჩამულსა .
მე გირჩევნივარ მკვდარიო,
ერთი და მიყავ სიკეთე;
დრო არ მაქვს სამუღარიო;
პოვე ბადრის და უსიპის
მიკვდილის სამუღარიო;
მათი ცოდვითა ვიწვები,
არ მისმოვს საკუთარიო,
იმათ ნიშანსაც გასწავლი,
სხვა მკვდრებში რომ არ გარიო.

*

„ოუმცი ბადრი და უსიპი
ძენია კაცთა გვარისა,
ორჩვეუ აზის ნიშანი
ზეცისგან ნამოძერისა:
სადაც ერთმანეთს უსწორებს
წევერები ორივ მხარისა
უზის უსიპსა მზის სხივი,
ბადრის კო—სანე მოვარისა,
ზეცამ გარგუნა უნარი
გნელეთში ჟანედვარისა,
სიკვდილისაგან მხსნელ იქმნე
სამ ძმისა—სამ მხედარისა“.

*

კამარმა სხივი წიაპყრია
საცა მაღალი ხევია.
სწორედ მონახა გვამები,
ერთიც არ გადუხვევია.
სეცხლით ჩაბერა სიცოცხლე,
ვით მაცოცხლებელთ სჩვენია
~~თრთვე ფეხზე წამოდგა,~~
არც ახსოვს შენამთხვევია.

*

ამირანს სახე უბრწყინვავს:—
 აწ იფი არ შეწუხდება.
 ყამარი გვერდით დაუდგა,
 ფრთი მეორეს უხდება,
 ნეტავი ძმათა მაშვრალთა
 ცხარე მზე ამოუხდება,
 ვერც ვინ წაართვევს დიაცსა,
 ვერც ვინ შინ შამოუხდება!
 ამირან გაუწორავსა
 სიცოცხლე დაუბრუნდება.
 ბაღრი, უსიპი გულგმირნი
 გვერდშიაც ამოუდგება.

*

გაიხარებდა ყამარი,
 ლამე შეექმნა მზიანი.
 მის გვერდით სამთა ძმათაც
 სიცოცხლე, უჩნდათ სკიანი.
 ვერარა ძალამ ბნელისა
 იმათ ვერ მისცა ზიანი.
 დააგდეს ველი ბრძოლისა,
 მანძილი ნახეს გზიანი,
 საცა ეგულვისო სამყოფი
 სასახლე-დარბაზიანი.

21. ამბავი ამირანის ეორებისა

ჭალსა ლამაზსა რა უნდა,
 გარდა ლამაზი ქმარისა,
 ახოვანის და ვაკეაცის,
 ჭაბუკად მოსახმარისა!

ამირან იყო მშვენება
მთელი ალგეთის მხარისა,
მას შეხაროდნენ სხივები
დილისა და სამხარისა,
გვერდს უმშვენებდა მჩის სხივი
უსიპის ოებარისა,
შეყვარებულთა კარავი—
სხივი ბადრისა მთევარისა.
გარშემო ედვნენ ლომგულნი
მისთა ჭაბუქთა ჯარისა,
ამირანისა ქორწილზე
ყოვლითგან შენაჯრისა.
ახლად მოსულსა სტუმრებსა
იღებს მსახური კარისა.

*

მთელმა ქვეყანამ იცოდა
საქელი ამირანისა.
კაცის და ღმერთის ნაშობის;
მის—ძისა დ. რჯალანისა.
სათაყვანებლად გამხდარა
მძლეობა მისი ჯანისა,
მთელი ქვეყანა შეძრულა,
განურჩეველად ხანისა;
ინდოს ნაპირი, ქვეყანა
ერანის და თარანისა,
ამათ გადალმაც, მთის იქით
ქვეყანა დიდი ხანისა.
მისრით მოვიდნენ ჭაბუქნი
დაუყოვნებლად ხანისა,
კაპალუკიელთ თაბ ახლავთ
ამაღლა ზემო განისა;

ურიათ გმირებს დაეგდოთ
ნაპირი იორდანისა;
უდაბნოს შვილი მოვიდა —
ომ-ვეფხვი იამინისა;
კავკასიონის ჭაბუქთა
ამკობს სიტურთე ტანისა;
მათი ჭიშპობა ძალ-ერვა
ჭაბუქთ აიასტანისა,
აღარ დააკლდა ზეიშა
გმირი აღრაბაღანისა.

*

ცხრა-ძმა დევების სასახლე
დღეს მთელი ქვეყნის არეა,
გაღმა-უამოღმით მცხოვრები
ყველა აქ მომთაბარეა,
დალახტულ დააბჯრულია
თუ საღმე მეომარია.
უმაძლარ თვალით ანათებს
ომისა ღმერთი არია.
სტუმრებსა ხვდება ამირან
და ტკბილად მოუბარია.

*

ახალ სტუმბართა მოსვლასა
ვერ უძლებს ღმერთიც ომისა:
სიხარბის ცაცხლით აენთო
თვალი შერის და ნდოვდასა.
ინდოთ ესურეათ მაგზავნა
კაცისა მისანდობისა,
რომ გაღმოეცა ნასურეთ
მეფის აბეჭალომისა.

მოდგნენ ინდოთა ჭაბუქნი,
თითო მსგავსი ლომისა,
თან ძლვენი მოაქვთ—ნაყოფი
ოსტატობის და შრომისა.

*

დარბაზის ბჭესთან მოიჭრა
მერანი, ვითა ქარბუქი,
მიწას ტორითა არლვევდა
იამანთ ველის ნასუქი,
მარგალიტითა ძობნეულ
ჯდა უნაგირზე ჩაუქი,
ამირანისა ქორწილზე
მოვიდა თვით მზეჭაბუკი,
თავისი ელვარებითა
დაუწერელი და უქი.

*

გაფასიდა ყრმაი ჭაბუკი
ერანელი და მისრელი,
როცა გალავანს მოადგა
ამაღათ ნოსარ ნისრელი.
არ იყო ჭაცი მხაკვრულად
ან უპატიოდ მის მსვრელი,
სალამს აძლევდა თავდაბლა
ყოვლი მის წინა მიშვერელი,
მხარს უმშვენებდნენ მზლებვლნი,
მეშუბე და მეისრენი.

*

ინდო-ჭაბუკის შელებელთა
როს ალაყაფი ჭაცელისა,
თვალნი მიაპჟრა კრებულმა
დევ-გმირსა სეტე დავლესა.

მის შესახვედრად შეკარეთ
დროშებსა ხელი ავლესა,
ძლვნად მოაქცო, რაცა ღევებთან
ბრძოლაში მოიდავლესა —
მხევალნი შეხვდნენ კრძალებით,
თავები მოიმდაბლესა.

*

შემოკრბა ყოვლგნით სტუმარი,
უშისა დარბაზობისა.
საფარსამული მასპინძლობს,
ნაცადი მრავალგზობისა.
ამირანს თვითონ შემოჰყავს
საუნჯე შისი გრძნობისა —
ელვა ცეცხლისა მთესველი
და ნაპერწკალი გზობისა,
ლაუვარდოვანი სათავე
სიყვარულისა შობისა.

*

ვარსკვლავ-მკედისა ტახტზედა
დასვა ინათობი ზეცისა.
მისი მშვენების მხილველთა
თვალნი გაუხდის ბეკისა.
ირგველივ მოაფენს სიამეს
სხივისა ას-ნაკეცისა,
სინაზე შისი ხელვისა
გულსა გაალლობს მხეცისა,
წამს საუკუნედ ასრულებს
უამისა შენაკვეცისა;
ცოლ-ქმარის ერთად წჟვრეტელთა
აშირანიცა უცისა.

*

იწყეს ჭორწილის ზეიში,
 იყო სიმჩავლე ერისა.
 ყამარსა ტახტი დაუდგეს
 იაგუნდისა ფერისა.
 მეორე ტახტი — მშვენებას,
 კაბუკის შესაფერისა:
 მარგალიტითა კაზმული,
 კიდურით ოქროს ლერისა;
 ბრწყინავენ სელნი სტუმართა,—
 ყმათაცა, ვითა ბერისა,—
 კარავი იღვა ეთერის/
 ზეციდან მონაბერისა/—
 ყამარსა აჩედა სახეზე
 ნახატი ცის იერისა,
 ამირანს — სწივის ვვირგვინი,
 ნიშანი ბეღნიერისა —
 ორივე იყო ნაერთი
 ზეციერ-ჭვეუნიერისა.

*

სუფრა გაშალეს, აწვიეს
 სტუმართ საჭმელად პურისა,
 სავსეა ტაბლა ჭიქითა,
 ვინა სთქვა — სადაურისა:
 იაგუნდის და ლალისა,
 იამან-ბალდალურისა.
 ჰაერის ათროპდა ნაშეფი
 ლვინისა საამურისა.
 ცალკერძა იყო ჯამები
 თეთრისა და წითურისა,

ქიშპობა რყო სასმისში
ძირისა და ქილურისა.
გიუობდა გამონაყოლი
ჭვევრისა ჩაკირულისა,
ბალხეთის გამონაუონის
და ცრემლის ალგეთურისა.

*

ყამარსა და ამირანსა
ზეცის სხივი აღგათ თავსა,
ჭვრეტა მათი სილალისა
კაცს გახდიდა უნახავსა,
მტერი იყო თუ მოუვარე,
ჟერ იტყოდა მათსა ივსა.
ოსტატობით მეშაირე
გულის ძარლვებს სიმაღ რთავსა
აჯაბთ ისე ხელოვნობდნენ,
რომ არავის უნახავსა,
მხიარულად ნაღიმობდნენ,
სხვა ნაღიში მას არ ჰვავსა.

*

მცირეთა და ლილებულთა,
ყველას გასცეს საბოძვარი,
სტუმართ ჭარბად მოართვიან
სამოსელი მრავალგვარი,
კლიტე მოხსნეს საჭურჭლეთა,
გააუქმეს მათი კარი,
მამა-პაპის დანადები
დღეს არაა სანუკვარი.
ერთმანეთის-მოკითხვაში
გული იწვის, ვითა კვარი.

22. პეტერ უგერუაი ნაზირობისა

შვილი დღე-ლამე გაგრძელდა
 ყიუინი ნადიმობისა,
 მერვესა დღესა დაასკვნეს
 სეირი ნადირობისა.
 ველი შეიქმნა საჩენლად
 სიმტკიცის და გმირობისა—
 ყრმანი სტყორცნილნენ ისარსა,
 ვით დღეთა ნაპირობისა.

*

იმათ ზეიმს და სიამეს
 დღეს წარეხოცა საზღვარი;
 ხევშიგან ჩამოდიოდა
 სისხლი, ნადირთა ნაღვარი,
 ბაზიერთ, მეავაზეთა
 დღე არ ახსოვდათ ამფვარი,
 მუნ დახოცილთა ნადირთა
 აღარ ყოფნიდა წამგვარი.
 შუაგულ ველზე—გორაკზე,
 სხივებში იჯდა ყამარი,
 სხივების მფრქვეველ მაჯაზე
 მას ჟუჯდა ქორი მწყაზარი.
 ანაზდად ორგვლივ დაბნელდა,
 გრგვრნვა მოისმა საზარი,
 ჰევავდა თუ ზეცას თაღამდე
 მოედო ქვეყნის ხანძარი,
 მაღლითგან დამშვარ მნათობთა
 ქვეყნად ცვილდა ნაცარი.

ბრძენი სულელსა ედარა—
ვერ მიმხვდარიყო რაც არი.
ამირანს შემოძარცვოდა
მისი ამაღა და ჯარი.
იკითხეს, არვინ იცოდა
თეოთ ამირანი საღ არი.

*

გათენდა, თითქოს ქვეყანას
რააჩნდა ფერისცვალობა,
მხედართა მაღლი მიიღეს:
კვლავ ნახეს ზეცის წყალობა.
ყამარის კვალი არ სჩანდა—
დასრულდა ღმერთის ქალობა,
სხივს, დაბრუნებულს ზეცაში,
შეხვდა მნათობთა გალობა.
ეულად დარჩა ამირან,
ჰელა არგუნა ცალობა.

23 პებავი ღმართთა მსჯავრისა

ვერ აიკცევენ ღმერთებიც
მსჯავრს შავ-ბეღისა მუხთლისა.
ზეციერთ ესმათ ამბავი.
ბეღშავი ლრუბელთ უფლისა:
დაბარცხება და მოტეხა
ცაშიგან სავალ მუხლისა.
შეშფოთდა მთელი სამყარო
მიღმა ზეციერ ზღურბლისა,
მწარედ გაისკვნა ნაოჭი
ღმერთმთავარ—დარის შებლისა:

ვერ ითმენს ცოდვას ჩაჭენილს
არსთავან შის ხაუფლისა.
წარგზავნა ქარის ფრთებითა
გზირი შავისა ლრუბლისა:
დღე აღეკვეთოს ამირანს
კაცისა თავისუფლისა.

*
ზეცაში ვინ მოითმენდა
კაცისა აჯანყებასა,
ვინ იაზრებდა, რომ კაცი
ლმერთს მოუტანდა ვნებასა?
ვის შეუძლია ეურჩოს—
სხივოსან დარის ნებასა,
ან ქვეყნის სახრთ გაშლილსა
ვის მართვის ხელოვნებასა?
ამაოდ იყო დაუთმო
ნდომას და გემოვნებასა,
ოდეს გულგრილად შეხედა
დაუასა შეცოდებასა,—
რა ექნა—სქესა თან ახლდა
მთელ ქვეყნის განრიგებასა.
ლმერთებიც ველარ გადურჩა
იმის ნაყოფის რვებასა.
კაცი ამირან უქადის
ქვეყანის აოხრებასა:
დარი დაასკვნის საშიჯავროდ
ზეციერთ შემოკრებასა.

*

კავკასიონის ქედზედა
გაშლილა თეთრი კარავი,
ბრვერვალი მისი ბოძია,
ცის თაღი—მისი მფარავი.

გარშემო უვლის ეთერი,
ციურ სიამით მცვარავი.
წესსა ამყარებს მორიგე,
გამისგან წუთის მპარავი.
ტაროსმა გასცა ბრძანება,
მთიების უფლის მზარავი,
საყვირმა ცაში გასტყორცნა
ხმაური, კლდეთა მბზარავი.

*

შემოვრბა ღმერთთა კრებული,
ჰევენის უფალი—ღარია.
იმისი ბრძნული ბრძანება
სიმართლის საწინდარია.
მარცხნივ ელვარე შუბითა
უზის უფალი არია.
კვირის განსასვენებლად
დარის მარჯვენა მხარია..
ვობი, მაღლითგან მოსული,
ჯუმა ღმერთისა დარი,
ოჩიშ უგულოდ დასტოვა
ნადირთა საბუდარია.
ჭინკებისა და გზირების
მოსულა მთელი ჯარია,
იმათი სამყოფელია
ჭვედა ღრუბლისა ზლვარია.
ელია მოდგა კოჭლობით,
ძლივს შემოალო კარია,
ღრუბლებას ნოხჩე მოთავსლა.
ბედისგან განამწარია.
დარი ავდარად ჭცეული
მრისხანედ მოუბრიდ:

— „ამირან დარჯალანის ძე
ალუდგა ღმერთთა სამყაროს,
თავხედად ფიქრობს. ზეცაში
ქვეყნისა წესი აძყაროს:
გმირთა ყოველგნით მძლეველმა
ღმერთებიც რომ ასაპყაროს,
გასთელოს ძველი წესები,
ზეცას პატივი აჰყაროს,
მას გამოსტაცოს სხივები,
თავზედ გვირგვინად ატაროს.
კაცთა მოდგმისა მოძალემ
თავი ღმერთებსა ადაროს,
არ მორჩილებდეს არც, ბეჭა,
არც მორიგეს და არც ტაროსს!“

*

მას შერჩა ზეცის წინაშე
ცოდვები არ ერთხელია,
იმისი მტრობა ჩვენდამი
არ ახალია, ძველია,
ოქვენც იცით თუ რა დღეშია
ღრუბელთ უფალი ელია,
მე ვბრძანებ, რომ ამირანი
სიკვდილით დასასჯელია!“

*

— „მართალსა ბრძანებ, მთავარო,—
მოუბნობს ღმერთი კვირით—
ამ კაცის თავგასულობა,
მართლაც რომ გასაკვირია.
იმისი ყოფნა ცოცხლებში
ღმერთობოვის დიდი ჭირია“. 130

დარის ნათქვაშენე ღმერთებმა
დაასკუნეს ერთი პირია.
ჯუმა ჩაეგა ბჭობაში,
თუმც იყო სიტყვა-ძვირია:

*

— ყოველ ჟამს მქონდა პატივი
დარია, ღმერთთა მამისა,
დაეს-ვეურჩები პირველად
უფალსა დასაბამისა,
არ გვარგვება თქვენი ნაფიქრი —
არ ვარ თანახმა ამისა:
ამირანისა სიკვდილი
არის სასჯელი წამისა.
ველარ მიხედვება სიმწვავე
ნეშთს უსიცოცხლო გვამისა.
სასჯელი მაშინ სასჯელობს,
თუ არს გრძელისა ჟავისა,
სასჯელსა მივსცეთ, უცნობსა
კაცისა მონადგამისა —
დღე-ღამ იცოდეს სიმწარე
ჭირისა და ვარამისა.”

*

ღმერთთა წინაშე მეტაჟელობს.
გლია დაკოჭლებული:
— მთელი ქვეყანა ამირანს
ძალით ჰყავს დამონებული.
ძნელად თუ ვინმე შთენილა
იმისგან არა-ვნებული.
გამოქვაბულში დავაგდოთ
ჯაჭვითა მიმაგრებული —

ზეცაც იქნება უკნები,
რა ხალხიც გახარებული.^{*}
ელიას აზრსა სიამით
შეტვდა ზეციერთ კრებული;
მხოლოდ დალი და ყამარი
უსმენდნენ გაფირებული.

24. ამბავი ამიანის მიჯაჭვისა

მოებში ნაზარდსა აჩწივსა
ნეტა რა უნდა ბარადა!
ამირანს, ცალად დარჩენილს,
ჭირი მოადგა კარადა;
ბედის სავალი ბილიკი
სჩანს უბედობის შარადა.
გული — მყინვარის ნეკვეთი,—
ჩამოდნა ცრემლის ლვარადა.

*

კავკასიონის წალკოცებს
გროვა მოადგა ხალხისი,
ველი და ბორცვი ვერ უძლებს
მოსვლას ახალი ტალღისა,
ჭვეყანა შეშფოთებული —
პირმშო მნათობის კალტისა.
გზასა აჩვენებს მავალთა
ფერი მტვერისა თალხისა,
საკვირველებას შეუკრავს
პირი დედის და ბალღისა.

მოსჩანდა თეთრი გუმბათი
კარავის, მთაზე მდგომისა,
საღ ხალხი სხივებს ხელავდა
ლმერთ-დარის, თავში მჯდომისა.
მოისმა აძირანზედა
ხმა ზეციერთა წყრომისა,
გასამართლება უნდობი
ქვეყნიერების ლომისა.
შეშინდა ხალხი, ნაშობი
გაჭირვების და შრომისა:
ახსოვდა აძირანისგან
მაღლი დევებთან ომისა,
რომ დაარჩინა, არ გახდნენ
მსხვერპლი იშათი ნდომისა.
ხმა ისმის ხალხთა ლოცვისა,
ლმერთებთან მისაწვდომისა:
— „ბატონიშვილ, უხიოდეთ
კაცის ნაშიერსა.
ბატონიშვილ, მოუსმინეთ
ლოცვა ცაში ერსა.
აძირანის უყოლობა
გაგხვდის მთლად მშიერსა.
უხიოდეთ, ბატონიშვილ,
კაცის ნაშიერსა!“

დარი განრისხდა, რომ ხალხი
ეჭრია ნებას ლვთისასა,
მეხით და გრვეინვით აუცილებელ
ხალხსა ზეციერთ რესხვასა.

ელვით ნატყორცნი ისარი
ნაპრალსა მოხვდა ქლდისასა:
განათლა გამოქვაბული,
ხახასა ჰგავდა მოისასა.
კაცი დგა ჯაჭვით მიბმული,
ჰგავდა აჩრდილსა ქვისასა.

*

ხალხო, საღ იყავ, ბეჩვო, 1
როცა შავი დღე დგიბოდა,
ცა ჰეჭი, მიწა გმინავდა,
ჯოჯოხეთს ედარებოდა,
ამირანისა სასჯელად
ჯაჭვი რომ იჭედებოდა,
რკინა გრძემლზედა ხვიოდა,
სამჭედლო ეჩინებოდა,
მჭედლები-მემჭედურები
ურთმანეთს ეფარებოდა?!

*

ნეტავი ვინ-ღა იტიქჩოს
კაცთა მოღვმისა ბედზედა?
დალამდა. ნისლი დაეშვა
კავკასიონის ქედზედა.
ზეცამ დასწყევლა ჭაბუკი,
ჯაჭვით მიაბა კლდეზედა,
გერვეთის მთა და გორაკი
სახლად დაუდგა სერზედა.

6368330

III

შესავალი—შ. ნუცუბიძე	III
1. ამბავი სულკალმახისა და და სიყვარულისა	1
2. ამბავი სულკალმახის მეუღლისა და ბეჭი თქროს ნაწია- გისა	8
3. ამბავი უბედური სიყვარულისა	12
4. ამბავი ამირანის დაბადებისა და მისი ჟედ-მამის გადა- კარგვისა	17
5. ამბავი ამირანისა და მესთა ძმათა შეიარალებისა . . .	22
6. ამბავი სამთა ძმათა ალგეთში წასვლისა	26
7. ამბავი ნაფირობისა და ცამცუმის კოშკის პოვნისა . .	30
8. ამბავი ბაყბაყდევისა	36
9. ამბავი ამირანისა და ბაყბაყდევისა	41
10. ამბავი ამირანის წასვლისა ყამარის ძებნად	45
11. ამბავი სამი ვეშაპის შეხვედრისა	49
12. ამბავი სამ ვეშაპთან შებმისა	53
13. ამბავი ამირანის გადარჩენისა და იგრი ბატონთან წას- ვლისა	56
14. ამბავი ამირანის წასვლისა ყამარის ძებნად და ახალი თავგადასავალი	61
15. ამბავი დევის ქალისა	64
16. ამბავი დევებზე გამარჯვებისა	69
17. ამბავი ნადიმობისა	72
18. ამბავი ამბრი ჭაბუკისა	75
19. ამბავი ამირანის გამგზავრებისა ამბრის შესაყრელად .	85
20. ამბავი ამირანის ყამართან წასვლისა	94
21. ამბავი ამირანის ქორწილისა	128
22. ამბავი ქბედური ნადირობისა	135
23. ამბავი ღმერთთა მსაჯვრისა	136
24. ამბავი ამირანის მიჯაჭვისა	141

А М И Р А Н И

Мифологическая поэма
восстановленная и реставрированная

Ш. НУЦУБИДЗЕ

(На грузинском языке)

Изд. "Сабчота Мцерали"

19 Тбилиси 45

რედაქტორი: ა. აბაშელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-45 წ. სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 11, საკუთრო ფორმათა რაოდენობა 10,
ტირაჟი 5100 შეკვეთის № 1066 უე 00249

მასში განკუთვნილია „კომუნისტი“
თ. ლისი, ლევაბერძე № 28

